სიღატაკიდან - საყოველთაო განუკითხაობამდე A3
ავტომობილი A8
"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 2003 წელი. №49 (261)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### შევარდნაძეს ოპოზიციის მზაობა ამშვიდებს

სამწუხაროდ, სიტუაცია არც ამ მხრივ არის სახარბიელო. შევარდნაძის განცხადება, რომ ისინი ქვეყნის სამართავად მზად არ არიან, საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. საქართველოში ოპოზიცია, ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკაზეა დაფუძნებელი.

A3

## ეკონომიკა

### ენერგომილსადენების მშენებლობის რევიზიას კონტროლის პალატა ჩაატარებს

საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანიზაციები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის ერთობლივ მონიტორინგს ჩაატარებენ.

A4

## უცხოეთი

### ერაყი: კვანძის გახსნა ახლოვდება

ერაყის ირგვლივ დაძაბულობა პიკს აღწევს. ექსპერტების მიერ ნავარაუდევი ომის დაწყების რამდენიმე თარიღი უკვე გავიდა. პროგნოზებს უკვე აღარ აკეთებენ, მაგრამ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას დღე-დღეზე მოელიან. პოზიციებს არც ომის მოწინააღმდეგენი თმობენ.

A5

## საზოგადოება

### ქალაქში ნივრის არომატი დატრიალდა

სამარშრუტო ტაქსებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნივრისსუნიანთა მომრავლებას თბილისელები გაგებით ეკიდებიან და ცხვირს არავინ უზუზებს. თუ შინ ჟოლოს მურაბაც გეგულებათ, ჩათვალეთ, რომ მზად ხართ გრიპის დასახვედრად.

A6

### ლეში მეტროს კიბეებზე

ინსპექციის თანამშრომლებმა სამგორის მეტროს კიბეებზე მოვაჭრეებს 100 კგ. საქონლის, ვითომ ხორცი, სინამდვილეში კი ლეში ჩამოართვეს.

A6

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 2 | ❄ |
| ქუთაისი | 6 | ❄ |
| ბათუმი | 6 | ❄ |
| სოხუმი | 3 | ❄ |
| ფოთი | 5 | ❄ |
| თელავი | 3 | ❄ |
| ზუგდიდი | 5 | ❄ |
| გორი | 1 | ❄ |
| ახმეტა | 2 | ❄ |
| ჭიათურა | 3 | ❄ |
| გაგრა | 2 | ❄ |
| სამტრედია | 6 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3674 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5366 |
| რუბლი | 0.0691 |

# უშიშროების ოფიცრის მკვლელი პოლიციელი აღმოჩნდა

თამარ კაციტაძე

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის კობა ჯანგიძის მკვლელობა სამართალდამცველებმა იშვიათი ოპერატიულობით, გუშინ გვიან ღამით, გახსნილად გამოაცხადეს (ჯანგიძე ორი დღის წინ დადიანის გამზირზე საკუთარ ავტომანქანასთან „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით მოკლეს). მკვლელი - გლდანი-ნაძალადევის რაიონის უბნის ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ვლადიმერ დეკანოსიძე უკვე დაპატიმრებულია და მან დანაშაული აღიარა. სხვათა შორის, იგი საჩხერედან თბილისში სამუშაოდ დაახლოებით ერთი თვის წინ გადმოიყვანეს.*

**"კობა ჯანგიძე ბავშვობის მეგობარ კობა კაკუბავასთან ერთად მისი კუთვნილი ავტომობილით "BMW"-თი დადიანის ქუჩაზე მივიდა. კაკუბავა ახლობელთან ავიდა, ჯანგიძე კი მანქანაში ელოდებოდა. რამდენიმე წუთში სროლის ხმა შემოესმა, უკან რომ დაბრუნდა, მეგობარი მოკლული დახვდა,"** – განაცხადა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ.

იმავე ღამეს განზრახ მკვლელობის მუხლით საქმე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში აღიძრა. ჩატარდა რიგი საგამოძიებო ღონისძიებები, დაიკითხნენ მკვლელობის თვითმხილველნი, შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ტყვიის მასრები და დადგინდა იარაღის სახეობა. ამის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ შეიძლება, მკვლელი სამართალდამცველი

გაგრძელება A7 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ დეკანოსიძე პოლიციაში მიჰყავთ.*

# აშშ-ს ელჩის სიტყვამ მთელი ქართული მთავრობა გადაწონა

თამარ ხორბალაძე

*მიუხედავად იმისა, რომ თბილისში გავრცელებულ გრიპის ვირუსს ვერც აშშ-ს ელჩი გადაურჩა, გუშინ რიჩარდ მაილსი კანცელარიაში მაინც მივიდა, რათა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეხვედროდა.*
*აშშ-ს ელჩსაც ისევე, როგორც ქართულ ხელისუფლებას, მშვენივრად ესმოდა, რომ მისი შეხვედრა ამ ადამიანებთან ერთადერთი გარანტია იყო იმისა, რომ აქცია დაიშლებოდა და არ მიიღებდა უმართავ და დროში უსასრულოდ გაწელილ ხასიათს. აქციის მონაწილეები, როგორც ცნობილია, რუსული სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან სასწრაფოდ გაყვანას მოითხოვდნენ.*

**„მე ვერ მივეცი ამ ადამიანებს მყარი გარანტიები, ვერ შევპირდი, რომ რუსი სამშვიდობოები ხუთი თვის შემდეგ აუცილებლად გავლენ აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან, თუმცა გავაცანი მათ აშშ-ს პოზიცია. დღეს ჩვენ მივესალმებით მანდატის გაგრძელებას. ვუთხარი, რომ აშშ არ იზიარებს კონფლიქტის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების განახლების იდეას, თუმცა მიგვაჩნია, რომ დევნილთა ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული და კომპრომისი უნდა იყოს მიღწეული,"** - ასე შეაჯამა ენგურის აქციის მონაწილეებთან შეხვედრის შედეგები თავად ამერიკის ელჩმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შევარდნაძე "ბი-პი"-ს ეკოლოგიური უსაფრთხოების გეგმას ენდობა

*გუშინ „ბრიტიშ პეტროლიუმმა" მეორე „პი-არ"-ღონისძიება გამართა. პირველ ღონისძიებაზე „ბი-პი", ჟურნალისტებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოების თემაზე ესაუბრა. ამჯერად, პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრის თემა მარშრუტის გასწვრივ მიწის მოსარგებლეთათვის კომპენსაციების გაცემის საკითხი იყო. მილსადენის კომპანიამ უკვე დაიწყო მიწის შესყიდვა, საბოლოოდ ჯერ დაუმტკიცებელ, ე.წ. ბორჯომის მონაკვეთზე. როგორც „ბი-პის" მიწის შესყიდვის საკითხების მენეჯერმა სტიუარტ დანკანმა განაცხადა, მიწის შესყიდვის გრაფიკი მისადაგებულია მშენებლობის გრაფიკთან, რომელიც მშენებელ-კონტრაქტორმა ფირმამ უკვე წარმოადგინა.*

მაია ურუშაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მენეჯერის ედ ჯონსონის განმარტებით, „ბი-პიმ" თითქმის დაასრულა მილსაწყობი პუნქტების მომზადება ბათუმსა და თეთრიწყაროში. მისივე ინფორმაციით, დაწყებულია სამშენებლო ტექნიკის შემოსვლა ბათუმსა და ფოთში. 22 ათასი მილიდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ჩაიდოს, უკვე ჩამოსულია 3 ათას 111 ცალი (36 კმ) მილი. მომდევნო გემს, რომელიც 2 ათას 100 მილს ჩამოიტანს, 28 თებერვალს ელიან. უკვე შემოდის ექსკავატორები, ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, ტრაილერები და მშენებლობისთვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# უშიშროების სამინისტროში ინაურის აჩრდილი გამოჩნდა

სოფიკო ჩხაიძე

**"მსგავსი სისულელე აქამდე ჩვენს ხელისუფლებასაც კი არ გაუკეთებია";**

**"ვინც ეს გააკეთა, ის, უბრალოდ, საბჭოთა სუკ-ის მეთოდებით მუშაობს";**

**"თუ ვინმეს ამ კანონპროექტის წერისას სერიოზული მიზანი ჰქონდა, ის, უბრალოდ, ავადმყოფია".**

ასეთი შეფასებები მისცეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიდერებმა უშიშროების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს "ექსტრემისტულ და უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების, მათი ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ". და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის არასამთავრობოები კითხულობდნენ: "იქნებ უშიშროების სამინისტრო ხუმრობს?" მაგრამ, როგორც ჩვენი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გამოცდილება გვკარნახობს, ასეთ თემებზე არ ხუმრობენ.

**"კანონპროექტი "ექსტრემისტულ და უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზიაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების, მათი ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ", თავისი პათოსითა და შემართებით, თავისუფალი აზრისა და დამოუკიდებლად მოღვაწე ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერებისა და ლიკვიდაციის ყველა დღემდე წამოწყებულ ინიციატივაზე უფრო თავხედურია.**

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსები გუდაუთის სამხედრო ბაზას არ თმობენ

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

*მაშინ, როცა ქართული მხარე მოსკოვში დასრულებული მოლაპარაკებების შემდეგ "გარკვეულ პოზიტივსა" და სამხედრო საკითხებში "რაღაც ძვრაზე" საუბრობდა, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე მრგვალ მაგიდასთან გაიძახოდა: თქვენ ფული მოიტანეთ და ბაზებს ორ წელიწადშიც გავიტანთო...*

მოსკოვში საქართველო-რუსეთის სამხედრო ექსპერტების ამჟამინდელ შეხვედრას საფუძველი ორი ქვეყნის დიპლომატებმა გაუმყარეს. შვიდი უშედეგო რაუნდის მომდევნო, ჩვენი დიპლომატების მტკიცებით, "პერსპექტიული" მერვე რაუნდი შევარდნაძე–პუტინის მორიგი შეხვედრის მომზადების ნიშნით ჩატარდა. ამ ისტორიულმა ფაქტმა გარკვეულწილად მიაჩუმათა სამხედრო ექსპერტების აშკარა უკმაყოფილება და უიმედობაც. რუსეთთან სამხედრო საკითხებზე მორიგ წყლის ნაყვას მთელი სერიოზულობა შესძინა მენაღარიშვილის მუდმივმა კონტაქტმა თბილისთან და მოლაპარაკების შუა პროცესიდან ილია კლებანოვის პუტინთან გაქცევამ. ამის შემსწრე ჟურნალისტებმა ყურადღება მივაქციეთ ილია კლებანოვის ჩასისხლიანებულ თვალს. ამ ფაქტის გამო, ერთმა ქართველმა ექსპერტმა იხუმრა, ალბათ, მენაღარაშვილმა კლებანოვი გალახაო.

"პრეზიდენტ-ოტელში" მოლაპარაკებებს წინ უძღოდა ორი ქვეყნის ექსპერტთა ვიწრო წრეში შეხვედრა – ხუთი-ხუთზე, სადაც კონფიდენციალურ ვითარებაში მხარეებმა რაღაც ისეთი საიდუმლო თემატიკა მიმოიხილეს, რაც ყველა გენერლისათვის

გაგრძელება A3 გვერდზე

# ინტერფრაქციული ჯგუფი გააქტიურდა

*არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პარლამენტში საარჩევნო კანონმდებლობის საბოლოო დახვეწაზე იწყებენ მუშაობას. ამიერიდან, კვირაში სამჯერ – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე პოზიციების შეჯერებას შეეცდება. საგულისხმოა ისიც, რომ ორშაბათობით ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უხელმძღვანელებს.*

თამარ მჭედლიშვილი

ამომრჩეველთა სიები და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება – ეს ის ქრონიკული პრობლემაა, რომლის გადაწყვეტასაც ქვეყნის ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოაბა თავი. უამრავი პროექტის, წინადადებისა და იდეის მიუხედავად, ამ საკითხის საბოლოო მოწესრიგება ვერა და ვერ ხერხდება. საარჩევნო ადმინისტრაციების შეცვლასა და ამომრჩეველთა ზუსტი სიების დადგენას არა მხოლოდ ქართული პოლიტელიტა ითხოვს. საქართველოს ხელისუფლებას ასეთ რეკომენდაციას ის საერთაშორისო ორგანიზაციებიც უწევენ, რომელთა წარმომადგენლებს ერთხელ მაინც ჰქონდათ "პატივი", დამკვირვებლის სტატუსით მიეღოთ მონაწილეობა წინა რამდენიმე არჩევნებში.

დღეს ყველას შესანიშნავად ესმის, რომ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საეტაპო იქნება და მისი შედეგები დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალ ბედს. ეს კი აიძულებს ცალკე პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკე სახელისუფლებო წრეებს ისეთი პროექტების მომზადებასა და შემდგომ მის ლობირებას, რომელიც მხოლოდ მათთვის იქნება მისაღები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვინ გაიმარჯვა სომხეთში?

## დემირჭიანი ამტკიცებს, რომ იგი სომხეთის პრეზიდენტი გახდა, კოჩარიანის შტაბი კი მაინც კარგ ხასიათზეა

A5



*დარჩება თუ არა პრეზიდენტის პოსტზე რობერტ კოჩარიანი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.*

A2 პოლიტიკა A3 ინფორმაცია A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ავტომობილი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე არ გამორიცხავს საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან აფხაზეთსა და პანკისის ხეობაში იარაღის გადინების შესაძლებლობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსულმა მხარემ ოფიციალურად უნდა აცნობოს თბილისს აფხაზეთის მონაკვეთის ახლოს საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ადლერ ჟელეზნოდოროჟნის" მშენებლობის შესახებ, - განაცხადა ოთხშაბათს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ. მან თქვა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვას რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურიდან აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" მომავალ საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ბოიკოტის მიზეზი, პარტიების მხრიდან "საზოგადოების" მიერ შემუშავებული საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების პროექტის უგულებელყოფაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ბლოკში შემავალი "ნაციონალ-ლიბერალური პარტია" "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან" გაერთიანების მომხრეა. ამასთან, პარტია 4-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის შემოღებას უჭერს მხარს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ""ერთიან ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტს" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაერთიანებაზე ოთხშაბათს უარი უთხრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ, მთავარი შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ნიკოლაი რეზნიჩენკომ ოთხშაბათს განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში, საქართველოს ძალოვანი უწყებების მიერ გატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის მიუხედავად, "ბანდიტთა ცალკეული ჯგუფები რჩებიან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" პოლიტიკური მდივანი ჯონდი ბაღათურია "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის "ცრუ ოპოზიციას" უწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი ვიტალი ხაზარაძე მიიჩნევს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისათვის შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ოპოზიციური პარტიების ბლოკი, მაგრამ ეს გაერთიანება "მყიფე" იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების მინისტრის პრესმდივნის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, სამინისტროში მზადდება კანონპროექტი ექსტრემისტული და უცხო ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების აკრძალვისა და გაუქმების შესახებ, რასაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. „ეს კანონპროექტი დამუშავების სტადიაშია, თავად მინისტრი ხაბურძანიაც აცხადებს, რომ მასში ბევრი რამ დასახვეწია. ამიტომ საზოგადოებამ წინასწარი შეფასებებისგან ჯერ თავი უნდა შეიკავოს", - აცხადებს პრესმდივანი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" წევრის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, მის პარტიას „ნაციონალური მოძრაობისგან" ოპოზიციური გაერთიანების შექმნის შესახებ ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია, თუმცა, ამ საკითხზე სიტყვიერი საუბრები რამდენჯერმე იყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საარჩევნო უბანზე სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, არასრული მონაცემებით, სომხეთის 55-მა მოქალაქემ მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპაში აშშ-ს სახმელეთო ქვეითი ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი დრენდტი, ოფიციალური ვიზიტით, ხუთშაბათს თბილისს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცანით ქვემოთ მოყვანილ წესებს.)

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# საქართველოს სამხედრო მრეწველობას აშშ უმზერს

### ელჩი მაილსი "თბილავიამშენს" "ბოინგთან" ურთიერთობის გაღრმავებას ჰპირდება

სოფო კვინტრაძე

*გუშინ "თბილავიამშენს" აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ეწვივნენ. ამერიკის ელჩი ქარხანას პირველად ესტუმრა. როგორც თედო ჯაფარიძე ამბობს, ვიზიტი, კარგა ხანია, იგეგმებოდა, რადგან ინტერესი ამ ქარხნის მიმართ დიდია საქართველოს ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით კი - აშშ-ში. ჯაფარიძის მტკიცებით, ამერიკელებს აინტერესებთ ის ტექნოლოგიები, რაც თბილისის საავიაციო ქარხანაშია დანერგილი, ასევე კონტრაქტები, რომლებიც ქარხნის ხელმძღვანელობამ დადო სხვადასხვა უცხოურ კომპანიებთან თუ ქვეყნებთან და პროდუქცია, რომელსაც "თბილავიამშენი" აწარმოებს. მათ შორის, შეეხნენ "თბილავიამშენისა" და ირანის არასასურველ, თანაც არაჯანსაღად გახმაურებულ პარტნიორობას. სწორედ ამ ინტერესებმა განაპირობა რიჩარდ მაილსის სტუმრობა "თბილავიამშენში". აშშ-ს ელჩი შეხვდა "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ვაჟა თორდიას.*



*საბრძოლო თვითმფრინავებიდან "თბილავიამშენი" თანდათან სამოქალაქო საფრენი აპარატების გამოშვებაზე გადავა.*

ვახო ქარელიას ფოტო

ამერიკელების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია "თბილავიამშენისა" და ამერიკული კომპანიების "ბოინგისა" და "სესნას" ურთიერთობის საკითხებმა. ელჩმა ქარხნის ხელმძღვანელობას კონტრაქტების გაღრმავებაში დახმარება აღუთქვა. კერძოდ, მაილსმა განაცხადა, რომ იგი დაუკავშირდება "ბოინგის" ვიცე-პრეზიდენტს თომას პიკერინგს, რომელიც ადრე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის მოადგილე იყო, მიაწვდის მას დეტალურ ინფორმაციას და შეეცდება, დღეს არსებული კონტრაქტის გაღრმავებას და მის ხარისხობრივად მაღალ დონეზე აყვანას.

უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ "თბილავიამშენში," საკმაოდ მოკლე ხანში, უამრავი მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა. მას ასევე დროულად მიაჩნია, ქარხნის ათი წლის ვადით მართვაში გადაცემაზე გამოცხადებული ტენდერიც. **"ტენდერი მიმართული იქნება სწორედ იქითკენ, რომ ჩვენს ქვეყანას შეუნარჩუნდეს ეს უზარმაზარი და უნიკალური პოტენციალი,"** – განაცხადა მან.

"თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა თორდია რიჩარდ მაილსთან შეხვედრას ნაყოფიერს უწოდებს. იგი აცხადებს, რომ ქარხნის სამომავლო გეგმებში სამხედროდან სამოქალაქო ავიაციაზე გადასვლა შედის. ამიტომ, მათ სურთ ურთიერთობა დაამყარონ აშშ-ში არსებულ ინსტიტუტთან, რომელსაც კონვერსიის პროგრამა გააჩნია. თორდიას განცხადებით, ყოფილი საბჭოთა თვითმფრინავები თანდათან გამოდიან ექსპლუატაციიდან, **"ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ თბილისში შეიქმნას თვითმფრინავების რეგიონული რემონტისა და სერვის-მომსახურების ცენტრი. საამისოდ ჩვენ გვაქვს 60-წლიანი გამოცდილება, ასაფრენი ბილიკი, საწარმოები, ინფრასტრუქტურა, საავიაციო ინსტიტუტი, გვყავს პერსონალი. ერთი სიტყვით, არსებობს ბაზა, "** – აცხადებს ვაჟა თორდია. მისი თქმით, აღნიშნულზე პრეტენზია უზბეკეთსაც აქვს, მაგრამ ძალზე რეალურია, რომ იგი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდება, რაშიც აშშ-ს დიდი დამსახურება ექნება.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „თბილავიამშენზე" გამოცხადებული ტენდერი შეჩერდება. ქონების მართვის სამინისტროში შესულია მოქალაქის განცხადება, რომ კონტროლის პალატას დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დასკვნა არასწორად აქვს გამოტანილი. ამის საფუძველზე, ტენდერის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი უახლოეს დღეებში გამოიტანს.

# ინტერფრაქციული ჯგუფი გააქტიურდა

პირველი გვერდიდან

აქედან გამომდინარე, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის საკუთარი მოდელი აქვს. ამის მიუხედავად, საკუთარ იდეებს საკანონმდებლო ინიციატივის სახე მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მისცა. მათ შორისაა "სახალხო ფრონტი" და ლეიბორისტული პარტია. არსებობს კიდევ კონკრეტული პიროვნებების მიერ წარმოდგენილი პროექტები. კერძოდ, ვალერი გელბახიანმა და გიორგი თარგამაძემ ერთობლივად წარმოადგინეს ახალი საარჩევნო კოდექსის საკუთარი ვარიანტი. არსებულ კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილიც.

ჯერ არსად ჩანს სახელისუფლებო პარტიის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის შესახებაც პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ვიტალი ხაზარაძეს არაერთხელ განუცხადებია. მისი თქმით, პარტიას არა მხოლოდ ერთი, არამედ სამი ახალი პროექტი აქვს მომზადებული, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, მოქკავშირი სულაც არ ჩქარობს, ამ იდეებს საკანონმდებლო ინიციატივის სახე მისცეს.

საგულისხმოა, რომ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა რამდენიმე დღის წინ საჯაროდ განაცხადა, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების მიღება მომავალ ორშაბათს დასრულდება. ასე რომ, მოქკავშირს ერთ კვირაზე ნაკლები დრო რჩება იმისათვის, რომ საზოგადოებას საკუთარი ნააზრევი უკვე ოფიციალურად გააცნოს.

ერთი სიტყვით, უახლოეს მომავალში პარლამენტი მთლიანად გადაერთვება საარჩევნო თემატიკაზე და, როგორც ვარაუდობენ, უკვე აპრილის ბოლოს საბოლოოდ ჩამოყალიბდება ის პრინციპები, რომლითაც პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნების დროს უნდა იხელმძღვანელონ.

გუშინ კი ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ერთ-ერთი პირველი შეხვედრა გამართა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ შეხვედრაზე პარლამენტარები არ შეხებიან საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს. საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა და საკმაოდ მოულოდნელი შედეგითაც დასრულდა.

"აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ წამოაყენა ინიციატივა, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი დაეთანხმა. ჯემალ გოგიტიძე კატეგორიულად ითხოვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს თითოეულ მოქალაქეზე პირადობის დამადასტურებული ახალი მოწმობების გაცემა, თანაც აბსოლუტურად უსასყიდლოდ

**"აუცილებელია, რომ 16 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს პირადობის მოწმობა. ეს შეიძლება არ სჭირდებოდეს თავად ამ ადამიანს, მაგრამ ეს აუცილებელია სახელმწიფოსათვის. მე შევთავაზე ეს იდეა ინტერფრაქციულ ჯგუფს და მისი წევრები მას დაეთანხმნენ. ბიუჯეტში ეს თანხები აუცილებლად უნდა გამოიძებნოს. მე წყაროც მივუთითე – ეს არის პრეზიდენტის თერთმეტმილიონიანი ფონდი. ამისთვის საჭიროა ცვლილებები როგორც კანონში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ასევე სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებში",** – ამბობს ჯემალ გოგიტიძე. მისი თქმით, **"თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ჩაეტევა პარლამენტის მიერ დაწესებულ ვადებში, მაშინ მინისტრი უნდა გათავისუფლდეს ამ თანამდებობიდან. თუკი აღმოჩნდება, რომ პოლიციამ პირადობის ყალბი მოწმობები გასცა, დამნაშავეები მართლმსაჯულებას უნდა გადაეცეს და მათ თავისუფლება სამი წლით უნდა აღეკვეთოთ".**

# „ნაციონალისტები" „ლეიბორისტებს" გაერთიანებას სთავაზობენ

ბელა მახარაძე

*რამდენიმე დღის წინ "ლეიბორისტების" მწვავე გამოსვლას "ნაციონალისტები" სხვაგვარად ეხმაურებიან. კობა დავითაშვილმა მათ გაერთიანება შესთავაზა საპარლამენტო არჩევნების მოგების მიზნით და იმედი აქვს, რომ "ლეიბორისტები" ამ მიპატიჟებას მიიღებენ.*

მიუხედავად იმისა, რომ "ლეიბორისტებს" არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადება იმის თაობაზე, რომ არ აპირებენ არავისთან ალიანსში შესვლას, "ნაციონალისტები" მაინც სთავაზობენ მათ გაერთიანებას და ერთიანი ძალით ბრძოლას. "**შევარდნაძის იმპიჩმენტისათვის საჭიროა 2/3 საპარლამენტო უმრავლესობაში, ამიტომ ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ პიროვნული მომენტები და გავერთიანდეთ საერთო მიზნის მისაღწევად,**"- აცხადებს კობა დავითაშვილი. მათ ეს პროექტი შესთავაზეს სხვადასხვა პარტიებს, მაგრამ ყველაზე მეტად მათი სურვილია "ლეიბორისტებთან" გაერთიანება, რადგან ეს არის ერთ-ერთი სერიოზული პარტია, რომელსაც საკმაოდ დიდი ძალა გააჩნია. ისინი მოუწოდებენ ყველა ოპოზიციურ ძალას გაერთიანებისაკენ და საერთო ძალებით ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. " **ჩვენ არ გვაქვს პირველობის პრეტენზია, დავთმობთ საავტორო უფლებებს; ჩვენ არ მოვითხოვთ მათგან, რომ დაგვეთანხმონ ყველაფერში, ისევე როგორც ჩვენ არ ვეთანხმებით მათ შეხედულებას სხვადასხვა საკითხების მიმართ, მაგრამ დღეს მთავარია გაერთიანება საერთო და მთავარი მიზნის განსახორციელებლად,**"- ამბობს დავითაშვილი.



*კობა დავითაშვილი*

მათ მოწვევაზე უარი განუცხადებიათ "ახალ მემარჯვენეებს"(მათ საკუთარი ძალების იმედი აქვთ), მიმდინარეობს მოლაპარაკებები "გაერთიანებულ დემოკრატებთან" და "ერთობასთან". დავითაშვილის განცხადებით, ისინი ვერ ენდობიან "აღორძინებას", რადგან არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ისინი ბოლო მომენტში არ უღალატებენ; ჯერჯერობით, თავს იკავებენ "ედპ"-სთან დაკავშირებით და აქცენტი გადააქვთ ძლიერ პარტიებზე.

**"ნათელაშვილი არჩევნებზე გამოდიოდა ლოზუნგით - "შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟი"; მოდით, მოვახდინოთ ეს დემონტაჟი 2003 წელს და ნუ გადავდებთ ამას 2005 წლამდე, რადგან ეს წელიწადნახევარი შევარდნაძის პრეზიდენტობისა იქნება ძარცვის ხანა,**"- აცხადებს დავითაშვილი.

"ნაციონალისტები" არ სთხოვენ მათ გრძელვადიან და იდეოლოგიურ თანამშრომლობას. ისინი ითხოვენ მხოლოდ ერთი კონკრეტული იდეის გარშემო გაერთიანებას და ერთიანი ძალით ბრძოლას. "**ჩვენ შეიძლება ვიყოთ თანამშრომლები საპარლამენტო არჩევნებზე და კონკურენტები საპრეზიდენტო არჩევნებზე,**"- განმარტავს დავითაშვილი.

"ნაციონალური მოძრაობის" აზრით, ოპოზიციურ პარტიებს შორის კამათი და გათიშვა გამოიწვევს იმ ამომრჩევლის იმედგაცრუებას, რომელიც დღეს ორივე პარტიას საკმაოდ ჰყავს, ისევ თავად დარჩებიან წაგებულნი და გაიმარჯვებს შევარდნაძის ძალა. დავითაშვილს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ მათ და "ლეიბორისტებს" ბევრი საერთო აზრი გააჩნიათ სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც ორივე პარტიისათვის მისაღებია, "**ვისაც უნდა განხეთქილება, ის ეძებს მიზეზს, ხოლო ვისაც უნდა თანხმობა, ის ეძებს გზებს ამ თანხმობისათვის. ჩვენ ვეძებთ თანხმობის გზებს,**"- აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი. რაც შეეხება "სოციალისტებს," დავითაშვილი აცხადებს, "**რომ მათ დიდი ხანია მოძებნეს საკუთარი გზა**", ხოლო "მრეწველებზე" ჯერ თავს იკავებენ, რადგან, როგორც დავითაშვილი აღნიშნავს, მათ მოიჭრეს ოპოზიციაში მისასვლელი გზა, როცა ბიუჯეტის მიღებას დაუჭირეს მხარი.

შეთანხმება თუ შედგებოდა, მაშინ "ნაციონალისტები" და "ლეიბორისტები" სიებს გააერთიანებდნენ და პარლამენტში საერთო სიით გავიდოდნენ, მაგრამ გუშინ საღამოს "ლეიბორისტების" მიერ გაკეთებული კომენტარების შემდეგ, ამის არავის სჯერა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# აშშ-ს ელჩის სიტყვამ მთელი ქართული მთავრობა გადაწონა

პირველი გვერდიდან

თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ აშშ-ს ელჩს ახალი არაფერი უთქვამს. მსგავს განცხადებას საქართველოში მყოფი ან ჩამოსული ნებიმიერი ამერიკელი დიპლომატი უკვე რამდენიმე თვეა, დაბეჯითებით იმეორებს. ცხადია, აშშ-ს ელჩისგან სხვა სახის განცხადებებს არავინ ელოდა.

მიუხედავად ამისა, შეხვედრიდან უაღრესად კმაყოფილები გამოვიდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეები. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვახტანგ გამსახურდიამ ჟორბენაძის სათათბირო კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა:

**„როგორც არასდროს, დარწმუნებულები ვართ, რომ აშშ რეალურად ჩაებმება კონფლიქტის მოგვარებაში და პრობლემის გადასაჭრელად სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს.“**

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა რევაზ ნაჭყებიამ ლტოლვილთა სახელით ``სამარცხვინო სილა გააწნა`` საქართველოს პრეზიდენტს, როცა განაცხადა, რომ: **„ამერიკელ დიპლომატთან შეხვედრაზე დავრწმუნდი, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ქართველ კოლეგას ედუარდ შევარდნაძეს მართლაც მოსწერა წერილი, რომელშიც აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურ ჩაბმას დაჰპირდა“**.

ამ წერილზე საქართველოს პრეზიდენტმა შაბათს, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, პირდაპირ ეთერში ისაუბრა, მაგრამ... ესეც კი არ დაუჯერეს...

კვირას სახელმწიფო მინისტრი ზუგდიდში გადაფრინდა და რამდენიმე საათის განმავლობაში ესაუბრა აქციის მონაწილეებს; არც მისი ირწმუნეს.

აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის დიპლომატიური სიფრთხილით ნათქვამი რამდენიმე სიტყვა კი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ დაეჯერებინათ...

დევნილთა საკოორდინაციო შტაბის 22-კაციანი შემადგენლობა ზუგდიდში დაბრუნების შემდეგ მორიგ სხდომას გამართავს, რომელზეც აქციის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტასა და შტაბის სამომავლო საქმიანობის განსაზღვრას გეგმავს.



საპროტესტო აქციის მონაწილეები სახელმწიფო კანცელარიაში.

ვახტანგ გამსახურდია ენგურის ხიდზე რუსი სამშვიდობოების აფხაზეთიდან გაყვანის მოთხოვნით მიმდინარე აქციის შეწყვეტის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. თუ რა ფორმით გააგრძელებს აქციის შტაბი საქმიანობას, დევნილთა დელეგაციის ზუგდიდში დაბრუნების შემდეგ გაირკვევა. ასეთია გუშინდელი შეხვედრის შედეგი.

თუმცა, ამ შეხვედრას აქვს კიდევ ერთი, ძალიან სერიოზული მხარე, რომელიც ხაზს უსვამს საშიშ და სამარცხვინო ტენდენციას, ტენდენციას, რომლის დამკვიდრებამდეც ქართველი ერი საქართველოს ხელისუფლების აქტიური ხელშეწყობით მივიდა.

საქართველოს ხელისუფლება საკუთარი არაპოპულარული ქმედებების გასამართლებლად მუდმივად საუბრობს ან რუსეთის ზეწოლაზე, ან აშშ-ს და მეგობარი ქვეყნების რეკომენდაციებზე. პასუხისმგებლობის ასეთი გადაბარება უქმნის ქართველ ერს სწორედ იმ კომპლექსს, რამაც გუშინაც აშკარად იჩინა თავი.

მეტიც - საქართველოს პრეზიდენტმა ორშაბათის ბრიფინგზე, თითქოს არაფერი, ისე განაცხადა, რომ **„საპროტესტო აქციის მომაწილეებმა სახელმწიფო მინისტრს არ დაუჯერეს და პრეზიდენტთან ან აშშ-ს ელჩთან შეხვედრა მოითხოვეს.“** სხვათა შორის, აქციის მონაწილეებმა ამ ორი გვარის გვერდით პარლამენტის თავმჯდომარეც დაასახელეს. თუმცა, ამჯერად ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ საქარველოს პრეზიდენტმა თავად განაცხადა - **„ვფიქრობ, სჯობს აშშ-ს ელჩს შეხვდნენ“...**

ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ თავს თავად გამოუტანა განაჩენი.

რაც შეეხება აშშ-ს და მის მხარდაჭერას: რა თქმა უნდა, აშშ-ს მხარდაჭერა (უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მისი „პატრონაჟის“ ქვეშ შესვლა), საქართველოს სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით, ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი ფაქტი; თუმცა, ქართველ ხალხს ძალიან დიდი და რთული გზის გავლა მოუწევს მანამ, სანამ „ქვეშევრდომის“ პროვინციული სინდრომისგან განიკურნება და მისთვის უცხოელის (თუნდაც - ელჩის, ან უცხო ქვეყნის პრეზიდენტის) ერთ სიტყვაზე გაცილებით წონადი იქნება საკუთარი ქვეყნის, მის მიერვე არჩეული პრეზიდენტის ნათქვამი.

# შევარდნაძეს ოპოზიციის მზაობა აშფოთებს

ბადრი კოპლატაძე

საქართველოს პრეზიდენტმა ბოლო ხუთი დღის განმავლობაში უკვე ორჯერ განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების დღევანდელი მზაობა ქვეყნის სამართავად საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, რას ფიქრობს ამ კუთხით იმ პარტიაზე, რომლის საპატიო თავმჯდომარეც თვითონ არის. თუმცა, მისი განცხადება, რომ ძველებურად აქტიურად აღარ ჩაერთვება წინასაარჩევნო კამპანიაში, მოქალაქეთა კავშირის წევრებისათვის არც თუ სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა.

შევარდნაძე, რომელიც წლების განმავლობაში დაპირისპირებული ჯგუფების მანიპულირებით და დაბალანსებით ინარჩუნებდა თანამდებობას, დღეს საჯაროდ მიანიშნებს, რომ ის ნელ-ნელა პოლიტიკური პროცესებისაგან დისტანცირებას მოახდენს და დემოკრატიული არჩევნების გარანტი გახდება. პრეზიდენტის ეს განცხადება სრულიად მისაღები და, შეიძლება ითქვას, მისასალმებელიც კი იქნებოდა, რომ არა რამდენიმე გარემოება. მთავარი კითხვის ნიშნები, უპირველესად, პრეზიდენტის გულწრფელობას უკავშირდება. წარსული გამოცდილება აჩვენებს, რომ პრეზიდენტს საჯაროდ არა ერთხელ გამოუხატავს გარკვეული პოზიცია, რეალურად კი მისი ქმედებები სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ყოფილა. ყველა ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირის ნებისმიერ განცხადებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ასეთი განცხადების უკან კონკრეტული სამოქმედო გეგმა დგას. თუ შევარდნაძის სიტყვებსაც ამ ჭრილით შევაფასებთ, სიტუაცია არც თუ სახარბიელო აღმოჩნდება. სამწუხაროდ, ის ყველაზე მწვავე თემების გარშემო მარტოოდენ ზოგადი განცხადებებით იფარგლება. მისი ბოლოდროინდელი გამოსვლების ერთადერთი ხელშესახები შედეგი კი პრეზიდენტის გარშემო ახალი ძალით გაჩაღებული კულუარული დაპირისპირებები და ინტრიგებია. ასევე წარსულის გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი პროცესები არასოდეს მთავრდება ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებით. შექმნილი სიტუაცია პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ყველა ძალას, უპირველეს ყოვლისა კი პრეზიდენტს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. თუ შევარდნაძეს მართლა სურს, რომ შემოდგომაზე მოვლენები დემოკრატიულ კალაპოტს არ გასცდეს, მან პარლამენტთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო სექტორთან საჯარო დიალოგი უნდა დაიწყოს. პრეზიდენტმა უნდა წარმოადგინოს დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც თავისუფალი, კონკურენტული არჩევნების ჩატარებას და მომავალში პრეზიდენტის ძალაუფლების გადანაწილებას უზრუნველყოფს. საზოგადოებასთან ურთიერთობის მხოლოდ ეს ფორმა შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ საარჩევნოდ ქვეყნაში კვლავ ისეთი შეიარაღებული დაპირისპირება არ გაჩაღდება, რისი მომსწრენიც თორმეტი წლის წინ ვიყავით და რისი სტიმულირებაც სახელისუფლო სტრუქტურებიდან ბოლო დროს საკმაოდ აქტიურად ხდება.

თავის მხრივ წამყვანმა პოლიტიკურ პარტიებმაც უნდა შეძლონ და ყველაზე პრიორიტეტული საკითხებისადმი ერთიანი მიდგომით წარსდგნენ როგორც მოსახლეობის, ისე ხელისუფლების წინაშე. სამწუხაროდ, სიტუაცია არც ამ მხრივ არის სახარბიელო. შევარდნაძის განცხადება, რომ ისინი ქვეყნის სამართავად მზად არ არიან, საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. საქართველოში ოპოზიცია, ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკაზეა დაფუძნებული. ოპოზიციის ძალა და გავლენა კი ერთიორად იზრდება, თუ ის არა მარტო აკრიტიკებს მთავრობას, არამედ მოსახლეობას პრობლემების მოგვარების გონივრულ, კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე დამყარებულ ალტერნატივას სთავაზობს (ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს ნაციონალურ მოძრაობას - მიხეილ სააკაშვილის და მისი პარტნიორების მომავალი ბევრწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ნაციონალური მოძრაობის ლიდერის მოღვაწეობა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე). მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაში ექნება ოპოზიციას წარმატების მიღწევის შანსი, რადგანაც შევარდნაძის განცხადებები, როგორც ჩანს, შემთხვევითი სულაც არ იყო. არჩევნების წინ სახელისუფლო ჯგუფები შეეცდებიან, მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ ოპოზიციის გამარჯვება ქვეყანაში სიტუაციას, გამოსწორების ნაცვლად, კიდევ უფრო გააუარესებს. სავარაუდოდ, სწორედ ეს ცნობილი პიარ-სქემა გახდება მათი საარჩევნო სტრატეგიის საფუძველი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არჩევნებამდე დარჩენილი დრო გამოცდა იქნება როგორც შევარდნაძისათვის, ისე მისი პოლიტიკური მეტოქეებისათვის. საზოგადოებაც მათ მოღვაწეობას სწორედ ამ გამოცდის შედეგებით შეაფასებს.

ეკა კვესიტაძის სვეტი

# სიღატაკიდან - საყოველთაო განუკითხაობამდე

## შევარდნაძის ახალი ლოზუნგი

ორი დღის წინ კიდევ ერთი ადამიანი უცერემონიოდ ჩაცხრილეს, რაც ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძის ყველაზე სახელგანთქმულ ლოზუნგს “სტაბილურობიდან - კეთილდღეობამდე” უკვე საბოლოოდ გამოვემშვიდობეთ და საპატიოდაც დავკრძალეთ. ფაქტია, რომ შევარდნაძის პოლიტიკას ქვეყანა არათუ სტაბილურობისა და კეთილდღეობისკენ, არამედ სიღატაკისა და საყოველთაო განუკითხაობისაკენ მიყავს.

თუ 90-ანი წლების დასაწყისში მაშინდელი მილიცია საკუთარ ნაჭუჭში იკეტებოდა და ვერაფერს უბედავდა არაკანონიერ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, კანონიერ ქურდებს თუ ქუჩის ძველ ბიჭებს, დღეს პოლიციამ საბოლოოდ შეისისხლხორცა კრიმინალთა ფენა, მათი თანამზრახველი და მფარველი გახდა. პოლიციელებს უკვე გულწრფელად სჯერათ, რომ მათი წმიდათაწმიდა მოვალეობა დამნაშავეების მფარველობა და მათი საშუალებით ფულის კეთებაა. ანუ, ქართული პოლიცია უკვე მეტი არაფერია, თუ არა ლეგალიზებული კრიმინალური სამყარო.

რამდენიმე დღის წინ მეგობარი მიყვებოდა, ”მარშრუტკიდან” სამმა ჯიბის ქურდმა როგორ ჩაათრია და დღისით-მზისით, ხალხით სავსე ქუჩაში სცემა მგზავრი, რომელმაც ერთ-ერთს ფულის წართმევის საშუალება არ მისცა. პოლიციას, ბუნებრივია, არაფერი გაუკეთებია. და ეს ერთ-ერთია იმ უამრავ შემთხვევათა შორის, რომელიც ყოველდღე, თითოეული ჩვენგანის თვალწინ ხდება და რომლის გამო, ქუჩაში გამოსვლა უკვე თავისთავად შეიცავს დიდ რისკს.

ამ ფონზე კი, შინაგან საქმეთა მინისტრი ამაყი სახით დგას სამთავრობო ტრიბუნასთან და ოპოზიციის სახით მოსალოდნელ საშიშროებასა და პოლიტიკურ დაპირისპირებაზე ლაპარაკობს.

“მე კი წავალ, მაგრამ თქვენ მზად ხართ მოსასვლელად?” – განუცხადა შევარდნაძემ ოპოზიციას მთავრობის სხდომაზე და მისი სურვილი, რომ პრეზიდენტობა სხვას არ დაუთმოს, იმით ახსნა, რომ ამ ყველაფრის უკან საქართველოს მომავალი დგას.

შევარდნაძე, როგორც ჩანს, თავად არის ყველაზე დიდი მსხვერპლი მისი მმართველობის დროს შექმნილი მახინჯი მითის, რომ მას ალტერნატივა არა ჰყავს და მის გარეშე საქართველო საბოლოოდ დაიღუპება.

საქართველო, შესაძლოა, მართლაც დაიღუპოს, მაგრამ არა იმიტომ, რომ შევარდნაძე ხელისუფლებიდან წავა. დღევანდელმა პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ 1998 წლამდე მისი ძალისხმევით შექმნილი მეტ-ნაკლები სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, დემოკრატიული ინსტიტუტები, საერთაშორისო ავტორიტეტი და იმედები, რომ ჩვენც შეიძლება ნორმალურად ვიცხოვროთ, ბოლო წლების განმავლობაში მიზანმიმართულად და გულმოდგინედ დაანგრია.

მართალია, კითხვას, თუ რატომ ვითარდებოდა საკმაოდ სწრაფი ტემპებით ქვეყანა 1998 წლამდე და რატომ დაიწყო შემდგომ უკუსვლა, შევარდნაძემ ძალიან თავისებური პასუხი მოუძებნა და ყველაფერი მეზობელი ქვეყნების, რუსეთისა და თურქეთის კრიზისს დააბრალა (გვალვა უკვე ამჯერად აღარ უხსენებია), მაგრამ რეალური მიზეზი, ბუნებრივია, ის არჩევანი იყო, რომელიც პრეზიდენტმა თავის დროზე თავისი ნებით გააკეთა.

რა თქმა უნდა, კორუფცია 1998 წლამდეც იყო, მაგრამ სწორედ ამ კორუფციამ, სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტმა, არაკომპეტენტურობამ და უპასუხისმგებლობამ ამოწურა ყველა რესურსი, რაც რადიკალური ცვლილებების გატარების გარეშე ქვეყანას სტაგნაციით ემუქრებოდა. ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოსთვის კი სტაგნაცია ავტომატურად ნიშნავს შემორჩენილი რესურსების ”ჭამას” და, შესაბამისად, სიტუაციის გაუარესებას.

დღეს კი, ვითარება მართლაც საგანგაშოა. ქვეყანაში, საზოგადოების მორალური რესურსის ჩათვლით, მართლაც ყველა რესურსი ბოლომდე ამოიწურა.

როგორც წესი, არ სრულდება ბიუჯეტი და ისევ კატასტროფული რაოდენობით გროვდება საბიუჯეტო დავალიანებები, სოკოებივით მრავლდება შეიარაღებული დაჯგუფებები, თანდათან იზრდება პოლიციისა და კრიმინალური სამყაროს “ურთიერთდავალიანება” და, შესაბამისად, კრიმინალების ძალაუფლება.

აფხაზეთში არათუ რაიმე პროგრესის მიღწევის შანსი დარჩა, არამედ სტატუს-კვოს შენარჩუნებაც კი ვერ ხერხდება. არანაირი სახელმწიფო პოლიტიკა არ ტარდება არც კოდორში და არც სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ყოველწუთს შეიძლება გახდეს რუსეთის ხელში ბერკეტი საქართველოში სიტუაციის ასარევად. ისევ ქართველი ჩინოვნიკების ზღვარგადასული “პატრიოტობის” გამო, ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდება სპეცოპერაცია პანკისში.

ამერიკის დახმარება და მხარდაჭერა დღეს ერთადერთია, რომელიც ქვეყანას რუსეთის აგრესიისაგან და ნაწილ-ნაწილ დაშლისაგან იცავს. თუმცა, დღემდე შევარდნაძეს ადმინისტრაციის არც ერთი რეკომენდაცია არ შეუსრულებია, რასაც თანდათან მოჰყვა იმედგაცრუება ვაშინგტონში. ეს კი რა შედეგებს გამოიღებს, წინასწარ ამის თქმა ძნელია.

რაც შეეხება ბაქო-ჯეიჰანს და ნატო-ში გაწევრიანების სურვილს, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი ქვეყნის დიდ წარმატებად მიიჩნევს, ბუნებრივია, თავისი მნიშვნელობა აქვს და საკმაოდ დიდი, მაგრამ ასეთი კრიზისის დროს მათი მნიშვნელობაც და აქტუალობაც ძალიან მცირდება.

ასე რომ, სიტუაცია მართლაც ძალიან მძიმეა, და ამას განსაკუთრებით ის განცხრომა და თვითკმაყოფილება მოწმობს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ბოლო პერიოდში ასე ერთსულოვნად მიეცა.

ამაზე უარესი პერსპექტივა სხვა პრეზიდენტის მოსვლის შემთხვევაში ქვეყანას ნამდვილად აღარ ექნება. დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც კი ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც შევარდნაძეზე ცუდი პრეზიდენტი იქნება.

# რუსები გუდაუთის სამხედრო ბაზას არ თმობენ

პირველი გვერდიდან

გამიზნული არ იყო. ამიტომ შეხვედრა დროებით ექსპერტთა ფართო წრისათვისაც დაიხურა. სასტუმროს ფოიეში კი დარჩნენ კომფორტულ სავარძლებში ჩასვენებული ნაბახუსევი, ნახევრადმთვლემარე ქართველი ექსპერტები და ფეხზე მდგომი, აშკარად დაძაბული და ყურჩამოყრილი რუსი გენერლები. რუსი და ქართველი ჟურნალისტებიც შეწუხებულნი იყვნენ ინფორმაციის არქონის გამო. “რატომ გვიკვირთ, აქ სამხედრო საკითხებზეა მოლაპარაკებები და ბევრი თემა დახურულია”, უტევდნენ ჟურნალისტებს ქართველი დიპლომატები. რუსი დიპლომატები კი პირიქით, გვაქეზებდნენ, მიდით, ინტერვიუები ჩამოართვით გენერლებს, მაგალითად, გენადი ევნევიჩს, იგი წარმოშობით ბათუმიდანააო...

გენერალი ევნევიჩი მენაღარიშვილს უმტკიცებდა, გალში ერთი ნაღმსატყორცნიც კი აღარ დამრჩაო... რა იყო ეს, ევნევიჩის სინანული თუ თავის მართლება, ძნელი გამოსაცნობია, რადგანაც რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის ქვეითთა ჯარების უფროსის მოადგილე ცუდად ახერხებდა მრისხანების დამალვას.

მოლაპარაკებებში დრამატიზმი მაშინ გაჩნდა, როცა ბაზების გაყვანის ვადებზე მიდგა საქმე. ამ საკითხში, როგორც ირკვევა, რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ძველი პოზიცია არ შეუცვლიათ. შესვენებაზე, ანუ იმ პერიოდში, როცა კლებანოვი პუტინს მოახსენებდა ქართულ მხარესთან მიმდინარე მოლაპარაკებებში არსებულ სირთულეებზე, “პრეზიდენტ-ოტელის” დაცარიელებულ სხდომათა დარბაზში დიპლომატი ლევ მირონოვი მეტად გაცხარებული და აქტიური ჟესტიკულაციით რაღაცას უმტკიცებდა მაგიდასთან შერჩენილ რუს გენერლებს, რომელთაც, აშკარა იყო, რომ რაღაცა არ ეთმობოდათ და, ალბათ, ქართველების უგუნურებაც აკვირვებდათ.

ბატონმა ირაკლიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ “გუდაუთის ბაზაზე კამათი მწვავე იყო, მაგრამ ხანმოკლე”. დანარჩენი დრო კი, ანუ ის პერიოდი, რაც კლებანოვმა კრემლში, პუტინთან გაქცევამდე ქართველი ექსპერტების საზოგადოებაში გაატარა, სამხედრო ბაზების ქართული მხარისათვის დოკუმენტური გადაცემის პიკანტურ საკითხებს შეეხო. ამ პროცესში რუსი გენერლები და დიპლომატები თავგადაკლულნი უმტკიცებდნენ ქართველ ექსპერტებს, რომ უკვე ხმარებაში უნდა დამკვიდრდეს ახალი ტერმინი “გუდაუთის ყოფილი სამხედრო ბაზა”. იმ მოტივით, რომ თურმე გუდაუთის სამხედრო ბაზა, რუსების მტკიცებით, სტამბოლის ხელშეკრულების თანახმად, ძველი სახით აღარ არსებობს. ქართველმა მინისტრებმა ეს, რა თქმა უნდა, არ დაიჯერეს და პრინციპულად მოითხოვეს გუდაუთის ბაზის ინსპექტირება და ამ პროცესში ქართული მხარის მონაწილეობა. კლებანოვის მიერ გამოცხადებულ შესვენებაზე ჩვენთან საუბარში ირაკლი ბათიაშვილმა გახარებულმა გვამცნო, რომ ისინი შეეცდებიან რუსეთის დაყოლიებას ბაზის ინსპექტირებაზე. მოგვიანებით ბათიაშვილმაც ყურებჩამოყრილმა დატოვა დარბაზი, რადგანაც, როგორც გაირკვა, რუსმა ექსპერტებმა ქართული მხარის ეს წინადადება არ გაიზიარეს. ერთი რუსი დიპლომატის თქმით, “ეუთოს მისიის გამოყენება ამ პროცესში ქართველებისათვის კარგი კოზირია, მაგრამ აფხაზთა წინააღმდეგობას გადააწყდებიან.”

სამხედრო ექსპერტთა მოლაპარაკებების გვერდნახევრიანი დასკვნითი ოქმი, პლენარული სხდომის შემდეგ, დისკუსიებისა და შეჯერებების ბოლო ეტაპზე სამ გვერდამდე გაიზარდა, ქართული მხარის დამატებითი წინადადებებით შეივსო და ისე წარედგინა მინისტრებს. მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნებულ ილია კლებანოვს დიდი ენთუზიაზმი სახეზე არ ეწერა. მომლოდინე ჟურნალისტები კვლავაც გზიდან ჩამოიშორა და შუადღეზე შეწყვეტილი შეხვედრა განახლდა. ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, არავინ აცნობა, თუ როგორი სახის ოქმს მოეწერა ხელი და კმაყოფილია თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ორი ქვეყნის ექსპერტთა მოლაპარაკებებით. კლებანოვმა ჟურნალისტებს მოგვიანებით უთხრა, რომ იგი კმაყოფილია, მაგრამ სამუშაო კიდევ ბევრია. საგულისხმოა, რომ დიპლომატებმა აღნიშეს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში პრეზიდენტების კეთილი ნების საჭიროება. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსკოვში მოლაპარაკებები სინამდვილეში მორიგი ფიქციაა, რადგანაც საკამათო საკითხებს მაინც პრეზიდენტები დაუსვამენ საბოლოო წერტილს.

როგორი შედეგით დასრულდა მოსკოვში სამხედრო ექსპერტების შეხვედრის მორიგი მერვე რაუნდი, საუკეთესოდ მეტყველებს პრეზიდენტ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები არ აპირებენ სამხედრო ბაზების დატოვებას ისე, როგორც ამას გერმანიაში ჰქონდა ადგილი. პრეზიდენტის ამ ფრაზამ რუსულ დიპლომატიას ფრთები კი შეასხა, მაგრამ უფრო პრაგმატულად მოაზროვნე გენერლები საპირისპიროში დაარწმუნა - მაგალითად იმაში, რომ მხარეები სამარცხვინოდ ვაჭრობენ.

რუსი ექსპერტების კომენტარით, გალანძღული რჩება რუსეთის სამშვიდობო მანდატი და მთელი სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში, რომელიც, ქართველთა მტკიცებით, ისედაც დისკრედიტებულია. მუნდირის პატივზე ინერციით შეყვარებული და საკუთარ პრეზიდენტზე დღეს გულაყრილი რუსი დერჟავნიკი გენერალიტიტეტი ასეთი ბოლმის გადაყლაპვას არავის აპატიებს. ეს კარგად ესმის რუსეთის პრეზიდენტსაც, ამიტომაა დღეს ორი ქვეყნის სამხედრო თემატიკა პრობლემატური და საბოლოო ჯამში, მხოლოდ პრეზიდენტთა განსჯის საგნად დატოვებული.

მოსკოვში გამართული მოლაპარაკებებით რუსულმა მხარემ მაინც ვერ გაიგო, რას ნიშნავს პრეზიდენტების შეთანხმება “რაღაც სინქრონიზაციაზე”, რაც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსების არყოფნის შემთხვევაში სისხლისღვრით შეიძლება დასრულდეს.

აი, როგორი წარმოდგენა აქვს ამ ყველაფერზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს **ირაკლი მენაღარიშვილს:**

**- დასკვნით ოქმს ხელი კი მოვაწერეთ, მაგრამ თვენახევრის განმავლობაში ექსპერტები ისევ შეხვდებიან. ვწუხვარ, რომ რუსეთმა ყველა შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მაგრამ ოპტიმიზმს არ ვკარგავთ. ეს რაუნდი უნაყოფო არ ყოფილა თუნდაც იმიტომ, რომ დინამიკა შევინარჩუნეთ. იმის მიუხედავადაც, რომ მოლაპარაკებებში შეფერხებამ სტაგნაციამდე მიგვიყვანა. სამი ძირითადი საკითხი განვიხილეთ: გუდაუთის ბაზის ინფრასტრუქტურის ქართული მხარისათვის გადმოცემის, ბაზების გატანის ვადებისა და ამ პროცესში სრული გამჭირვალეობის. ამ უკანასკნელმა კამათი გამოიწვია, რადგანაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბაზის შემოწმებაზე რუსეთის პოზიციას. რუსულმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, სტამბოლის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი მექანიზმები გამოიყენოს, ოღონდ მასპინძელმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ინსპექტორთა უსაფრთხოება. გასაგებია, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ, ამიტომ აქ ვალდებულება რუსეთმა უნდა აიღოს. მათ კი უკვე ყოყმანი დაიწყეს. ვფიქრობ, კიდევ დროა საჭირო. ყველაფერი ისე ადვილი არ არის, როგორც გიყვებით. ჩვენი დელეგაციები სხვადასხვა ინტერესების ხალხისაგან შედგება, მაგრამ ბატონმა კლებანოვმა სიტუაცია რეალისტურად შეაფასა. მე მოკამათე გენერლებიც მინახავს, დიპლომატებიც და გასაგებია, რომ ორივენი საკუთარი უწყების ინტერესებს იცავენ. ჩვენ ეს არც გვიკვირს, მაგრამ რუსებს გუდაუთის ბაზა რომ არ ემეტებათ, ესეც ცხადია**.

რუსი ექსპერტები კი არ მალავენ, რომ ჯერ ადრეა მერვე რაუნდის კონკრეტულ შედეგებზე საუბარი, რადგანაც პრობლემური საკითხები მხარეებმა ღიად დატოვეს. უკვე არავინ მალავს, რომ მოსკოვში სამხედრო ექსპერტების მოლაპარაკებებმა ამ ეტაპზე ზედმეტად პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა, რადგანაც აქ საქმე რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას შეეხება. რუსეთის სამხედრო მთავარსარდალი კი ჯერჯერობით ვლადიმირ პუტინია. ამიტომაც, რუსეთისათვის ასე მტკივნეული სამხედრო თემატიკა პრეზიდენტთა პოლიტიკური გადაწყვეტილების ამარაღა დარჩა.

# ვეტერანი „ალტავისტა“ გროშებად გაიყიდა

თორნიკე შარაშენიძე

საინტერნეტო ბიზნესის ერთ-ერთი ვეტერანი და ერთ დროს ყველაზე უფრო პოპულარული “საძიებელი იარაღი” - “ალტავისტა” - 140 მილიონად გაიყიდა. კომპანია, ამ სასაცილო თანხად, ხელში ჩაიგდო მარკეტინგულმა ფირმა “უვერტიურამ.” “ალტავისტას” მეპატრონე საინვესტიციო ფონდი “სიემჯიაი” ნაღდ ფულად 60 მილიონ დოლარს და 80 მილიონის ღირებულების “უვერტიურას” აქციებს მიიღებს. ეს გარიგება “სიემჯიაისათვის,” ალბათ, ყველაზე უფრო მძიმეა მისი არსებობის ისტორიაში, რადგან თავის დროზე, 1998 წელს, მან “ალტავისტაში” 2,4 მილიარდი დოლარი გადაიხადა.

იმ ხანებში “ალტავისტა” ყველაზე პოპულარული საძიებელი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მან აშკარად დათმო პოზიციები ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა “გუგლი” და ყველასათვის ცნობილი “იაჰუ.”

“ალტავისტა” კომპანია “დიჯიტალ ექუიპმენტის” ინჟინერთა ნახელავი გახლდათ. მათ “ალტავისტას” საიტი თავდაპირველად იმისთვის შექმნეს, რომ საკუთარი წარმოების კომპიუტერებისათვის გაეწიათ რეკლამა. სულ მალე “ალტავისტა” საუკეთესო საძიებლად იქცა ინტერნეტში და თვით “იაჰუც” დაჯაბნა.

“დიჯიტალ ექუიპმენტი” მალე გაქრა. იგი “კომპაქმა” შეისყიდა (რომელიც, თავის მხრივ, “ჰიულეტ-პაკარდის” ნაწილად იქცა), “ალტავისტა” კი ამასობაში ყვაოდა. ერთი პერიოდი მის ხელმომწერთა რაოდენობამ 300 მილიონს მიაღწია. ყველაფერი კარგად იყო 2000 წლამდე, როდესაც ტექნოლოგიური კომპანიების აქციებმა არნახული კრახი განიცადა. ამ მოვლენამ მყისვე მიუჩინა თავისი ადგილი კანონზომიერად განვითარებულებსა და შემთხვევით აღზევებულებს. “ალტავისტა” ამ უკანასკნელთა რიგებში აღმოჩნდა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში ელექტროენერგიის გრაფიკი დღეს საღამოდან ამოქმედდება. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში ენერგეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის წინ ჟურნალისტებს საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემის დირექტორმა ვახტანგ ბეგიაშვილმა განუცხადა, „ეი-ი-ეს თელასთან“ ერთობლივად დღეს შეთანხმებული გრაფიკის თანახმად, თბილისი ელექტროენერგიას საღამოს 20-დან 24 საათამდე და დილის 8-დან 10 საათამდე მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო და რუსეთი ეთერზეთებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში ურთიერთობების გაფართოებას გეგმავენ. რუსეთის წინაშე დაისვა საკითხი, რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე ღვინის ქარხნებისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე არსებული ქონების საქართველოს საკუთრებად გამოცხადების თაობაზეც. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 131-ე კმ-ზე, სადაც 18 იანვარს ნავთობის გაჟონვას ჰქონდა ადგილი, აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია. გაჟონვა გორის რაიონის სოფელ სვენეთთან მოხდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერთ კვირაში საქართველოში რუსული კომპანია „იტერას“ პრეზიდენტი იგორ მაკაროვი ჩამოვა. მანამდე საქართველოს მხარემ ყველა საჭირო დოკუმენტაცია უნდა მოამზადოს. „იტერამ“ 500 ათასი დოლარი „აზოტის“ შესაძენად უკვე გადმორიცხა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2003 წელს ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტის ძველი 3-მილიონიანი დავალიანების გასასტუმრებლად ბიუჯეტში მხოლოდ 900 ათასი ლარი გაითვალისწინა. პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს ხელმძღვანელის გიგი წერეთლის პროგნოზით, 900 ათასი ლარი პარლამენტს სატელეფონო დავალიანებების დასაფარად არ ეყოფა და იგი წელსაც მევალის მდგომარეობაში დარჩება. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლომ სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოსთვის“ ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ყადაღა უკანონოდ სცნო და ორგანიზაციის ანგარიში ყადაღისაგან გაათავისუფლა. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება სწავლობს მსოფლიო ბანკის წინადადებას მდინარე რიონზე ხუთი მცირე ჰესის სარემონტოდ 35 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე. ეს საკითხი, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფო მინისტრთან გამართული დახურული თათბირის ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო. მსოფლიო ბანკის კრედიტის მიღების თანხმობის შემთხვევაში, რემონტის შემდეგ მცირე ჰესები პრივატიზაციას დაექვემდებარება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „თბილგაზს“ დედაქალაქში ბუნებრივი აირის წნევის დარეგულირება უჭირს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას, სულ ცოტა, ორი დღე კიდევ დასჭირდება. **”ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსახლეობის დაბალი აქტივობის გამო, „ეი-ი-ეს თელასმა“ მომხმარებლებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება, შესაძლოა, გადაიფიქროს. ამჟამად ამერიკულ კომპანიასთან ხელშეკრულება მხოლოდ 20-მდე აბონენტს აქვს დადებული. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 27 კომერციულ ბანკში სალიკვიდაციო პროცესები მიმდინარეობს. ამ კომერციული ბანკებიდან ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზია ზოგიერთს ჯერ კიდევ რვა წლის წინ ჩამოერთვა, თუმცა, სალიკვიდაციო პროცესები აღნიშნულ ბანკებში ჯერ კიდევ არ დასრულებულა. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის უდიდეს არასამთავრობო ორგანიზაცია TEMA-სთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოში ახლო მომავალში მეფუტკრეობის ასოციაციის შექმნაა დაგეგმილი. სავარაუდოდ, ასოციაციაში აჭარიდან, კონკრეტულად კი მაჭახელას ხეობიდან, დაახლოებით 40 მეფუტკრე გაერთიანდება. წინასწარი გათვლებით, ფუტკრის პროდუქტის ბიზნესი ხეობას ყოველწლიურად 50 ათასი დოლარის შემოსავალს მოუტანს. **“ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინაში არსებული საქართველოს კუთვნილი სელიდოვოს ღვინის ქარხნის ბაზაზე, შესაძლოა, საქართველო-უკრაინის ერთობლივი საწარმო შეიქმნას. **კავკას-პრესი**

# შევარდნაძე "ბიპი"-ს ეკოლოგიური უსაფრთხოების გეგმას ენდობა

პირველი გვერდიდან


მარია ეიგრიგი და ედ ჯონსონი.

მილსადენის მშენებლობა წალკის რაიონში დაიწყება. პირველ ეტაპზე, აქ მიტოვებულ სკოლას 150 კაცის საცხოვრებელ ყაზარმად გადააკეთებენ. იქ წინწყაროსთან, დერეფნის 135-ე კილომეტრზე მომუშავე პერსონალი იცხოვრებს. წალკის რაიონშივე მოეწყობა ძირითადი სამშენებლო ბანაკიც, სადაც 450 კაცი იცხოვრებს.

რაც შეეხება მილსადენისთვის საჭირო დროებითი ობიექტების სამონტაჟო სამუშაოებს, მათ ქართული „ინჟმშენი“ შეასრულებს. ასევე, ქართულმა „გეო-ინჟინერინგმა“ ჩაატარა წინასწარი საველე კვლევებიც.

ჯონსონის თქმით, **„ვინაიდან ISEA (გარემოსდაცვითი ნებართვა) და მილსადენის მარშრუტი უკვე დამტკიცებულია, „ბი-პიმ“ მიწის შესყიდვის პროცესი დაიწყო.“** როგორც „ბი-პის“ მიწის შესყიდვის საკითხების მენეჯერმა სტიუარტ დანკანმა განაცხადა, მიწების შესყიდვა წალკა-ბორჯომი-ადიგენი-ახალციხის რაიონებიდან იწყება. **„ოფიციალური ხელშეკრულებების გაფორმება მიწის მესაკუთრეებთან უკვე დაწყებულია ბორჯომსა და ახალციხეში, 24 თებერვალს ეს პროცესი წალკაში დაიწყება, შემდეგ კი გარდაბანსა და მარნეულში გაგრძელდება. პროცესის დასრულება ივნისისათვის გვსურს,“** - დასძინა მან.

„ბი-პი“ მილსადენის მშენებლობის დაწყებას აპრილში გეგმავს და სურვილი აქვს, მომავალ ზამთრამდე მთაში სამუშაოების ჩატარება მოასწროს. სწორედ, ამ მოტივით ხსნის ედ ჯონსონი „ბი-პის“ მიერ მიწის შესყიდვების ამ რაიონებიდან დაწყებას.

**„უკანასკნელი ინფორმაციით, ჩვენს წინადადებებზე 339 თანხმობა უკვე გვაქვს. მილიონ 400 ათასი ლარი, მიწისა და მოსავლის კომპენსაციის სახით, უკვე გავეცით. მოგვიანებით დაიწყება მშენებლობა სხვა რაიონებში, ამიტომ მიწას იქ მოგვიანებით ვიყიდით. სამუშაოების დაწყებამდე მშენებლობისთვის სრული ნებართვა უნდა გვქონდეს,“** – განაცხადა დანკანმა.

რაც შეეხება ნებართვას, ედ ჯონსონი აცხადებს, რომ გარემოსდაცვითი დოკუმენტისთვის პირობები დამტკიცებულია და „ბი-პის“ დამატებითი უსაფრთხოების ზომების გატარების ვალდებულება აღებული აქვს. **„გასულ კვირაში გარემოს დაცვის სამინისტროს გადავეცით ჩვენი გეგმა, სადაც შესულია, კონკრეტულად, ბორჯომის ხეობის უსაფრთხოების ღონისძიებების გამკაცრებული დაცვის ზომები. ჩვენ მინისტრი ჩხობაძე ვერ ვნახეთ, თუმცა მისმა მოადგილემ აღგვითქვა, რომ ამ დოკუმენტს მიაწვდიდა მინისტრს. მანამდე კი, ეს პროექტი პრეზიდენტსაც წარვუდგინეთ და მან ის მოიწონა,“** – განაცხადა ჯონსონმა.

სტიუარტ დანკანის ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციის მიხედვით კი, კომპანიის მიერ მიწის 2800 მესაკუთრიდან 1900-სათვის უკვე შეთავაზებულია „ბი-პის“ მიწის საკომპენსაციო პირობები, საიდანაც მხოლოდ 10-მა შეიკავა თავი. დანკანის თქმით, მათთან მოლაპარაკებები გაგრძელდება. როგორც გაირკვა, „ბი-პი“ საქართველოში, მიწის კომპენსაციების სახით, სულ 12-13 მილიონ ლარს გასცემს. მიწის შესყიდვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებში „ბი-პის“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია“ ეხმარება.

რაც შეეხება სოციალური ინვესტირების პროგრამებს, ისინი ოთხ სფეროზეა გათვლილი: მარშრუტზე არსებული რეგიონების სასმელი წყლით მომარაგებაზე, ენერგომომარაგებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საერთო-ეკონომიკურ განვითარებაზე. **„გვექნება დაჩქარებული ეფექტის პროგრამებიც, როგორიცაა სკოლების რემონტი. დაგეგმილია გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებაც, მაგალითად, გაიცემა მიკროკრედიტები მოსახლეობაზე. შესაძლოა, დაფინანსდეს ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიებაც,“** – განაცხადა „ბი-პის“ კომერციულმა მენეჯერმა უილიამ თაუნსენდმა.

„ბი-პიმ“ სოციალური ინვესტირების პროგრამებისთვის გამოცხადებულ ტენდერში ორი გამარჯვებული ორგანიზაცია გამოავლინა. „პირველი მათგანია „ქეა-ინტერნეიშენალ“-ის ხელმძღვანელობით გაერთიანებული ოთხი ქართული კომპანია, ხოლო მეორე – „მერსი ქორპორეიშნ“-ის ხელმძღვანელობით გაერთიანებული ხუთი ქართული კომპანია,“ – განმარტა „ბი-პის“ გარემოს დაცვის მენეჯერმა მარია ეიგრიგმა. მისი თქმით, მომავალ კვირაში სოციალური ინვესტირების საკითხებს „ბი-პი“ საგანგებო პრეს-კონფერენციას მიუძღვნის.

# ენერგომილსადენების მშენებლობის რევიზიას კონტროლის პალატა ჩაატარებს

*საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანიზაციები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის ერთობლივ მონიტორინგს ჩაატარებენ. მილსადენების მშენებლობის პროექტში ქართულ მხარეს მხოლოდ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (GIOC) წარმოადგენდა. GIOC-ის ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით, ახლა საქართველოს ინტერესებს ორი უწყება - GIOC და საქართველოს კონტროლის პალატა დაიცავს.*

სოფიკო ოხანაშვილი

დსთ-ს წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს საქმიანობის ფარგლებში და საქართველოს პრეზიდენტის №492 ბრძანებულების – ”ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტების კოორდინაციისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ” – შესაბამისად, მიმდინარე წლის 30 იანვრიდან 2 თებერვლამდე აზერბაიჯანში საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის ოფიციალური ვიზიტი შედგა. ბაქოში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ორი მოკავშირე ქვეყნის საერთო ამოცანებისა თუ პროექტების შესრულების მიმდინარეობის ერთობლივი მონიტორინგი და მათი წარმატებული რეალიზაციის ხელშეწყობა. **”ერთობლივი ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად და შემოწმებების ჩასატარებლად, ინფორმაციის გაცვლისა და ხარისხიანი შემოწმებებისათვის შევიმუშავეთ ეს ხელშეკრულება. ის ნებას გვაძლევს, ერთობლივად განვახორციელოთ მაკონტროლებელი საქმიანობა, რადგან ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობაში მთავარი მხარეები სწორედ აზერბაიჯანი და საქართველოა”,** - განაცხადა კონტროლის პალატის რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა რომან ბოკერიამ. მისივე ცნობით, კონტროლის პალატის კომპეტენციაა გააკონტროლოს, თუ რამდენად სწორად, მიზანმიმართულად და ეფექტურად იხარჯება საბიუჯეტო თანხები; რამდენად გეგმაზომიერად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტების განხორციელება. აქედან გამომდინარე, კონტროლის პალატის დაკვირვების ფარგლებში მოექცევა როგორც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების საქმიანობა, ასევე იმ კერძო ორგანიზაციების მუშაობაც, რომლებიც სახელმწიფომ თავისი ინტერესების განსახორციელებლად დაიქირავა.

**”თუ რომელიმე პარამეტრი არ შესრულდა დადგენილ ვადაში, რაც საშიშროებას უქმნის პროექტის განხორციელებას, ამ შემთხვევაში შეიქმნება ერთობლივი ჯგუფი, რომელშიც შევლენ როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის კონტროლის პალატების წარმომადგენლები. ასევე მოვიწვევთ ექსპერტებს კერძო სექტორიდან და, საჭიროების შემთხვევაში, BP-დანაც”,** - აღნიშნა ბოკერიამ. ჯგუფის დაკომპლექტება და ექსპერტების შერჩევა ყოველი კონკრეტული დარღვევის აღმოჩენისთანავე მოხდება.

ჯგუფი ჩატარებული მუშაობისა და ანალიზის საფუძველზე დაწერს დასკვნას. მაგალითად, საქართველოს კონტროლის პალატა ამ დოკუმენტს გაუგზავნის პარლამენტს, პრეზიდენტს და GIOC-ს. მსგავსი პროცედურა ჩატარდება აზერბაიჯანშიც. **“ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა, ფაქტობრივად, რეკომენდაციაა, თუ როგორ ავიცილოთ ესა თუ ის პრობლემა თავიდან; გადაწყვეტილება კი უკვე ხელისუფლებამ უნდა მიიღოს”,** - განაცხადა კონტროლის პალატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა.

# ეკოწარმოება სასარგებლოცაა და მომგებიანიც

სოფო კვინტრაძე

ევროკომისიის თბილისის წარმომადგენლობაში რეგიონული პროექტის “სუფთა წარმოება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შერჩეულ ქვეყნებში: საქართველო, მოლდოვა და ყაზახეთი” პრეზენტაცია შედგა. პროექტს, რომლის ღირებულება თითოეული ქვეყნისათვის ნახევარი მილიონი ევროა, ევროკავშირის Tacis-ის პროგრამა აფინანსებს. როგორც პროექტის ხელმძღვანელი ჯონ ბაკარაკი აცხადებს, მათი მიზანია ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად მომგებიანი პროდუქტების წარმოების დანერგვა საქართველოში. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ ირლანდიური და პოლონური ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს პროექტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებენ. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, მოხდება იმ საწარმოების შერჩევა, რომლებიც სასინჯ პროექტში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ და შესაბამის მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებენ. აღნიშნული საწარმოებისათვის სამივე ქვეყანაში დამატებით იქნება გამოყოფილი 400 ათასი ევრო, რაც სადემონსტრაციო პროექტისათვის საჭირო აღჭურვილობისა და ნედლეულის შესყიდვას მოხმარდება. პროექტი არ დააფინანსებს საწარმოს თანამშრომელთა ანაზღაურების თანხებს. ჯონ ბაკარაკი იმედოვნებს, რომ ორი წლის განმავლობაში ისინი აქტიურად ითანამშრომლებენ როგორც სამთავრობო უწყებებთან, ასევე კერძო მეწარმეებთან. **“ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეკოლოგიურად სუფთა წარმოება ხელს უწყობს როგორც ადამიანთა ჯანმრთელობას, ასევე ამცირებს საწარმოო დანახარჯებს და ზრდის ბიზნესის მომგებიანობას,”** – აღნიშნა ჯონ ბაკარაკმა.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!
ყოველი 21-ე, რომელიც გახსნის დეპოზიტს
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში
მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს,
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

e-mail: mbg@mbg.com.ge
e-mail: vake@vake.mbg.com.ge
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge
e-mail: mbgl@access.sanet.ge
e-mail: mbgk@mbg.com.ge
e-mail: info@gori.mbg.com.ge
e-mail: info@batumi.mbg.com.ge
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge
e-mail: varketili@mbg.com.ge
e-mail: mbgp@internet.ge
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

# ვინ გაიმარჯვა სომხეთში?

რევაზ ბახტაძე
ერევნიდან

19 თებერვლის, საღამოს რვა საათზე, სომხეთში ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა და ახლა ყველა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დასკვნის მოლოდინშია. თუმცა, წინასწარი და დაუზუსტებელი მონაცემებით, ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა რობერტ კოჩარიანმა მიიღო.

ყველაზე ადრე საარჩევნო უბანში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე, ეროვნული ერთიანობის პარტიის ლიდერი არტაშეს გეღამიანი გამოცხადდა. საარჩევნო კაბინაში შესვლისას გეღამიანმა ოპერატორებს ირონიულად გადახედა და კაბინაში მიიპატიჟა. ცნობილია, რომ ეროვნული ერთიანობის პარტიის ლიდერს მედიასთან ურთიერთობა ძალიან არ უყვარს.

„კოჩარიანი ხელისუფლების უზურპირებას ცდილობს, მაგრამ ეს ნომერი აღარ გაუვა. ხელისუფლება აგონიაშია და ისინი თავიანთი ხელით ითხრიან სამარეს. ათასობით კაცს კი უკანონო მოქმედებებისაკენ უბიძგებენ, რასაც არ ვაპატიებთ“, - რიხიანად განაცხადა კაბინიდან გამოსულმა გეღამიანმა.

არტაშეს გეღამიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას მეორე ტურის დანიშვნის შესაძლებლობა არ გამორიცხა. მისი აზრით, მეორე ტურში თვითონ და სტეპან დემირჭიანი გავლენ, „შემდეგ კი უკვე სომეხი ხალხი გაიმარჯვებს“. „მე გამოვრიცხავ ჩემს არგამარჯვებას“, - დასძინა მან მოგვიანებით.

პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნების დროს დაშვებულ დარღვევებზეც მიუთითა. მისი მტკიცებით, ერევნის ერთ-ერთ უბან დავითაშენში სამხედროები მივიდნენ, რომლებსაც წინასწარ დარიგებული ბიულეტენები ჰქონდათ, სადაც კოჩარიანის გვარი იყო შემოხაზული.

რამდენიმე საათში ეს ინფორმაცია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კატეგორიულად უარყო.

პრეზიდენტი კოჩარიანი და სტეპან დემირჭიანი საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად ზუსტად ერთ დროს მივიდნენ. კოჩარიანი თავდაჯერებული ჩანდა. „კონკრეტული გათვლების გარეშე ბრძოლაში არასოდეს არ ვებმები“, - განაცხადა მან. პრეზიდენტმა ვრცელი კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა. მისი თქმით, ერთთვიანი ინტენსიური საარჩევნო კამპანიის შემდეგ, ის დღეს დაისვენებს.

11 საათისათვის ოჯახისა და დიდი დაცვის თანხლებით თავის საარჩევნო უბანთან გამოჩნდა სტეპან დემირჭიანიც. „პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს, მაგრამ ხმათა მცირე პროცენტს არ მივიღებ“, - განაცხადა საარჩევნო კაბინიდან გამოსულმა დემირჭიანმა. „24 საათის“ შეკითხვაზე, რას მოიმოქმედებს სახალხო პარტიის ლიდერი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, სტეპან დემირჭიანმა გვიპასუხა, რომ „ყველაფერს საკუთარ სახელს დაარქმევენ“.

დემირჭიანის თქმით, უკვე არსებობს რამდენიმე შემაშფოთებელი ცნობა, რომლის თანახმად, ასეულობით ბიულეტენი უკანონოდ ჩაყარეს ურნებში. „გულუბრყვილო არავინ არის, რომ დაიჯეროს, თითქოს, ეს ხელისუფლება არჩევნებს სამართლიანად ჩაატარებს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დარღვევები აღვკვეთოთ“, - აღნიშნა მან.

„სავსებით რეალურია, რომ პირველივე ტურში შევძლო გამარჯვების მიღწევა“, - განაცხადა სტეპან დემირჭიანმა.

არჩევნების დამთავრებამდე სამი საათით ადრე ოპოზიციის ოთხმა ძირითადმა კანდიდატმა რობერტ კოჩარიანი არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. „ეს ყოველივე ამჟამინდელი პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის არაპოპულარული რეჟიმის მცდელობაა, რომ ძალაუფლება ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს“, - ნათქვამია ოპოზიციონერ ლიდერთა ერთობლივ განცხადებაში.



*სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთო-ს მეთვალყურეთა ჯგუფს სერ რასელ ჯონსტონი ხელმძღვანელობს.*

ყველაზე ხმაურიანი დარღვევა კი შუადღისას მოხდა. ერევნის ერთ-ერთ ცენტრალურ უბან შირვანზადეში პოპულარული სომხური ტელეკომპანიის „შანტვ“-ის გადამღები ჯგუფის ოპერატორი უცნობებმა სცემეს და კამერა წაართვეს. საარჩევნო უბანში ერთ-ერთმა ქალმა სკანდალი ატეხა, რომ დარღვევას ჰქონდა ადგილი. ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი რამდენიმე წუთში მივიდა, იქაურობა გადაიღო და ინტერვიუები ჩამოართვა კომისიის წევრებსა და დამკვირვებლებს. „გამოსვლისას ვიღაცეები მოვარდნენ, ოპერატორს ჩაარტყეს და კამერა გაიტაცეს“, - იხსენებს წიანარი, „შანტვ“-ის რეპორტიორი.

მართალია, მოგვიანებით ასევე უცნობმა პირმა კამერა დააბრუნა, მაგრამ კასეტის გარეშე. აღნიშნული ფაქტი, ოპოზიციური პარტიის შტაბებმა, სასწრაფოდ კოჩარიანის სახელს დაუკავშირეს და მასმედიის დარბევაში დასდეს ბრალი. თავად რობერტ კოჩარიანის შტაბმა კი ყველაფერი ოპოზიციას გადააბრალა და განაცხადა, რომ ეს ოპოზიციის გამიზნული პროვოკაცია იყო.

ოპოზიციონერ კანდიდატთა შტაბები მთელი დღის განმავლობაში ავრცელებდნენ ინფორმაციას მასობრივი დარღვევების თაობაზე. დემირჭიანის შტაბის პრეს-მდივნის რუზანა ხაჩატრიანის თქმით, საარჩევნო სიები დაუზუსტებელია, არსებობს უამრავი მკვდარი სული და სომხეთიდან ემიგრაციაში წასული ადამიანი, რომელთა ხმებს ხელისუფლება თავის სასარგებლოდ იყენებს. ხაჩატრიანის მტკიცებით, მათთვის არც ე.წ. „კარუსელია“ უცხო, სადაც არჩევნების დროს გამოთქმული ბრალდებები გაქრილი ვაშლივით ჰგავს ჩვენსას.

სომხეთში იმყოფებოდნენ ქართველი დამკვირვებლებიც, რომლებიც დსთ-ს ეგიდით ანხორციელებდნენ მონიტორინგს. ერთ-ერთი დამკვირვებლის, სომხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის გიორგი თევზაძის თქმით, მათ ერევანში მე-6 და მე-7 საარჩევნო ოლქების ყველა საარჩევნო უბანი მოინახულეს. „გარწმუნებთ, არანაირი დარღვევა არ ყოფილა. ყველაფერი ძალიან ორგანიზებული იყო და არც ერთი კანდიდატის წარმომადგენელს ჩვენთან შეხვედრისას არ დაუჩივლია“, - განაცხადა თევზაძემ „24 საათთან“ საუბრისას.

სომხეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 19 თებერვალს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია და ჟურნალისტებთან შეხვედრას 20 თებერვალს გეგმავს. საერთაშორისო დამკვირვებლებიც დღეს ჩაატარებენ საგანგებო პრეს-კონფერენციას, სადაც ეუთო-სა და ევროპის საბჭოს დამკვირვებელთა მისიები ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხებენ. არჩევნების მიახლოებითი მონაცემებიც სწორედ დღეს საღამოს გახდება ცნობილი.

თუმცა, კანდიდატები აცხადებენ, რომ მათ უკვე აქვთ წინასწარი შედეგები. გუშინ საღამოს დემირჭიანის საარჩევნო შტაბმა „რუსთავი 2-ს“ განუცხადა, რომ სტეპან დემირჭიანმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და რომ მეორე ტურის ჩატარება აღარ გახდება საჭირო.

ამ განცხადების შემდეგ, კოჩარიანის შტაბმა დაუყოვნებლივ მოიწვია საპასუხო პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ შტაბის წევრები მშვენიერ ხასიათზე არიან და ამისათვის საკმარისი საფუძველი აქვთ. თუმცა, მათი განცხადებით, არჩევნების წინასწარი შედეგები ჯერაც უცნობია. კოჩარიანის მხარდამჭერები ასევე აცხადებენ, რომ ჩატარდა თავისუფალი და სამართლიანი, გაუყალბებელი არჩევნები.

# ერაყი: კვანძის გახსნა ახლოვდება

### ბრიტანეთმა თავის მოქალაქეებს ერაყის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა

შოთა უტიაშვილი

*ერაყის ირგვლივ დაძაბულობა პიკს აღწევს. ექსპერტების მიერ ნავარაუდევი ომის დაწყების რამდენიმე თარიღი უკვე გავიდა. პროგნოზებს უკვე აღარ აკეთებენ, მაგრამ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას დღე-დღეზე მოელიან. პოზიციებს არც ომის მოწინააღმდეგენი თმობენ.*

## სასარგებლო, მაგრამ არა აუცილებელი

ახალი ამბების სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ამზადებენ უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის პროექტს, რომელიც ერაყს ბრალს სდებს წინა რეზოლუციის დარღვევაში და მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების სანქციას იძლევა.

„ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად, რათა გამოვნახოთ საუკეთესო გზა ერაყის შესახებ ახალი რეზოლუციის მისაღებად“ – განუცხადა რეპორტიორებს აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა. „ჩემი აზრით, ეს რეზოლუცია საჭიროა, მაგრამ აუცილებელი არ არის“ – დასძინა მან.

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, რეზოლუცია ძალიან მოკლე და ძალიან მკაცრი იქნება. „სულ ერთი-ორი სტრიქონი“. ასევე, ტელეკომპანიას მოყავს მაღალი თანამდებობის ანონიმი პირის გამონათქვამი, რომ რეზოლუციის დაწერა ადვილია, ძნელია უშიშროების საბჭოზე მისი გატანა (გატანა გულისხმობს, რომ რეზოლუციას ცხრა ქვეყანამ მაინც უნდა დაუჭიროს მხარი და არც ერთმა მუდმივმა წევრმა ვეტო არ უნდა დაადოს).

ამიტომაც, როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, მოგვიანებით სახელმწიფო დეპარტამენტმა, ინგლისელებთან კონსულტაციის შედეგად, რეზოლუციის ტონი შეარბილა. ახალი რედაქცია, დიპლომატების თქმით, თითქმის იმეორებს წინა, 1441-ე რეზოლუციას და ნაცვლად ომის გამოცხადებისა, „დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სერიოზულ შედეგებზე საუბრობს“.

თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს შერბილებული რეზოლუციაც შეიძლებოდა ჩაეგდოთ. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, თეთრმა სახლმა გადაწყვიტა, დროებით მისი წარდგენისაგან თავი შეიკავოს, და ამის გაკეთება, სავარაუდოდ, მომავალ კვირამდე გადადოს.

"სი-ენ-ენის" ცნობით, აშშ მთავრობის მაღალი რანგის მოხელეები აცხადებენ, რომ შესაძლოა, ბუშმა გაერო-ს კიდევ ორი-სამი კვირა აცადოს. თუ ამ ხნის განმავლობაში უშიშროების საბჭომ არ მოინდომა გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ამერიკა „მსურველთა კოალიციასთან“ ერთად, მის გარეშე დაიწყებს ომს.

## ომის მოწინააღმდეგეები

ომის ყველაზე თავგადაკლული მოწინააღმდეგეა საფრანგეთი. პრეზიდენტმა შირაკმა ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ თუ უშიშროების საბჭო მიიღებს რეზოლუციას, რომელიც პირდაპირ ომს გამოუცხადებს ერაყს, პარიზი იძულებული იქნება მას ვეტო დაადოს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ჟან-პიერ რაფარენმა ამ ვეტოს „საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის სტრატეგიული ელემენტი უწოდა“.

საფრანგეთი და ომის სხვა მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ინსპექტირების პროცესი შეიძლება ძალიან კარგად არა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ტემპებით მიიწევს წინ. ერაყის ხელისუფლებაც ხვდება, რომ ინსპექტორთა ყველა მოთხოვნის შესრულება მისი ბოლო შანსია, ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ მას დაბრკოლება არ შეუქმნას. ერაყის თანამშრომლობის კონკრეტული ნიშნებიც იკვეთება. საკმარისია საერთაშორისო საზოგადოებამ გააგრძელოს ბაღდადზე ზეწოლა და გააძლიეროს ინსპექტირების რეჟიმი, და იგი მიაღწევს მთავარ მიზანს – ერაყის განიარაღებას – ნათქვამია საგარეო საქმეთა მინისტრ დე ვილპენის გამოსვლაში უშიშროების საბჭოზე.

ომის კატეგორიული მოწინააღმდეგეა გერმანიაც, რომელიც აცხადებს, რომ გაერო-ს მანდატის მიღების შემთხვევაშიც კი არ მიიღებს მასში მონაწილეობას. თუმცა, გერმანია თავიდან ისე შორს წავიდა თავის ანტიამერიკანიზმში, რომ დღეს უკვე იძულებულია, ნელ-ნელა უკან დაიხიოს. მაგრამ, მისი ოპოზიცია ჯერჯერობით მაინც მყარია.

საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციას ოფიციალურად იზიარებს რუსეთიც. ბოლო დღეებში, კრემლში, ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს უცხოელ დიპლომატებთან. მოსკოვში იმყოფებოდნენ ევროკომისიის პრეზიდენტი პროდი, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პალასიო, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სინჰა. თითოეული ეს შეხვედრა კრემლმა გამოიყენა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ განეცხადებინა, რომ იგი ჯერჯერობით მაინც ომის წინააღმდეგია. თუმცა, როგორც ჩანს, პრეზიდენტი ბუში მაინც იმედოვნებს, რომ ბოლო მომენტში „მისი მეგობარი ვლადიმირი“ მის მხარეს დადგება, ანუ უშიშროების საბჭოში კენჭისყრის დროს, თავს შეიკავებს.

რუსეთთან მოლაპარაკებების წინადღეს პოზიცია შეიცვალა ინდოეთმა. თუკი ადრე ის ცდილობდა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, ბოლო დღეებში დელი აცხადებს რომ ომის წინააღმდეგია.

თეირანში ჯერ ვერ გაურკვევიათ, რომელია მათი უფრო დიდი მტერი – ერაყი თუ ამერიკის შეეთებული შტატები. ირანელთა დიდ უმრავლესობას სძულს ჰუსეინი, რომელმაც 1980 წელს მათ ქვეყანას ომი გამოუცხადა, მაგრამ მათ რეგიონში ამერიკის სრული დომინირებაც აშინებთ. ოფიციალურად, ქვეყანა ომის კატეგორიული წინააღმდეგია. თუმცა, როგორც ჩანს, თეირანში ომს გარდაუვლად მიიჩნევენ. გუშინ ირანმა თავის მოქალაქეებს ერაყში გამგზავრება აუკრძალა.

შეერთებული შტატების პოზიცია დაგმო მიუმხრობლობის მოძრაობამ, რომელიც 115 ქვეყანას აერთიანებს. მოძრაობამ უშიშროების საბჭოს მოუწოდა გააორმაგოს მუშაობა ერაყის საკითხზე მშვიდობიანი გადაწყვეტის მისაღწევად. მიუმხრობლობის მოძრაობა ცივი ომის დროს, იმ ქვეყნებმა შექმნეს, რომელთაც არ სურდათ რომელიმე ბანაკს მიმხრობოდნენ. დღეს ამ ორგანიზაციას, ბევრი მიმომხილველი, სიმბოლური მნიშვნელობის მატარებლადღა მიიჩნევს.

რაც შეეხება არაბებს – თავად არაბი ექსპერტების შეფასებით ისინი სამარცხვინოდ იქცევიან. შიდა წინააღმდეგობების გამო, არაბულმა ლიგამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ სამიტი ჩაეტარებინა და მასზე ოფიციალური, ერთიანი პოზიცია დაეფიქსირებინა. აშშ-ს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ ბაჰრეინი და ყატარი. კიდევ რამდენიმე ქვეყანა ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ცდილობს. ის კი არა, გასულ შაბათ-კვირას, მაშინ როდესაც მთელ მსოფლიოში ანტისაომარი დემონსტრაციები ტარდებოდა, კაიროს ქუჩებში სულ რამდენიმე ასეული ადამიანი გამოვიდა.

## ამერიკის მეგობრები

თუ დიდ ბრიტანეთს არ ჩავთვლით, ომის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, მათ შორის ყოფილი საბჭოთა ქვეყნები არიან, რომლებიც ამერიკის მადლიერნი არიან მის მიერ ბოლო ათწლეულში გაწეული უზარმაზარი დახმარებისათვის.

გაზეთი „ბალტიკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ლიტვაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 73,5 პროცენტი მხარს უჭერს ლიტვის შეიარაღებული ძალების მონაწილეობას ერაყის წინააღმდეგ ომში. გამოკითხულთა 75 პროცენტი მიიჩნევს, რომ ერაყი მთელ მსოფლიოს, მათ შორის მათ ქვეყანას უქმნის საფრთხეს. 10 პროცენტი თვლის, რომ ერაყი საშიშია, მაგრამ არა ლიტვისათვის, ხოლო 5 პროცენტის აზრით, სადამ ჰუსეინი არავისთვის არ არის საშიში.

აშშ-ს აქტიურად უჭერს მხარს უკრაინაც. ლეონიდ კუჩმამ რამდენიმე დღის წინ ამერიკას სპარსეთის ყურეში უკრაინული სამხედრო ქვედანაყოფების გაგზავნა შესთავაზა. ვაშინგტონმაც, ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო. როგორც აშშ-ის ელჩმა უკრაინაში კარლოს პასკუალმა „როიტერს“ განუცხადა, მან გადასცა პრეზიდენტ კუჩმას ბუშის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლითაც ამერიკა უკრაინისაგან ერაყის სიახლოვეს ქიმიური თავდაცვის რაზმის გაგზავნას ითხოვს. ჩერნობილგამოვლილ უკრაინელ სამხედროებს ამ საქმეში უნიკალური გამოცდილება აქვთ. წინასწარ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინა შეასრულებს ვაშინგტონის ამ თხოვნას.

ამერიკისადმი მადლიერების გრძნობას აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში საფრანგეთზე გაბრაზებაც დაემატა. ორშაბათს საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა ამ ქვეყნების პროამერიკულ პოზიციას ბავშვური და უპასუხისმგებლო უწოდა. ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთა მიმართ მან ასევე განაცხადა, „როცა ოჯახის წევრი ხარ, უფრო მეტი უფლებები გაქვს, ვიდრე მაშინ, როდესაც ჯერ მხოლოდ მის კარებზე აკაკუნებ“. ეს განცხადება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს ბულგარეთმა და რუმინეთმა, რომელთა გაწევრიანების საკითხიც ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

რუმინეთის პრემიერმა ნასტასემ ამის საპასუხოდ განაცხადა: „ყოველთვის, როცა ჩემს ცოლს ვეჩხუბები, ჩემს შვილებს ვუყვირი. ასევეა შირაკიც. მას ამერიკასთან აქვს პრობლემები და არა ბულგარეთთან ან რუმინეთთან“.

## რას იზამს თურქეთი?

ვაშინგტონისათვის მოულოდნელად, რეგიონში მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ფეხს ითრევს. ანკარამ რამდენიმე თვით გადადო ამერიკისათვის ჯარების განთავსებაზე თანხმობის მიცემა. უკვე რამდენიმე დღეა, თურქეთში მიმავალი ამერიკელი სამხედროები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში გემებზე იმყოფებიან, და მათი შემოშვების შესახებ მეჯლისის გადაწყვეტილებას ელიან. მთავრობა კი ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას არ ჩქარობს. ერდოგანი აცხადებს, რომ ამერიკას თურქეთის თანხმობა გარანტირებული არა აქვს. „თურქეთი სერიოზული სახელმწიფოა და მას ტომები არ მართავენ“ დასძინა მან, ამიტომ ანკარა ჯერ აწონ-დაწონის ყველაფერს და მერე მიიღებს გადაწყვეტილებას. ექსპერტები ამბობენ, რომ თურქეთი ვაჭრობს.

გუშინ დილით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს ამერიკის ელჩი რობერტ პარსონსი და მას მთავრობის ახალი წინადადება გადასცეს. თურქეთი მხარდაჭერის სანაცვლოდ 32 მილიარდ დოლარს ითხოვს. ამერიკა „მხოლოდ“ 26-ს იძლევა.

ამერიკელები აცხადებენ, რომ 26 მილიარდი (6 მილიარდი გრანტი და 20 მილიარდი საკრედიტო გარანტია) საბოლოო წინადებაა და იგი აღარ შეიცვლება. „თურქეთმა ან ჰო უნდა თქვას ან არა“ – განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა არი ფლეიშერმა. თეთრი სახლის თქმით, თურქეთს გადაწყვეტილების მისაღებად 2-3 დღე დარჩა. თუ ამ ხნის მანძილზე პასუხი არ იქნა, მაშინ პენტაგონი „ბ გეგმას“ აამოქმედებს, რომელიც თურქეთის ტერიტორიის გამოყენებას აღარ ითვალისწინებს. ეს კი ორმხივი ურთიერთობებისათვის სერიოზული დარტყმა იქნება.

როგორც ამბობენ, საქმე მხოლოდ ფულში არ არის. თურქეთი ამერიკისაგან ითხოვს წერილობით გარანტიას, რომ ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეიქმნება. თანაც თურქეთი აცხადებს, რომ არ დაუშვებს, ქურთისტანის ტერიტორიაზე მოქმედი მისი ჯარები ამერიკელ მთავარსარდალს დაექვემდებაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქი სამხედროების შემოსვლის კატეგორიული წინააღმდეგი იქნებიან ქურთი ლიდერები. ეს დილემა ჯერ არ გადაჭრილა.

არაოფიციალურად, ამერიკელები აშკარად გამოხატავენ თურქეთის ხელისუფლებით უკმაყოფილებას და ამბობენ, რომ რომ, არა ხელისუფლებაში ყოფილი ისლამისტების მოსვლა, ანკარის ამგვარი პოზიცია წარმოუდგენელი იქნებოდა.

## SOS

გუშინ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს მოუწოდა, დატოვონ ერაყი. „ჩვენ ვურჩევთ ბრიტანეთის მოქალაქეებს, რომლებიც ამჟამად იქ იმყოფებიან, დაუყოვნებლივ დატოვონ ერაყი. ამ რჩევას ჩვენ რეგიონში დაძაბულობის გამწვავებისა და ტერაქტების საშიშროების გამო ვიძლევით“ – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



# „ჩავიდე და მოვკლა ქურდი?!"

## მოვიდა კაცი და მოიტანა წერილი:



"ეს არის საქმე?!"

*"ქ. გორის სოფ. სკრის ტერიტორიაზე პედაგოგ-მასწავლებლებს და ქალაქის მცხოვრებლებს ჰქონდათ საავარაკე ნაკვეთები ბინებით. ყოველი ნაკვეთის მფლობელს საშუალება ჰქონდა, თავის ნაკვეთში სოფლის მეურნეობის პროდუქცია ეწარმოებინა და ოჯახი გამოეკვება. ამ ადგილებში 700 ნაკვეთი იყო გამოყოფილი. თუმცა, ბოლო წლებში ქურდობის ფაქტები გახშირდა, განუკითხაობისა და დაუსჯელობის სინდრომმა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქურდბაცაცებად აქცია. მოაგარაკეთა სახლების ნგრევა, ქურდობა, იქ მოწეული მოსავლის მოპარვა ახალ სამუშაო ადგილად იქცა სოფლის მოსახლეობისათვის. ქურდობის შესახებ სამართალდამცველთა შეტყობინება უარეს დღეში აყენებს იქ მყოფ პედაგოგებს. იპარავენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც მანქანებითა და ტრაქტორებით შეიძლება წაიღონ. მოპარულ იქნა ელექტრო ტრანსფორმატორი, ელექტროგადამცემი ბოძები, შემოღობის ბოძები და მავთულბადეები, ხეივნის "ტრუბები", ბეტონის კიბეები და სოფლის მეურნეობის სამეურნეო ინსტრუმენტები. სამართალდამცველ ორგანოებისთვის ძნელი გახდა ვინაობის დადგენა. თუმცა დადგენილია, თუ სად არის აღნიშნული ნივთები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ როგორც სამართალდამცველ ორგანოებს, ასევე ხელისუფლებას, პარლამენტს, პრეზიდენტს, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ, გასაკვირი არ იქნება, თუ მოსახლეობაში შექმნილი დაძაბულობა მიმართული იქნება ქვეყნის მმართველობითი ორგანოს შესაცვლელად და ყველა ზომას იხმარენ მათ განსახორციელებლად.*

*ქ. გორი, შალვა ცერცვაძე."*

ამ წერილს თუ დავუჯერებთ, კაცი, რომელიც, ცხოვრობდა უპრეტენზიოდ, შრომობდა თავისთვის და არჩენდა ოჯახს, იმ ზომამდე მისულა, რომ ხელისუფლების შეცვლის სურვილი გასჩენია. სხვას რას უნდა ველოდეთ ადამიანისგან, რომელსაც, როგორც ამბობს, უკვე მერამდენედ შეატყობინეს, რომ მის ნაკვეთს ღობეც მოხსნეს; რომელიც დარწმუნებულია, რომ ხვალვე დაადგენს ქურდისა და მოწმეების ვინაობას, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდება. რატომ? იმიტომ, რომ, მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში პოლიცია ეუბნება, რა ვქნა, ძმაო, ცემა არ შეიძლება, ისე კი დანაშაულს არავინ აღიარებსო.

ეს კაცი ახლა ჩვენ გვეკითხება, რა ვქნაო. ჩავიდე და მოვკლა ქურდიო? მერე ხომ დამიჭერენო?! არადა, პირწმინდად გამძარცვესო!

ჩვენ ვერაფერი ვუპასუხეთ, თქვენ რას ფიქრობთ?!

***"24 საათი"***

# ლეში მეტროს კიბეებზე

ნანა ქადაგიშვილი

*სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ პირობა შეასრულა - თებერვლიდან მალფუჭებადი პროდუქტებით მოვაჭრეებს შეუტია. შემოწმების შედეგები, როგორც ყოველთვის, საშინელია. სანიტრებმა, ძირითადად, გარე ვაჭრობის ადგილები შეამოწმეს, თუმცა, არც ბაზრებსა და მაღაზიებშია უკეთესი მდგომარეობა, რასაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის მონაცემებიც მოწმობს.*

სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მონაცემებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავს ამოვარჩევთ. ინსპექციის თანამშრომლებმა სამგორის მეტროს კიბეებზე მოვაჭრეებს 100 კგ. საქონლის, ვითომ, ხორცი, სინამდვილეში კი ლეში ჩამოართვეს. აქვე დააჯარიმეს თევზით მოვაჭრეებიც, რომლებიც, ვინ იცის, საიდან და რა პირობებში შემოტანილ თევზს იქვე, კიბეზე დადგმულ ნავთქურაზე წვავდნენ და მომხმარებელს, უმ პროდუქტთან ერთად, შემწვარსაც სთავაზობდნენ. ინსპექციამ მსგავსი საინტერესო ფაქტები დეზერტირების ბაზარშიც აღმოაჩინა. ბაზრის პირველ სართულზე საქონლის თავებს საშინელ ანტისანიტარულ პირობებში ამუშავებდნენ. ინსპექციას ამ "საწარმოს" დახურვა ჯერ კიდევ შარშან მოუთხოვია, მაგრამ შემოწმებამ არც შარშან გამოიღო შედეგი და არც - წლეულს. ბაზარში საქონლის თავებს დღესაც ძველებურად ამუშავებენ. ინსპექციამ ამ საწარმოს საქმე ამჯერად უკვე სასამართლოს გადასცა. რეიდების დაწყებიდან დღემდე ინსპექციამ, ჯერჯერობით, 24 მოვაჭრე დააჯარიმა და სასამართლოს სამი საქმე გადასცა, მათგან ერთი - ბაზარში მზა კერძებით მოვაჭრეების წინააღმდეგ. სანიტრებმა ისინი ჯერ დააჯარიმეს, მაგრამ ამას ბაზარში კერძების დამზადებისა და გაყიდვისთვის ხელი არ შეუშლია.



მომხმარებელთა ასოციაციაში.

სანიტარიული უწყებები მოსახლეობას ურჩევენ, საკვები პროდუქტები მაღაზიებში შეიძინონ. მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტი შედარებით უსაფრთხოა, თუმცა, მომხმარებელი არც აქ არის ბოლომდე დაზღვეული. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ, ქალაქის სხვადასხვა ადგილას, 420 მაღაზია შეამოწმა. დამამშვიდებლად არც ეს შედეგები გამოიყურება. შემოწმებული სავაჭრო ობიექტების 39 პროცენტი სამაცივრო ტექნიკითა და საზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფილი არ აღმოჩნდა. მაღაზიების 85 პროცენტი ვადაგასული, ფალსიფიცირებული, კონტრაბანდული, სარეალიზაციოდ აკრძალული კვების პროდუქტებით ვაჭრობდა. ასოციაციამ გამოავლინა ჯანმრთელობისთვის საშიში უცხოური პროდუქტებით ვაჭრობის ფაქტებიც. მაგალითად, უკრაინული და გერმანული წარმოების იოდიზებული მარილი დადგენილ ნორმებს არ შეესაბამებოდა, ხოლო ბერძნული მარილის ზოგიერთი ნიმუში იოდიზებული საერთოდ არ იყო. თურქულ, ბულგარულ, რუსულ და ბრაზილიურ შაქრის ფხვნილში საქაროზის შემცველობა დადგენილ ნორმასთან შედარებით 5-8 პროცენტით ნაკლები იყო. ასევე, დარღვევები აღმოაჩინეს "სადიას" ქათმის ბარკლებსა და თურქული წარმოების ხორბლის ფქვილში. ვადაგასულ პროდუქტებს შორის, ასოციაციის წევრები, აგვისტოში ვადაგასულ, მაგრამ ფირმა "ლიპტონის" მიერ სექტემბერში შემოტანილ ჩაის, ჯერ კიდევ 2001 წლისთვის ვადაგასულ ხილფაფებს, ბავშვებისთვის ძალზე საყვარელ შოკოლად "ბატონსა" და ძეხვ "მიქოიანს" ასახელებენ.

ასეთი განუკითხაობის მიზეზებზე "24 საათი" ხშირად წერდა. ასე რომ, ჩვენი მკითხველისთვის უცნობი არ არის, როგორ ებრძვიან ჩვენში ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში პროდუქტებით ვაჭრობას, რატომ უჭირთ ამ პრობლემის მოგვარება და რატომ არ მოჰყვება სასამართლოში გადაცემულ საქმეებს შედეგი. მაღაზიასა თუ ბაზარში საკვების შეძენა მხოლოდ მაშინ იქნება უსაფრთხო, როცა ქვეყანაში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგდება, მაკონტროლებელს ნორმალურ ხელფასს მისცემენ და კანონის დამრღვევი მოვაჭრე ისე დაისჯება, რომ მეორედ დანაშაულის ჩადენის სურვილი დაეკარგება. მანამდე კი, მომხმარებელს ისღა დარჩენია, საკვების შესაძენად გარე ვაჭრობის ადგილებს არ გაეკაროს, ხოლო მაღაზიაში პროდუქტის ყიდვამდე შენახვის ვადა ყურადღებით შეამოწმოს.

# თბილისელებო, გაიცანით მაქსიმუმი!

*უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედება კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო. გასული წლის ბოლოს, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ პირველი თებერვლიდან თბილისელებს 03 სრულიად უსასყიდლოდ მოემსახურებოდა, დღეს თავად საკრებულოს ცალკეული ფრაქციების საკამათო თემა გახდა. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ წლევანდელი ბიუჯეტი ამ გადაწყვეტილების სრულყოფილად შესრულებას ვერ გასწვდება და უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე ლიმიტის დაწესებას მოითხოვენ, რასაც ლეიბორისტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. "მშრომელები" ბიუჯეტის ჩაგდებითაც იმუქრებიან.*

ეთერ მამულაშვილი

28 ნოემბერს, თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების რამდენიმე პროექტი წარმოადგინა. მათ შორის, ყველაზე მინიმალური 2 700 000 ლარის ღირებულებისაა, ხოლო ყველაზე მაქსიმალური – 14 000 000-ის.

მერიის მიერ წარმოდგენილ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში კი ყველაზე ბევრი, რისი გათვალისწინებაც ამ პროგრამისთვის არის შესაძლებელი, დაახლოებით, 3 000 000 ლარია.

დედაქალაქის ვიცე-მერი სოციალურ საკითხებში კახა შენგელია აცხადებს, რომ თბილისელებისთვის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სრულად ამოქმედება წლევანდელი მწირი ბიუჯეტის პირობებში ყოველგვარ რეალობას მოკლებულია. მიუხედავად ამისა, წლეულს მოსახლეობას აუცილებლად ექნება საშუალება, რომ საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება მიიღოს უფასოდ, თუმცა, გარკვეული შეზღუდვით. შეზღუდვაში, თბილისის ვიცე-მერი, გამოძახებათა რაოდენობაზე ლიმიტის დაწესებას გულისხმობს, ანუ, პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ექნება, წელიწადში სამჯერ უფასოდ გამოიძახოს სასწრაფო. მეოთხე გამოძახება კი მან საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა დააფინანსოს.

"ეს არის ის, რისი გაკეთებაც წლეულს ნამდვილად შეიძლება. თბილისელებისთვის იმის დაპირება, რომ მთელი წლის განმავლობაში უფასოდ და შეუზღუდავად მომსახურება შეიძლება, პოპულიზმია და მეტი არაფერი", - გვითხრა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა. ნაციონალების გარდა, ამ მოსაზრებას იზიარებს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ლადო ჭიპაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსი დავით პავლიაშვილი. ამ უკანასკნელის თქმით, დედაქალაქში უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების იმ ფორმით აღდგენას, როგორიც ეს კომუნისტების დროს იყო, სულ ცოტა, თხუთმეტი მილიონი სჭირდება.

ამ ციფრების გამგონე ლეიბორისტებს გაცხარებისა და თავის გამოჩენის კიდევ ერთი მიზეზი მიეცათ. გუშინ მათ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყვეს. "მშრომელებმა" ჯერ კიდევ დეკემბერში წარმოადგინეს მათი პარტიის მიერ შემუშავებული პროექტი სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა, რომელიც 2 700 000 ლარს საჭიროებს. პარტიაში აცხადებენ, რომ ეს თანხა საკმარისი იქნება დღეში, საშუალოდ, 350-400 გამოძახების დასაფინანსებლად. ამავე პროექტის მიხედვით, უნდა განახლდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მედპერსონალის ხელფასი 300-500 ლარამდე გაიზარდოს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი ირწმუნება, რომ მათი პროექტი სრულიად რეალურია და მისი უგულებელყოფა გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესებში შედის. "რა ქნას იმ გაჭირვებულმა, რომელსაც წელიწადში სამი გამოძახება არ ჰყოფნის? ხომ არ ვეტყვით, მომავალ წლამდე მოიცადეო? ამიტომ, ჩვენ ვაცხადებთ, თუ სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა დამტკიცდება ამ სახით, ჩვენი კომისია და ფრაქცია წლევანდელ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს", - გამაფრთხილებელ განცხადებას აკეთებს შატბერაშვილი.

საკრებულოში აცხადებენ, რომ უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა ბიუჯეტის მიღებამდე ვერ ამოქმედდებაო, რასაც ლეიბორისტები კატეგორიულად აპროტესტებენ: "არსებობს წესი, რომ, ახალი ბიუჯეტის მიღებამდე, სხვადასხვა პროგრამა ძველი ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედით ფინანსდება. ის, რომ ბიუჯეტი დღემდე მიუღებელია, ესეც ზოგიერთი ძალის მოწყობილია, რადგან ამით ჩვენი ინიციატივა - უფასო სასწრაფო დახმარება, იბლოკება. ვილაცებს ჩვენი რეიტინგის აწევა სერიოზულად აშინებს", - აცხადებს საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გუგავა.

# ნაბიჯი „სასწრაფო გამხნევებიდან" „სასწრაფო დახმარებისკენ"



ახალი აპარატის პრეზენტაციაზე.

გიორგი ასანიშვილი

*ბოლო წლებში გაუთავებელი კამათი მიმდინარეობს იმაზე, სამედიცინო მომსახურება ფასიანი უნდა იყოს თუ უფასო. თუმცა, სიტყვა არ თქმულა, როგორი უნდა იყოს თავად სამედიცინო მომსახურების დონე. როდესაც ექიმი ცარიელი ხელებით ეახლება ავადმყოფს და უკან ისე გამობრუნდება, რომ ვერაფერს უშველის, ასეთი „მომსახურება" გინდ ყოფილა, გინდ არა. სწორედ ამის გამოა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება ხალხმა უკვე „სასწრაფო გამხნევებად" გადანათლა: „03"-ის ექიმს ისღა დარჩენია, მხოლოდ სიტყვით ანუგეშოს პაციენტი და დააიმედოს - ნუ გეშინია, მალე კარგად იქნებიო...*

ნორმალური სამედიცინო მომსახურება უახლესი სამედიცინო აპარატურისა და ტექნიკის გარეშე წარმოუდგენელია. ტექნოლოგიური სიახლეები კი ჩვენი მედიკოსებისთვის მიუღწეველი ფუფუნებაა. ქართველი მედიკოსები, ძირითადად, საბჭოთა დროიდან შემორჩენილი, უკვე დიდი ხნის წინათ ამორტიზებული მოწყობილობებით გადიან იოლას. თუმცა, ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით - სასიამოვნო გამონაკლისებს ამ სფეროშიც შეხვდებით.

გუშინ, გადამხდელთა კავშირის ოფისში ჩატარდა ულტრასონოგრაფიის ცენტრის მიერ საქართველოში შემოტანილი დიაგნოსტიკური აპარატურის პრეზენტაცია. ახალი მოწყობილობა წონით 8-9 კილოგრამს არ აღემატება, ერთი ადგილიდან მეორეზე მისი გადატანა პრობლემას არ წარმოადგენს და, ამდენად, საქართველოს ნებისმიერ წერტილში იძლევა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარების საშუალებას.

პენტაგონის დავალებით ამერიკული კომპანია „SonoSite"-ს მიერ შექმნილი პორტატული ტექნიკა, თავის დროზე, აშშ-ს შეიარაღებული ძალებისთვის შეიქმნა. იგი პირველად ბოსნიის სამხედრო კონფლიქტის დროს გამოიყენეს. სიძვირის მიუხედავად, პრაქტიკული გამოყენებისას აღნიშნული აპარატურა არის მეტად ეკონომიური, მარტივი, არ მოითხოვს ელექტროენერგიისა და სხვა სპეციალური კომუნიკაციების შექმნას, რასაც საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ახალი აპარატურის გამოყენება შეიძლება როგორც ჯანმრთელი ადამიანის პროფილაქტიკური გამოკვლევის, ასევე განსაკუთრებით საშიში დაავადებების (მკერდის სიმსივნე, სხვა ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებები) ადრეული დიაგნოსტიკისთვის. გარდა ამისა, იგი განსაკუთრებით ეფექტურია, როგორც ექსტრემალურ სიტუაციებში (ტრავმა, კატასტროფა, სტიქიური მოვლენები) კვალიფიციური და მაღალტექნოლოგიური დახმარების გაწევის საშუალება.

აკადემიკოს დავით ტატიშვილის თქმით, საქართველოში „SonoSite"-ს აპარატურის „მომხმარებლები" შეიძლება იყვნენ სპორტსმენები, სამხედრო მოსამსახურეები და ის ავადმყოფები, რომლებსაც გადაადგილება არ შეუძლიათ.

# ნათელი მომავლის უწყება

*ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე კმაყოფილია. ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში, განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა გავრცელება არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებსა და ცივილიზებულ სახელმწიფოთა ნაწილში სერიოზული ვეტერინარული პრობლემები აქვთ.*

მაკა ჭაიანი

ამგვარი სტაბილურობა პრეზიდენტის 325-ე ბრძანებულების, პარლამენტის აგრარული კომიტეტის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, ზოგიერთი გამგებლის დამსახურება ყოფილა. რა თქმა უნდა, ვეტერინარიის დეპარტამენტისაც, რომელმაც დროულად ჩაკეტა საზღვრები და ინგლისიდან, საფრანგეთიდან თუ ნიდერლანდებიდან წამოსული "ძროხის ცოფით" დაავადებული ხორცი საქართველოში არ შემოუშვა; ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, გასულ წელს საგაზაფხულო აცრებიც ჩაატარა და საშემოდგომოც; როგორც საზღვრისპირა რეგიონები, განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ ჰყავს აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო და, ნაწილობრივ, შიდა ქართლი.

საათივით აწყობილი საშინაო საქმეების ფონზე, ვეტერინარიის დეპარტამენტს საზრუნავად, ძირითადად, საგარეო პრობლემები დარჩა. ჯერ ისევ მუდმივ ყურადღებას მოითხოვს ქათმისა და საქონლის ხორცის იმპორტი. დეპარტამენტი ურჩევს ამ საქმით დაკავებულ ბიზნესმენებს, საქონლის შემოტანამდე, საქმეში ვეტერინარები ჩართონ. რიგ ქვეყნებში ქართველმა სპეციალისტებმა პროდუქცია ადგილზე, ხორცის მწარმოებელ ქარხნებშივე დაიწუნეს. ამან იმპორტიორებს ზედმეტი ხარჯი აარიდა თავიდან - დეპარტამენტში ირწმუნებიან, რომ ასეთ ხორცს საზღვარზე მაინც არ გადმოუშვებდნენ. რაც შეეხება ექსპერტთა სამუშაოს, მას ქარხნის ხელმძღვანელობა აფინანსებს.

კიდევ ერთი "საგარეო პრობლემაა" ფრინველის პროდუქციის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლის, კალიფორნიის შტატში შარშან აფეთქებული ეპიდემია, რომელიც ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 12 მილიონი კვერცხისმდები ქათმიდან მხოლოდ 3 მილიონი დარჩა კარანტინს მიღმა. შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების მეზობელმა ქვეყნებმა - კანადამ და მექსიკამ კალიფორნიიდან ფრინველის იმპორტს ვეტო დაადეს. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმაც გადაწყვიტეს, ქათმის პროდუქციის ევროპაში შეტანა შეეჩერებინათ. შესაბამისი ზომების გატარებას აპირებს საქართველოც, რადგან იმპორტირებული ხორცი ჩვენთან, ძირითადად, ამერიკის კონტინენტიდან შემოდის.

ამ ფონზე, აგრარულ კომიტეტში გუშინ მისული ვეტერინარიის დეპარტამენტისა და ვეტერინარიის ქალაქის სამსახურის ხელმძღვანელები, მესამე ხელისუფლების მისამართით ერთგვარი პრეტენზიით გამოვიდნენ. საუბარია, შარშან გახმაურებულ "ქათმის ბარკლებზე". ვეტერინარებმა ქსელიდან ამოიღეს ბრაზილიიდან შემოტანილი ხორცი, მაგრამ სასამართლომ მათი გადაწყვეტილება არასწორად მიიჩნია და გააუქმა. დეპარტამენტში ფიქრობენ, რომ, გამორიცხული არ არის, მსგავსი რამ მომავალშიც მოხდეს. გახდა თუ არა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიზეზი მოპასუხეთა მხრიდან მოყვანილი არასაკმარისი თუ არადამაჯერებელი არგუმენტები, არავის უთქვამს.

სამაგიეროდ, აღმასრულებლები და კანონმდებლები უნისონში ალაპარაკდნენ იმაზე, რომ, ამ მაგალითის გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები საქართველოს კანონებს არ აწყენდა. ადვილი შესაძლებელია, ეს ცვლილებები ვეტერინარიის დარგში რეფორმის განხორციელების პარალელურად დაიგეგმოს. 2003-2005 წლებზე გაწერილი ეს რეფორმა სამსახურის მაკონტროლებელი და სამეურნეო აღმასრულებელი ფუნქციების გამიჯვნას ითვალისწინებს. სახელმწიფო იტოვებს პოლიტიკის, კოორდინაციისა და კონტროლის ფუნქციებს, მომსახურება კი, მთლიანად, ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის ლაბორატორიების ბაზაზე შექმნილი კერძო სამართალსუბიექტების პრეროგატივაა.

## მოკლედ

**თბილისი.** ქართველი "ავღანელები" აცხადებენ, რომ მზად არიან, ყველაზე კორუმპირებულ სტრუქტურებში წავიდნენ სამუშაოდ, რადგან ქვეყნის მასშტაბით ძლიერი ორგანიზაციები აქვთ და მდგომარეობას გამოასწორებენ. სახელმწიფო მინისტრი მათ საგანგებო ლეგიონში დასაქმებას დაჰპირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გამგეობების მიერ 2002-2003 წლებში გაცემული ნებართვების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესამოწმებლად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, 25 თებერვლიდან, სპეციალური ღონისძიებების გატარებას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დასავლეთ საქართველოში მოღვაწე იტალიური ჰუმანიტარული ორგანიზაცია "კარიკასი" აპროტესტებს ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილის გადაწყვეტილებას, რომლითაც ორგანიზაციას საქართველოში ჰუმანიტარული ტვირთის შემოტანა აეკრძალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია „ეი-ი-ეს თელასსა" და მომხმარებელს შორის ჯერ მხოლოდ 22 ხელშეკრულება გაფორმდა. საკრებულოს წევრი ნანული ქაჩიბაია მიიჩნევს, რომ ასეთ ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოეწეროს, რადგან მასში მომხმარებლის წინაშე „ეი-ი-ეს"-ის ვალდებულებები სათანადოდ არ არის გაწერილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო კვირის განმავლობაში თბილისის ვეტერინარულმა სამსახურმა 532 კილოგრამი ღორის ხორცისგან დამზადებული ძეხვეული ამოიღო და გაანადგურა. პროდუქცია იტალიიდან იყო შემოტანილი. იგი უვარგისი აღმოჩნდა, რადგან დარღვეული იყო შენახვის პირობები. **მედია-ნიუსი**

# ქალაქში ნივრის არომატი დატრიალდა

თბილისის აფთიაქები სრულად მობილიზებულნი არიან. "წელიწადის ამ დროს შარშანაც იგივე მდგომარეობა იყო, როგორც ახლა, მუშაობის სადღეღამისო რეჟიმი გვქონდა,", - გვითხრა აფთიაქის თანამშრომელმა.

მოქალაქეები ყიდულობენ გრიპისგან დამცავ და სამკურნალო საშუალებებს, რჩევას ეკითხებიან პროვიზორებს, თუ რა სჯობია და ისინიც აღარ ახსენებენ მოქალაქეებს, რომ ჯერ ექიმს უნდა ჰკითხონ, რადგან ბევრისთვის, წამლის ყიდვასთან ერთად, ექიმის მონახულებაც, დიდი ხარჯია.

ოქსოლინის მალამო, ინტერფერონის ფხვნილი, ვიტამინი "C", რემანტადინი, ვირატონი, ეფექტი, ეფექტ-პლუსი და ყოვლისშემძლე ნიორი ჭაჭასთან ერთად – თებერვლის მეორე ნახევრის ყველაზე აქტუალური პროდუქტებია.

რესტორნებში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ხაშზე, ასევე გაიზარდა ნიორწყალში ჩადებული წიწილის და შქმერულის მოყვარულთა რაოდენობაც.

სამარშრუტო ტაქსებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნივრისსუნიანთა მომრავლებას თბილისელები გაგებით ეკიდებიან და ცხვირს არავინ უბზუებს.

თუ შინ ჟოლოს მურაბაც გეგულებათ, ჩათვალეთ, რომ მზად ხართ გრიპის დასახვედრად.

როგორც "ავერსის" საინფორმაციო ცენტრში გვითხრეს, წამლები არის და ნახევარი დღით გამქრალი "C" ვიტამინიც ისევ შემოზიდეს.

ინფექციური პათოლოგიების ცენტრი მოსახლეობას უფასო სამედიცინო კონსულტაციებს სთავაზობს. საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ: **39 57 29.**

***"24 საათი"***

# ვინ ვის შეამოწმებს

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში სანიტარიული კოდექსის განხილვა მოეწყო.

განხილვაზე მოულოდნელი უთანხმოება წარმოიშვა ამ საკითხში ორ მთავარ უწყებას შორის - სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურს შორის. მოულოდნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც მხარეები ამბობენ, განხილვამდე, ინტენსიური ერთობლივი მუშაობის შედეგად, გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. ასე იყო თუ ისე, მთავარი პრობლემა ისევ მოუგვარებელია. სანიტარიულსა და ვეტერინარულ სამსახურებს შორის ვერ ხერხდება უფლებამოსილების ისე გამიჯვნა, რომ მხარეები ერთმანეთის კემპეტენციაში არ შეიჭრნენ.

სხდომას ესწრებოდა "მრეწველი" ზურაბ ტყემალაძე, რომელმაც საკითხი მეწარმეთა პოზიციიდან წარმოაჩინა.

ზურაბ ტყემალაძე: "ჩემთვის სულერთია, ვინ შეამოწმებს პროდუქციას. მთავარია, ეს იყოს მაქსიმალურად გასაგები პროცესი, რომ მეწარმე არ დაიბნას. თუ გნებავთ, მე მზად ვარ, ეს იყოს ერთ ხელში - ჯანდაცვის სამინისტროში. შეიძლება შეიქმნას ცალკე სახელმწიფო სამსახური, რომელიც ყველაფერს თვითონ შეამოწმებს და მეწარმეს ათასი კონტროლიორი არ ეყოლება." ახალ იდეას არავინ გამოხმაურებია და საკუთარი პოზიციების დაცვა გაგრძელდა, რომელიც სხდომის თავმჯდომარემ შეწყვიტა. მან სთხოვა მხარეებს, კიდევ ერთხელ ემუშავათ ერთობლივად და ორშაბათს შეჯერებული ვარიანტი წარმოედგინათ კომიტეტში, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა შედგება.

***"24 საათი"***

# უშიშროების ოფიცრის მკვლელი პოლიციელი აღმოჩნდა

პირველი გვერდიდან

ყოფილიყო. მოგვიანებით, დაკითხვისას ერთ-ერთმა მოწმემ (მაღალჩინოსნის მძღოლმა) მკვლელის მანქანას „07"-ის ნომერიც დაასახელა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა უბნის ინსპექტორის დაკავება.

დეკანოსიძე გუშინვე გაიყვანეს შემთხვევის ადგილზე. შემდეგ კი მან სამართალდამცველები ვაზისუბანში, იმ ნათესავის სახლში მიიყვანა, სადაც მკვლელობის ღამე გაათენა.

**"ნათესავის ბინიდან ამოღებულია მკვლელობის იარაღი. როგორც დეკანოსიძის ნათესავები აღნიშნავენ, მათ მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გვიან ღამით მისულ ახლობელს ღამის გათენება უთხოვია. უბნის ინსპექტორს იარაღი კარადაში დაუმალია და დაუძინია,"** - გვითხრა გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა ლენა კაპანაძემ.

გუშინვე დაიკითხა მკვლელობის მთავარი მოწმე, დეკანოსიძის შორეული ნათესავი ირმა მაჭარაშვილი. **"ვლადიმერმა წერეთელის მოედანზე გამომიარა და სახლში მივყავდი. დადიანის ქუჩაზე ჩიხში "BMW" იყო გაჩერებული და გავლა ვეღარ შევძელით. მძღოლი მანქანაში არ იჯდა. ვლადიმერი გადავიდა და მანქანაში მყოფ პიროვნებას მანქანის გადაყენება სთხოვა. მანქანიდან უცნობიც გადმოვიდა და ცოტა ხანში ხმამაღალი საუბარი დაიწყეს, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. უცნობი ვლადიმერზე აშკარად ძლიერი იყო. მერე ვეღარაფერს ვხედავდი. მანქანიდან სროლის ხმის შემდეგ გადმოვედი. უცნობი მიწაზე დავარდა. ჩვენ მანქანაში ჩავჯექით და გავიქეცით. ვლადიმერმა სახლში მიმიყვანა, თვითონ კი შემთხვევის ადგილზე დაბრუნებას აპირებდა. მერე რა მოხდა, არ ვიცი,"** – მთავარი მოწმის თქმით, მოჩხუბრებს ერთმანეთისთვის არ უთქვამთ, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იყვნენ.



*ვლადიმერ დეკანოსიძე*

ერთი სიტყვით, ბოლო პერიოდში საქართველოში მომხდარი ერთ-ერთი გახმაურებული მკვლელობა გახსნილია.

მიუხედავად საზოგადოებაში გავრცელებული უამრავი ვერსიისა – პირადი ანგარიშსწორება, სამსახურებრივი საქმიანობა და ა.შ. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს ოფიცრის, გაგრელი ლტოლვილის კობა ჯანგიძის მკვლელობის მიზეზი ჩვეულებრივი შელაპარაკება აღმოჩნდა.

# გლდანში, „შავი სამყაროს" წარმომადგენელთა შორის კონფლიქტი მკვლელობით დასრულდა

გლდანში "შავი სამყაროს" წარმომადგენლების მორიგი საქმის გარჩევა ერთი ადამიანის მკვლელობით და ორის დაჭრით დასრულდა. გუშინ გლდანის მერვე მიკრორაიონთან მდებარე სკვერში გადაჭრილი თოფით მოკლეს ხუთჯერ ნასამართლევი ზურაბ გარდაძე, მეტსახელად "გოდორა" და დაჭრეს ასევე ნასამართლევები გელა მახარაშვილი და მამუკა ხაჩიძე.

ჩვენი ინფორმაციით, დაპირისპირება მოხდა შავი სამყაროს წარმომადგენლებს, ე.წ. "გლდანის საძმოს" წევრებს შორის. სარწმუნო წყაროს ცნობით, ერთი წლის წინ ზურაბ გარდაძესა და ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს ძმებ ზურაბ და ვიტალი ლაგაზაშვილებს შორის სფეროების გადანაწილების გამო სერიოზული ჩხუბი მომხდარა. გარდაძეს ძმები დაუნდობლად უცემია. ამ ხნის განმავლობაში დაპირისპირებულ მხარეები რამდენჯერმე შეხვედრილან. გუშინ კი, სკვერში, საქმის მორიგი გარჩევა ყოფილა.

გულში და ფეხში დაჭრილი გარდაძე შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, გულ-მკერდის არეში დაჭრილ მახარაშვილს ოპერაცია გაუკეთდა და იგი მძიმე მდგომარეობაშია, ფეხშია დაჭრილი მამუკა ხაჩიძე, რომლის დაკითხვაც ამ ეტაპზე უკვე მოხერხდა.

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრულ საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა იძიებს. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილ ძმებზე გამოცხადებულია ძებნა. როგორც ჩანს, მკვლელობა ერთ-ერთი ძმის მიერ არის ჩადენილი, მაგრამ კონკრეტულად რომლის, ამას ალბათ გამოძიება მოგვიანებით, დამნაშავეთა დაჭერის შემდეგ დაადგენს.

# უშიშროების სამინისტროში ინაურის აჩრდილი გამოჩნდა

პირველი გვერდიდან

**დღემდე შექმნილი არც ერთი კანონპროექტის ავტორის ფანტაზიას მსგავსი ფორმა არ მიუღია. საგულისხმოა, რომ ხელისუფლების დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმა, გაუსწორდნენ "ხალხის მტრებს", "ქვეყნის დამსმენებს" და კიდევ სხვა ათასი ჯურის ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს, ამჯერად უშიშროების სამინისტრომ ითავა",** - ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. გუშინვე, სპეციალურად მოწყობილ შეხვედრაზე ამ განცხადებას შეუერთდა საქართველოში მოქმედი, თითქმის ყველა ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია. ამავე განცხადებაში მოყვანილია კანონპროექტის ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მუხლი, რომელიც ასე ჟღერს: **"უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა - ისეთი ორგანიზაციის ან პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა, რომელიც უცხო ქვეყნისაგან უცხოეთის ან საერთაშორისო ორგანიზაციისგან, ან მათი წარმომადგენლისგან, ანდა კერძო პირისაგან ითხოვს ან ღებულობს ფინანსურ შემოწირულობებს, სესხებს ან ნებისმიერი სახის დახმარებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ანდა აქვს ურთიერთობა უცხო სახელმწიფოსთან, უცხოეთის ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ან მათ წარმომადგენელთან, ანდა კერძო პირთან. ასევე, ისეთი ორგანიზაციის ან პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა, რომლის პოლიტიკა და საქმიანობა განისაზღვრება ან შემუშავდება უცხო სახელმწიფოსთან, უცხოეთის ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან, ანდა კერძო პირთან თანამშრომლობით, თუ აღნიშნული ქმედებები მიმართულია საქართველოს ინტერესების საზიანოდ".** არასამთავრობო ორგანიზაციათა აზრით, საქართველოში მოღვაწე ნებისმიერი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია და მასმედიის საშუალება, ისევე, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, დამარცხდება ამ პროექტით დადგენილი ტესტის ჩაბარებისას და, აკრძალვის თუ არა, საქმიანობის შეჩერების რეალური საფრთხის წინაშე მაინც აღმოჩნდება. იმავე ახალგაზრდა იურისტთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ **"საქართველოში ყველა მეტნაკლებად დემოკრატიული ორიენტაციის ძალა თავისი პოლიტიკისა და საქმიანობის განსაზღვრა-შემუშავებისას ნამდვილად თანამშრომლობდა, უცხო სახელმწიფოს თუ არა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მაინც".** საშიშროებას აძლიერებს ის, რომ სრულიად გაურკვეველია "საქართველოს ინტერესების" ცნება. კანონმდებლობა იცნობს ტერმინს "ანტისახელმწიფოებრივი ქმედება" და ასეთი ქმედება კონსტიტუციითაც კი არის განსაზღვრული. "საქართველოს ინტერესები" კი, არასამთავრობოთა აზრით, სრულიად სუბიექტური კატეგორიაა, რაც რეალურად გამოყენებული იქნება ან პოლიტიკური ანგარიშსწორების ან არასასურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აკრძალვის მიზნით, რომლებიც სერიოზულ დისკომფორტს უქმნიან ხელისუფლებას.



*კანონპროექტის ირგვლივ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მწვავე დისკუსია გამართეს.*

გარდა ამისა, კანონპროექტი მიუთითებს, რომ რეგისტრირებული ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს უზენაესი სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა, იქვე მიანიშნებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**"ასეთი წესი კი საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს,** - ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი თინა ხიდაშელი, - **ანუ, ყველაფერთან ერთად, დაგვცინიან კიდეც - საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც უზენაესი სასამართლოს, გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ავტორების მინიშნება ნათელი და ცინიკურია - "მიბრძანდით სტრასბურგში". ევროსასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე კი ორგანიზაციას ეკრძალება საქმიანობა, საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობა, ყრილობების, მიტინგების, დემონსტრაციების, მსვლელობების, პიკეტების ან სხვა მასობრივი აქციების მოწყობა და ჩატარება, არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობა, ინტერვიუს მიცემაც კი".**

კანონპროექტში მიუღებელი და ბუნდოვანი სხვაც ბევრია, მაგალითად, ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში დასჯილი ორგანიზაციის ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას, მაგრამ თუ გადაწყვეტილება გაუქმდება, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი. თითქოს, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ კანონპროექტში არ კონკრეტდება, როგორ მოხდება ანაზღაურება. და კიდევ ერთი, კანონპროექტის თანახმად, ორგანიზაცია ექვემდებარება აკრძალვას, თუკი მისი ხელმძღვანელი ან წევრი საქვეყნოდ აკეთებს განცხადებებს იდეოლოგიური ჯგუფის მიმართ. **"ანუ, თუ ფაშიზმის წინააღმდეგ განცხადება გავაკეთე, ჩემს ორგანიზაციას აკრძალავენ",** - ასე ხსნის ამ დებულებას თინა ხიდაშელი.

**"მსგავსი კანონპროექტის გამოჩენა, რომელიც ხელისუფლების მრავალწლოვანი სურვილის გახმოვანებაა, ერთადერთ მიზანს ემსახურება, შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, მომავალი არჩევნების წინ დროებით მაინც შეჩერებულ იქნას სხვადასხვა არასასურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასმედიის საშუალებებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რითაც, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი იქნება არჩევნების "წარმატებით" ჩატარება ზედმეტი ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე",** - ასეთი გახლავთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრი.

საკითხს ცოტა უფრო მარტივად უყურებს ნაციონალური მოძრაობის წევრი კობა დავითაშვილი: **"ამ კანონპროექტს სერიოზულად ვერ აღვიქვამ. როგორ დავიჯერო, რომ ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ეს პროექტი პარლამენტში 118 ხმას მოაგროვებს. ამიტომ ვფიქრობ, უშიშროების სამინისტრო ცდილობს, ქულები დაიწეროს პრეზიდენტის თვალში, თითქოს ებრძვის ექსტრემიზმს, მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და აი, პარლამენტი ამის საშუალებას არ აძლევს. ეს არის წმინდა სახელისუფლებო ინტრიგა და თამაში".**

**"ეს ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე კონტროლის აღების პირველი მცდელობა არ არის,** - ამბობს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი დათო ზურაბიშვილი, - **დარწმუნებული ვარ, ახლაც, როგორც არაერთხელ, იტყვიან, რომ ეს მხოლოდ სამუშაო ვარიანტია. თუნდაც ასე იყოს, თავისთავად უშიშროების სამინისტროში რომ არსებობს ვიღაც, ვისაც მსგავსი აზრები მოსდის თავში, ეს უკვე შემაშფოთებელია. ის კი, რომ, თითქოს, ეს კანონპროექტი მიმართულია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ, აბსურდია, რადგან ჯერ ერთი ტერორიზმთან ბრძოლა ადმინისტრაციული კანონმდებლობის დონეზე კი არა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით ხდება, მეორეც, არსებული კანონმდებლობა სრულიად საკმარისია ამისთვის, თუ ვინმეს ბრძოლის სურვილი აქვს".**

სხვათა შორის, დათო ზურაბიშვილის წინასწარმეტყველება გამართლდა. მეტიც, უშიშროების მინისტრის პრესმდივნის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ეს სამუშაო ვარიანტიც კი არ არის, უბრალოდ, ასე ვთქვათ, "შავი" თეზისებია. მისი თქმით, **"ეს კანონპროექტი მომზადდა უშუალოდ უშიშროების მინისტრის დავალებით და ეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც, პრაქტიკულად, ახორციელებენ უცხო ქვეყნის ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების აგენტურის მიერ მართულ საქმიანობას. თუმცა, კანონპროექტზე მუშაობა ჯერ არც კი დასრულებულა, ის, რაზეც ახლა მიდის ლაპარაკი, ასე ვთქვათ, შავი ვარიანტია, რომელიც კიდევ ბევრ მუშაობას საჭიროებს. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ კი, თავად უშიშროების მინისტრიც თვლის, რომ კანონპროექტში საჭირო გახდება რიგი მიმართულებების დახვეწა. სწორედ ყველა ამ პროცესის ამოწურვის შემდეგ იქნება გატანილი კანონპროექტი საზოგადოებრივ სამსჯავროზე, საზოგადოებრივი რევიზიის შემდეგ კი გაივლის კანონით დადგენილ ყველა იმ ინსტანციას და პროცედურას, რომელიც საჭიროა კანონპროექტის კანონად ქცევისათვის."**

შეკრებილ არასამთავრობო ორგანიზაციათა ვნებათაღელვა მეტნაკლებად ჩააცხრო ინსტიტუციონალური რეფორმებისა და არასამთავრობო სექტორის ცენტრის ექსპერტის დავით უსუფაშვილის მიერ უშიშროების მინისტრთან შეხვედრის დეტალების გაცხადებამ. მისი თქმით, ვალერი ხაბურძანიამ მისგან მოისმინა არასამთავრობოთა მხრიდან წარმოშობილი ყველა პრეტენზია და, ფაქტობრივად, ყველაფერი გაიზიარა.

მიუხედავად ამისა, არასამთავრობოთა აზრით, მაინც შემაშფოთებელია ხელისუფლებაში არასამთავრობო სექტორის, თავისუფალი მასმედიისა და პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ აგორებული კამპანია და ამიტომ ისინი უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან საჯარო შეხვედრას ითხოვენ.

**"ეს იმიტომ, რომ არ მოგვეცეს სხვა მოთხოვნის დაყენების საფუძველი, რომელიც მათ თანამდებობიდან გადადგომას იგულისხმებს",**- ამბობს თინა ხიდაშელი.

# ნანა დევდარიანი გია ჯიქიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს

*"ვინ გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს გია ჯიქია?" – კითხვით მიმართა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გამოსულმა სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს. პარალელურად კი, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში, რომელიც ნანა დევდარიანის მიმართ გია ჯიქიას სარჩელს იხილავს, შესაგებელი სარჩელი შეიტანა. სარჩელს ომბუდსმენმა იმის დამადასტურებელი მასალებიც დაურთო, რომ საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის მიმართ მის მიერ გამოთქმული ბრალდებები სულაც არ წარმოადგენს ცილისწამებას.*

სოფიკო ჩხაიძე

უკვე კარგა ხანია, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი სახალხო დამცველს ცილისწამებისთვის უჩივის და მის მიმართ გამოთქმული ბრალდებების უარყოფას სთხოვს. თავად სახალხო დამცველი კი უკან არ იხევს. მეტიც, ის კმაყოფილებითაც კი შეხვდა დაპირისპირებული მხარის მიერ სასამართლო პროცესის წამოწყებას; თუმცა, მისი კმაყოფილების მიზეზი – საზოგადოებამ კიდევ ერთხელ და უფრო დეტალურად შეიტყოს სამხედრო პროკურორის საქმიანობის შესახებ - ჯერჯერობით, არ მართლდება. სასამართლო პროცესი იდება ხან ერთი, ხან მეორე მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების გამო. როგორც ცნობილია, ნანა დევდარიანი მთავარ სამხედრო პროკურორს იარაღის კონტრაბანდაში, სხვადასხვა საქმეების გაყალბებაში, კორუფციასა და დანაშაულებრივ სამყაროსთან გარიგებებში ადანაშაულებს და ამის დასადასტურებლად არაერთი ფაქტი მოჰყავს. თუმცა, მის ბრალდებებს გენერალური პროკურატურის უშუალოდ ამ ბრალდებების გამოსაძიებლად შექმნილი კომისიის დასკვნა დაუპირისპირდა, რომლის თანახმადაც, ყველა წარდგენილ ბრალდებაში გია ჯიქია უბრალოა. კოლეგა-პროკურორებისგან შემდგარი კომისიის მიერ გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ ჯიქიამ სასამართლოს მიმართა და ნანა დევდარიანისგან ბრალდებების საჯაროდ უარყოფა მოითხოვა, თანაც იმავე საინფორმაციო საშუალებებით, რომელთა მეშვეობითაც ნანა დევდარიანმა მის მიმართ ბრალდებები გამოაქვეყნა.

სხვათა შორის, მთავარი სამხედრო პროკურორის, გია ჯიქიას, წარმომადგენელმა გუშინდელ სასამართლო სხდომაზე პროცესში სწორედ ამ საინფორმაციო საშუალებების (კერძოდ, გაზეთების - "ახალი თაობა", "რეზონანსი", "ჯორჯიან თაიმსი" და ტელეკომპანია "რუსთავი 2") მოპასუხე მხარედ ჩართვა მოითხოვა. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა გაურკვეველი ვადით გადადო ახალი მოპასუხეების პროცესზე არყოფნის გამო.

მოსამართლის გადაწყვეტილებას სრულიად სამართლიანად მიიჩნევს მოპასუხე ნანა დევდარიანის ადვოკატი ზვიად კორძაძე. მისი თქმით: **"მოპასუხეს მოსარჩელე ირჩევს და რადგან გია ჯიქიამ ჩათვალა, მოსამართლეს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, არ დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა და საინფორმაციო საშუალებები პროცესში მხარედ არ ჩაერთო".**

სხვათა შორის, თუ თავდაპირველად ნანა დევდარიანი გენერალური პროკურორისგან გია ჯიქიას თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვდა, იმავე მთავრობის სხდომაზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მან ნუგზარ გაბრიჩიძეს მთავარი სამხედრო პროკურორის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც კი მოსთხოვა, იარაღის კონტრაბანდაში, სხვადასხვა საქმეების გაყალბებაში დაადანაშაულა და თანამდებობის შეუფერებლობისთვის გენერალურ პროკურორს დაკავებული თანმდებობიდან მისი გათავისუფლება მოსთხოვა. ამის საპასუხოდ გია ჯიქია გენერალურ პროკურორს ორშაბათს ეახლა და, როგორც ამბობს, დევდარიანის მიერ წამოყენებული ბრალდებების აბსურდულობის დამადასტურებელი მასალები წარუდგინა.

**"თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღმოჩნდება, რომ გარეული ვარ იარაღის კონტრაბანდაში, გავაყალბე სხვადასხვა საქმეები, მაშინ რაზეა ლაპარაკი, ჩემი ნებით დავტოვებ თანამდებობას"**, - ამბობს გია ჯიქია. მაგრამ, - **"თუ სასამართლომ გამამართლა, მაშინ ნანა დევდარიანმა საჯაროდ ბოდიში მომიხადოს"**.

## მოკლედ

**თბილისი.** საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "წითელ ხიდზე" მესაზღვრეებმა და შს სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქე ილგარ რუსტამოვი ნარკოტიკების შემოტანისათვის დააკავეს. რუსტამოვს პირადი შემოწმებისას აღმოაჩნდა ორი გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა მოქალაქე ბერიძის მიმართ. აღნიშნულმა პირმა "მაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანით რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდულად შემოიტანა 13,2 ტონა თხევადი აირი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესასწავლად და აღმოსაფხვრელად იუსტიციის სამინისტროში სპეციალური კომისია შეიქმნა. იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის გია გოგიბერიძის თქმით, იუსტიციის სამინისტრომ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებაში წერილები გააგზავნა, ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ წინადადებების მიწოდების თხოვნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ 26 წლის პატიმარმა ალექსი მეფარიშვილმა ქუთაისის №2 საპყრობილეში შიმშილობა გამოაცხადა. მეფარიშვილი სხვისი ნივთის მითვისებისა და განადგურების ბრალდებებით არის დაპატიმრებული. პატიმარი მიიჩნევს, რომ უდანაშაულოა და საქმის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს. მეფარიშვილის მიმართ აღძრულ საქმეს სამტრედიის სატრანსპორტო პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისთვის ძებნილი, 25 წლის ზურაბ ნოზაძე, რომელმაც 2003 წლის 1 იანვარს, შარტავას ქუჩაზე, დანის მუქარით გივი გუგულაშვილს წაართვა 50 ლარი და მობილური ტელეფონი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა ჩიტაიას ქუჩაზე დააკავეს აფხაზეთიდან დევნილი, თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 22 წლის თემურ შაკაია, რომელმაც დანის მუქარით, სხვა პირთან ერთად, გურამ ასანიშვილს გასტაცა ავტომანქანა „ვაზ-2101". **მედია-ნიუსი**


UNHCR
United Nations High Commissioner for Refugees
Haut Commissariat des Nations Unies pour les réfugiés

გაეროს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა და გაეროს სააგენტოები საქართველოში აცხადებენ ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ მომსახურებაზე:

1. ბენზინის და დიზელის საწვავის მიწოდება გაეროს ოფისების გამთბობი სისტემების, ავტომანქანების და გენერატორების გასამართად 2003 წლის განმავლობაში.
მიახლოებითი რაოდენობა 350,000 ლიტრი დიზელი და 125,000 ლიტრი ბენზინი.
შეფასების კრიტერიუმი: საწვავის ხარისხი, ავტოგასამართი სადგურების მდებარეობა, მომწოდებლის საიმედოობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება და ფასი;

2. გაეროს ავტომანქანების მომსახურება 2003 წლის განმავლობაში
მანქანების რაოდენობა: 3 მიცუბიში, 35 ტოიოტა/ნისანი 4X4 და 5 ნივა 4X4 ავტომანქანა.
შეფასების კრიტერიუმი: სერვის-ცენტრში არსებული მომსახურების საშუალებანი, 4X4 გაძლიერებული ხიდის ავტომანქანების მომსახურების გამოცდილება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება და დაბალი ფასი;

3. გაეროს ავტომანქანების დაზღვევა 2003 წლისთვის
მანქანების რაოდენობა: 5 მიცუბიში, 35 მაღალი გამავლობის 4X4, 11 ნივა 4X4 და 6 სატვირთო ავტომანქანა. შეფასების კრიტერიუმი: დამზღვევის საიმედოობა, დაზღვევის დაფარვის განერცობა მაღალი რისკის ზონებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება და დაბალი ტარიფი;
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გაეროს წარმომადგენლობები გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისგან (დღგ, საბაჟო და ა.შ.) და არ აძლევენ წინასწარ გადახდას.
ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ საბანკო გადარიცხვით.
ტენდერის პირობების პაკეტის მიღება (ინგლისურ ენაზე) შესაძლებელია გაეროს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ოფისში 2003 წლის 20 თებერვლიდან.
მისამართზე თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 2ა, (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის შენობა). ტელეფონები: 250078/79/80/81.
წინადადებების შემოტანის ბოლო ვადაა 17:00, 3 მარტი, 2003 წ.

## CLK-GTR ლიმიტით

"მერსედეს-ბენცმა" ლიმიტირებული ტირაჟით, ოდენ 25 ერთეულის ოდენობით გამოუშვა თავისი სპორტული ავტომობილ "მერსედეს-ბენც CLK-GTR"-ის საგზაო მოდიფიკაცია.

ავტომობილი, რომელიც 90-იან წლებში ლე მანის 24-საათიან რბოლებში წარმატებით გამოდიოდა, აღჭურვილია 7.3-ლიტრიანი ძრავით, რომელიც 713 ცხენის ძალას ანვითარებს და მომზადებულია კომპანიის სპორტული განყოფილება AMG-ს კონსტრუქტორთა მიერ. ამ V12 აგრეგატის საშუალებით სუპერკარი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 3.6 წამში ანვითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი სპიდომეტრზე საერთოდ არ არის აღნიშნული, რამეთუ იგი არც მეტი,არც ნაკლები, 400 კმ/სთ-ს სცდება.

სუპერავტომობილი, რომელშიც მრავლადაა გამოყენებული მისი სარბოლი ვარიანტის ელემენტები, 1.250 მილიონი ევრო ეღირება.



მერსედეს-ბენც CLK-GTR სამოქალაქო სამოსში

## საიუბილეო „ფოკუსი"

"ფორდის" მიერ ავტომობილების წარმოების დაწყებიდან, წლეულს, ასი წელი სრულდება, რასთან დაკავშირებითაც ამერიკული კომპანია გამოუშვებს მოდელ "ფოკუსის" საიუბილეო ვარიანტს, რომელიც შეზღუდული რაოდენობით დამზადდება და საბაზოსგან ოდნავ შეცვლილი გარეგნობითა და უფრო მდიდარი კომპლექტაციით იქნება გამორჩეული.

საიუბილეო მოდელს ეწოდა "ფორდ ფოკუს ცენტენიალ სპორტ ედიშნ" და ის მხოლოდ სამკარიანი ჰეჩბეკის ძარას მიიღებს. მასზე დამონტაჟდება ორლიტრიანი აგრეგატი, რომელიც 130 ცხენის ძალას ავითარებს.

გარეგნულად მისი გამოცნობა შეიძლება შავი ფერით, ქრომირებული რადიატორის ბადით, რომელზეც განთავსდება წარწერა "ცენტენიალ" და სპორტული ყაიდის ელეგანტური ბორბლებით. სიახლის საბაზო კომპლექტაციაში შევა კონდიციონერი, შუშის ელექტროამწევი, ახალი აუდიოსისტემა "ფორდ აუდიო 6000" და სხვა ბევრი რამ.

სულ გამოშვებულ იქნება 250 ცალი საიუბილეო "ფოკუსი", რომელიც 23 995 ევრო ეღირება.

## ძალიან, ძალიან პატარა როდსტერი

ფირმა "გამამ" გამოუშვა მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის და ყველაზე მცირელიტრაჟიანი როდსტერი, რომლის ძრავის მუშა მოცულობაც, სულ რაღაც, 500 კუბურ სანტიმეტრს (ნახევარი ლიტრი) შეადგენს. ეს ავტომობილი როდსტერად კი მონათლეს, მაგრამ უფრო ბაგის მოგვაგონებს. მისი წონა 350 კილოგრამია და მას 20 ცხენისძალიანი აგრეგატის შემწეობით მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ აქვს. ავტომობილი სახელწოდებით "როუდ სტარ 500" მალე გამოვა ევროპის ბაზარზე, სადაც 11 995 ევრო ეღირება.



როდსტერი თუ ბაგი? – თქვენს წინაშეა გამას როუდ სტარ 500

## „მორგანი" ლე მანზე

უკვე რამდენიმე წელია, ლე მანის 24-საათიან რბოლებში მონაწილეობენ "მორგანის" ავტომობილები, მაგრამ დღემდე მათ საქარხნო მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

სამაგიეროდ, წელს ეს მხარდაჭერა სრულად იქნება უზრუნველყოფილი, რამეთუ "მორგანის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომპანიას 2003 წლის რბოლისთვის ფინანსური მხარდამჭერი გამოუჩნდა.

მალვერნში ბაზირებულ "მორგანს" თავადაც ჰქონდა განზრახული წლევანდელი რბოლისთვის შესაბამისი სახსრების გამოყოფა, მაგრამ გარე ინვესტორის გარეშე ამ საქმეს მაინც არ მოევლებოდა. და აი, ამ მხრივ, კომპანიას მხარდაჭერა აღუთქვა ენთუზიასტების მიერ სპეციალურად შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა სახელწოდებით "მორგან ტიმ პარტნერს" (მორგანის გუნდის მხარდამჭერები), რომლის თითოეული წევრიც მზადაა, გუნდისთვის 1000 გირვანქა სტერლინგი გაიღოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფში ათას წევრამდეა გაერთიანებული, გამოდის, რომ გუნდს მომავალი რბოლისთვის გარანტირებული აქვს მილიონ სტერლინგიანი ინვესტიცია.

ამ ინვესტიციის სანაცვლოდ, ჯგუფის ყოველ წევრს გარანტირებული ექნება ადგილი სარტეს ტრასის ცენტრალურ ტრიბუნაზე, რასაც დაემატება, გუნდის ბოქსებში რბოლის 24 საათის განმავლობაში, უფასო ვიზიტი-ექსკურსია. მათ ასევე გადაეცემათ საქარხნო გუნდის საფირმო აქსესუარები.

ყოველივეს ემატება ლატარეის ბილეთი, რომლის მფლობელსაც შანსი ექნება, მოიგოს ლე მანის რბოლაში მონაწილე ერთ-ერთი სარბოლი ავტომობილი "აერო 8".

## „ბეემვე" მეორე სერიას ამზადებს

ბავარიულმა კომპანია "ბეემვემ" გამოაცხადა, რომ სპორტულ ავტომობილ Z2-ს გამოუშვებს თავისი პირველი სერიის მოდელის პლატფორმაზე, რომლის დებიუტიც 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. ახალ ავტომობილზე დამონტაჟდება 1.8-ლიტრიანი აგრეგატი, რომელიც 115 ცხენის ძალას ანვითარებს და მისი მაბრუნი მომენტი ტრანსმისიის საშუალებით უკანა წამყვან თვლებს გადაეცემა.

დღეისათვის უკვე ცნობილია, რომ ახალი ავტომობილი მიიღებს საჭის მართვის აქტიურ სისტემას, რომელსაც მალე მიიღებენ მეხუთე სერიის ავტომობილები. წინასწარი ვარაუდით, Z2-ის დებიუტი 2005 წელს შედგება და ეს ორადგილიანი სპორტკარი ევროპაში 20 ათასი ევრო ეღირება.



დაახლოებით ასეთი იქნება ბეემვეს ყველაზე პატარა როდსტერი Z2

## დიდი ძრავები და ცილინდრების დეაქტივაცია

ბოლო წლებში, საავტომობილო ინდუსტრიაში შეინიშნება ძრავების მუშა მოცულობის საგრძნობი ზრდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მომხმარებელი სულ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს ავტომობილის ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა ძრავის სიმძლავრე, მაბრუნი მომენტი და აქედან გამომდინარე, ავტომობილის დინამიკური მაჩვენებლები.

თავის დროზე ამ ტენდენციის თანმდევი „გვერდითი მოვლენა" იქნებოდა საწვავის ხარჯის უსაზღვრო ზრდა და გამონაბოლქვი აირებით გარემოს მეტად დაბინძურება. თუმცა, დღეს უფრო მეტი მოცულობა აღარ ნიშნავს იმას, რომ ძრავები უფრო აპეტიტიანი გახდება. ამას ამტკიცებს „ჯენერალ მოტორსის" ძრავების საკონსტრუქტორო განყოფილების შეფი ფრიც ინდრა.

კორპორაციამ დაამუშავა და წლევანდელი დეტროიტის ავტოსალონზე წარმოადგინა ძრავების მართვის ახალი სისტემა, რომელსაც „დისპლესმენტ ონ დიმენდ" (DoD), ანუ მოცულობა მოთხოვნით ეწოდება. სხვა სიტყვებით, ეს არის ცილინდრების დეაქტივაციის სისტემა, რომელსაც ელექტრონიკა მართავს და შესაბამისი მონაცემების მისაღებად უამრავი გადამწოდი ემსახურება.

ანალოგიური სისტემა, ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა „მერსედეს-ბენცმა", ოღონდ შტუტგარტელები ამ ძვირადღირებულ ტექნოლოგიას



DoD სისტემა ერთ-ერთმა პირველმა "კადილაკ სიქსტინმა" მიიღო

ათ და მეტცილინდრიანი ძრავებისთვის ქმნიდნენ, „გენერლები" კი თავიანთ მომხმარებელს პირდებიან, რომ DoD სისტემა V6 და V8 არქიტექტურის ძრავებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. ესე იგი, სიახლეს მალე მასობრივი გამოყენება ელის.

სისტემის მუშაობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ როცა ავტომობილის ძრავი სტაბილურ რეჟიმში მუშაობს და სიმძლავრის გარკვეულ ნაწილს იყენებს, მართვის ელექტრონული სისტემა ავტომატურად თიშავს „ზედმეტ" ცილინდრებს. ამ დროს ძრავის ბლოკში არსებული ზეთი თიშავს წინასწარ „ამორჩეულ" ცილინდრებს – მათ სარქველებს გაღების საშუალებას არ აძლევს, რის შედეგადაც ცილინდრები საწვავი ნარევის გარეშე რჩებიან და აღარც ენერგიას გამოიმუშავებენ.

ამ დროს მუშა რეჟიმს ცილინდრების გარკვეული რაოდენობა, ვთქვათ, ოთხი ინარჩუნებს და 8-ცილინდრიანი ძრავი ფაქტობრივად ოთხცილინდრიანად გადაიქცევა. შედეგად, მცირდება აგრეგატის მიერ მოხმარებული საწვავი და გარემოში გამოყოფილი გამონაბოლქვი აირების მოცულობა.

DoD სისტემის რეალური დებიუტი წლის მეორე ნახევარში, პიკაპებზე - „შევროლე სილვერადოსა" და „GMC სიერაზე" შედგება. ამასთან, კორპორაცია აცხადებს, რომ იგივე სისტემას მალე გამოიყენებს „შევროლე მალიბუს" მომავალი თაობის V6 ძრავებზე. გარდა ამისა, ამ სისტემას მალე მიიღებს „ჯენერალ მოტორსის" უკლებლივ ყველა უგზოობის ავტომობილი.

„ჩვენ ძრავების მუშა მოცულობა პრაქტიკულად ზღვრამდე გავზარდეთ. ახალი სისტემით ჩვენ ავტომოყვარულებს დიდი არჩევანის საშუალებას ვაძლევთ, რადგან მათ საშუალება ექნებათ, მოთხოვნილების მიხედვით არეგულირონ ძრავის სიმძლავრე და თანაც ისე, რომ თითქმის არ შეიცვალოს მოხმარებული საწვავის ხარჯი", - ამბობს ბატონი ინდრა.

ახალი სისტემა, ასევე, გამოყენებულ იქნა დეტროიტის ავტოსალონის ერთ-ერთი უმთავრეს ვარსკვლავზე, „კადილაკ სიქსტინზე", რომელსაც 16-ცილინდრიანი გული აქვს. ეს ის ავტომობილია, რომლის საშუალებითაც „კადილაკი" თავისი ძველი რეპუტაციის დაბრუნებას აპირებს და ბუნებრივია, ფლაგმანისთვის იმიჯის შესაქმნელად „გენერლებმა" განსაკუთრებულად იზრუნეს. მათი განცხადებით, „სიქსტინი" მაგისტრალზე მოძრაობისას ას კილომეტრზე მაქსიმუმ 15 ლიტრ საწვავს მოიხმარს, ამ დროს კი მისი ძრავის 16 ცილინდრიდან მხოლოდ ოთხი იმუშავებს.

## ყველაზე ლამაზი ავტომობილი მსოფლიოში

გასული წლის ბოლოს დაასრულა მუშაობა ყოველწლიური კონკურსის „მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ავტომობილები"-ს მრავალეროვნულმა ჟიურიმ, რომელმაც შვიდ კლასში წლის ულამაზესი ავტომობილები გამოავლინა.

ბუნებრივია, კონკურსში ყველაზე საპატიო იყო ყველაზე პრესტიჟულ, ძვირფასი ავტომობილების კლასში გამარჯვება, რომელიც მოიპოვა „ბენტლი არნაჟ T"-მ. გამარჯვებულმა უკან მოიტოვა „ფოლკსვაგენის" სრულიად ახალი მოდელი „ფაეტონი", რომელიც ევროპის უდიდესმა ავტოკომპანიამ პირველად შარშან, ჟენევის ავტოსალონზე წარმოადგინა.

ჟიურიმ „არნაჟი" დაახასიათა, როგორც „ექსტრაორდინარული იმიჯის მქონე ლიმუზინი", რომელიც სრულად შეესატყვისება მაკრკის არსებულ ფილოსოფიას და რომელსაც სალონის გაფორმების ტიპიური „ბრიტანული სიფაქიზე" გააჩნია და თავის კლასში კონკურენტებს შორის ყველაფრით გამორჩეულია.



"ბენტლი არნაჟ T"

აღსანიშნავია, რომ ამ კონკურსში „ბენტლისთვის" ეს უკვე მეორე აღიარებაა - 1995 წელს საუკეთესო ღია (კაბრიოლეტები და როდსტერები) ავტომობილად მიჩნეულ იქნა „ბენტლი აზური".

კომპაქტური ავტომობილების კლასში პირველობა მიეკუთვნა „სიტროენ C3"-ს, რომელმაც მძაფრ კონკურენციაში უკან მოიტოვა „ჰონდა ჯაზი". საშუალოზომიან კომპაქტურ ავტომობილებში ჟიურიმ უპირატესობა მიანიჭა მეორე თაობის „რენო მეგანს", რომელიც 19 ნოემბერს ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილად იქნა დასახელებული.

სოლიდური, საშუალოზომიანი ავტომობილების კლასში გაიმარჯვა „მერსედეს-ბენცის" E-კლასის სედანმა, რომელმაც უკან მოიტოვა „ლანჩა თეზისს". ღია ავტომობილების სეგმენტში პირველობა ხვდა „MG როვერის" განახლებულ მოდელ TF-ს, ყველაზე ლამაზი სპორტული ავტომობილი კი „ფერარი 575 მარანელოა". დაბოლოს, ჯიპებს (უგზოობის ავტომობილებს) შორის რჩეულად დასახელდა ახალთახალი „ვოლვო XC90", რომელიც შარშან ამ კლასის საუკეთესო მოდელადაც იქნა აღიარებული.

ალბათ ისიც საინტერესოა, რომ წლევანდელ ჟიურიში გაერთიანებულები არიან იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, პერუსა და აშშ-ის ცნობილი დიზაინერები და არქიტექტორები, რომელთა შორისაც იყვნენ ბრიტანელი მხატვარი და სამეფო სამხატვრო აკადემიის მოქმედი წევრი ჯო ტილსონი, იტალიელი დიზაინერი ვიკო მაგისტრეტი და „მერსედეს-ბენცის" ყოფილი შეფ-დიზაინერი ბრუნო საკო. კონკურსს კი თავმჯდომარეობდა ცნობილი იტალიელი საავტომობილო ჟურნალისტი ბრუნო ალფიერი.

## „ბენტლი„ ახალი ცხოვრებისთვის ემზადება

2003 წლის დასაწყისიდან „ბენტლი" თავის ორ ძველ მოდელს, „აზურსა" და „კონტინენტალ R"-ს დაემშვიდობება და ამასთან დაკავშირებით გამოუშვებს ამ ავტომობილების უკანასკნელ პარტიებს, რომლებსაც „ფაინალ სერის" დაერქმევა.

„კონტინენტალ R", რომელიც 1991 წლიდან გამოდის, დღემდე 1533 ცალის ოდენობით გაიყიდა, „აზური" კი, რომლის დებიუტიც 1995 წელს შედგა, 1235-იანი ტირაჟით გაიყიდა.

„ფინალურ სერიაში სულ 52 ცალი კუპე და კაბრიოლეტი დამზადდება. ავტომობილები მიიღებენ 420 ცხენისძალიან ძრავებს და ბორბლების ხუთსპიციან დისკებს. ამასთან, „აზურის" სამუხრუჭე სუპორტები, სპორტულ სტილში, წითლად შეიღებება. მათი სალონი კიდევ უფრო მდიდრულად გაფორმდება, ვიდრე „ბენტლის" ჩვეულებრივი მოდელები.

წლევანდელიდან ეს ავტომობილები გზას მისცემენ „ბენტლის" მიერ პარიზის შარშანდელ ავტოსალონზე წარმოდგენილ ახალ მოდელ „კონტინენტალ GT"-ს, რომელმაც უკვე რამდენიმე საპატიო პრიზი და აღიარება დაიმსახურა.

ამასთან, „ფოლკსვაგენი", რომელიც ინგლისურ მარკას ფლობს, ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს. უცხოურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ვოლფსბურგელთა საკონსტრუქტორო დივიზიონს უკვე დაწყებული აქვს „კონტინენტალის" სედანის ვარიანტზე მუშაობა.



"ბენტლი აზური"

ახალი სედანი „ბენტლის" სამოდელო რიგში შეცვლის უკვე მოძველებულ „არნაჟს" და იგი ბაზარზე 2005 წლიდან გამოჩნდება. გერმანულ ჟურნალ „აუტო მოტორ უნდ შპორტის" ცნობით, სედანი „კონტინენტალი" „ფოლკსვაგენ ფაეტონის" 15 სანტიმეტრით დაგრძელებულ პლატფორმაზე „დაემყნობა" და მისი სიგრძე 4.9 მეტრს მიაღწევს. ამასთან, ავტომობილი შეინარჩუნებს კუპესთვის დამახასიათებელ სტილს და მასავით, „ფოლკსვაგენის" 12-ცილინდრიანი ძრავით აღიჭურვება.

გაიზრდება ავტომობილის მასაც, რომელიც 2.2 ტონას მიაღწევს. ამიტომ, მისთვის ძრავს გააძლიერებენ და მისი სიმძლავრე 550 ცხენის ძალას მიაღწევს, რისი საშუალებითაც ადგილიდან ას კილომეტრ საათამდე სედანი „კონტინენტალი" ოდენ ექვს წამში აჩქარდება, საშუალო სიჩქარე კი 280 კმ/სთ-ს მიაღწევს.

როგორც ინგლისური კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს იქნება მძლავრი და მოხდენილი მდიდრული ავტომობილი, ისეთი, როგორიც „ნამდვილ ჯენტლმენს" შეფერება - მდიდრული ინტერიერისა და ულტრათანამედროვე პნევმოდაკიდების სისტემის გარდა, რითაც უზრუნველყოფილია ამ დონის ავტომობილისთვის საჭირო კომფორტი, სიახლე ასევე მიიღებს ყველანაირ დამხმარე მოწყობილობებსა და ელექტრონულ სისტემებს. ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან სედან „კონტინენტალს" კონკურენცია მოუწევს ბაზრის ამ სეგმენტის ისეთ ლიდერებთან, როგორებიც არიან „მაიბახი", და „ბეემვეს" ხელში გადასული „როლს როისის" ახალი თაობის ავტომობილები, რომელთაგან პირველი მოდელის „ფანტომის" დებიუტი დეტროიტში შედგა.

## ყველაზე ძვირფასი ავტომობილები

„უოლ სტრიტ ჯორნალმა" გამოაქვეყნა იმ ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილების სია, რომლებიც დღეისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე იყიდება. ამ სიაში ვერ მოხვდა ვერცერთი ძვირფასი სედანი - გამოცემის სიაში რვავე ადგილი „ოკუპირებულ" იქნა ექსკლუზიური სპორტული ავტომობილების მიერ.

ჟურნალის მიერ პირველი ადგილი მიენიჭა „ფოლკსვაგენის" – „ბუგატი ვეირონს", რომელიც ჯერაც არ გამოსულა და მყიდველს პირველად წლეულს შესთავაზებენ. მისი ღირებულებაა 750 ათასი დოლარი. ეს სუპერ-ავტომობილი აღიჭურვება 16-ცილინდრიანი ძრავით, რომელიც 1001 ცხენის ძალას ანვითარებს და მისი საშუალებით ავტომობილი ადგილიდან 300 კმ/სთ სიჩქარეს 14 წამში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 406 კმ/სთ იქნება. ასე რომ, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ეს იქნება არამარტო მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, არამედ ყველაზე სწრაფი ავტომობილიც.



"ბუგატი ვეირონი"

მეორე და მესამე ადგილები უკავიათ „ფერარი" ენცოს", რომლის ღირებულებაცაა 650 ათასი დოლარი და სიაში მოხვედრილ ერთადერთ ამერიკულ ავტომობილ „სალენს S7"-ს, რომელიც 400 ათასი დოლარი ღირს. ეს უკანასკნელი აღჭურვილია 7-ლიტრიანი ძრავით, რომელიც 550 ცხენის ძალას ანვითარებს და მისი საშუალებით ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 340 კმ/სთ-ს აღწევს.

მომდევნო ადგილები მიეკუთვნათ: „პორშე კარერა GT"-ს (375 ათასი დოლარი, ეს ავტომობილი ბაზარზე წელს გამოჩნდება), „ლამბორგინი მურსელაგო" (270 ათასი დოლარი), „მერსედეს SLR" (250 ათასი დოლარი), „ასტონ მარტინ ვენქუიში" (234 ათასი დოლარი) და ბოლოს „ფერარის" კიდევ ერთი მოდელი - „მარანელო", რომელიც 230 ათასი დოლარი ღირს.

„უოლ სტრიტ ჯორნელის" სიაში ვერ მოხვდა კიდევ ერთი ახალი ძვირფასი ავტომობილი - „მერსედეს-ბენცის" „მაიბახი". ამის მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ ეს ავტომობილი აშშ-ში გამოკითხვის ჩატარების მომენტში არ იყიდებოდა. ამ სუპერლიმუზინის ღირებულება სავარაუდოდ 300 ათასი დოლარი იქნება.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# მთელი საქართველო საარჩევნო ინტრიგებშია ჩართული, აფხაზეთისთვის არავის სცალია

*ენგურის ხიდთან კარავი პირველად გასული წლის 6 იანვარს დაიდგა. დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ ითხოვენ რუსეთის სამშვიდობო ჯარის გაყვანას. მათი მოთხოვნა დღესაც უცვლელია. აგრეთვე უცვლელია ხელისუფლების არგუმენტაცია - ჯარის გაყვანით შეიქმნება დესტაბილიზაცია, იქნება შეიარაღებული დაპირისპირებები და ა.შ. სამი დღის წინ სახელმწიფო მინისტრი აქციის მონაწილეებთან ჩავიდა. ამჯერად ხელისუფლების არგუმენტებს ამყარებდა აშშ-ს რეკომენდაცია სამშვიდობო ძალებისთვის ვადის გაგრძელების შესახებ. აქციის მონაწილენი, რა თქმა უნდა, სტუმრებივით დიდი პოლიტიკოსები არ არიან, თუმცა მათაც აქვთ საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს მოსაზრება ხელისუფლებას მკაფიოდ და მწვავედ წარუდგინეს. კარავი მარტო კარავი არ არის, მათ უკან დევნილთა, პარტიზანთა და გამწარებულ ხალხთა დიდი არმია დგას. ამ ადამიანების წარმომადგენლები გუშინ სახელმწიფო მინისტრს საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ და ჯორბენაძემ, დაპირებისამებრ, ამ შეხვედრაზე საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი მიიწვია. გვესაუბრება დელეგაციის წევრი, გალის გამგებლის მოადგილე ბატონი* ***გია ლომია.***

მაია ჭალაბანიძე

**- რით განსხვავდება პრობლემის მოგვარების თქვენი გზა სახელისუფლო ხედვისგან?**

- სამშვიდობოთა გასვლასთან დაკავშირებით ჩვენი, დევნილთა მოსაზრება ერთიანია. რა თქმა უნდა, მათ გასვლასთან ერთად ველით 74 კილომეტრიანი ზოლის გაფართოებასაც. რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მათი გასვლის შემდეგ, ჩვენი მოსაზრებით, ჩადგება ჩვენი შინაგანი ჯარი, აფხაზეთის სპეცდანიშნულების, ზუგდიდის შინაგანი ჯარები, პლუს ყველა ის ფორმირებები, რაც ზუგდიდშია. დარწმუნებული ვარ, რომ მაშინვე დაიწყება შემრიგებლური პროცესი აფხაზებსა და ჩვენს შორის.

**- ამის შესახებ თქვენ ხელისუფლებას ესაუბრეთ. რა გიპასუხეს?**

- ხელისუფლება ამბობს, რომ რუსეთი განაწყენდება და კონფლიქტის მოგვარებისთვის მათ მიერ დახარჯული დიდი ძალისხმევა ფუჭად ჩაივლის. არგუმენტად კი 1998 წლის მაისის მოვლენები მოჰყავთ.

**- როგორ გგონიათ, ხელისუფლების ეს შიში რეალურია?**

- ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ. დღეს რუსული პოლიტიკის სამოქმედო არეალი აფხაზეთია. ისინი ჩვენზე ადრე ფიქრობენ და აკეთებენ ისეთ პოლიტიკურ სვლებს, რაც ჩვენ ჩიხში გვაქცევს.

ჩვენი ინიციატივით არაფერი ხდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხელისუფლებაში, არც საგარეო სქმეთა სამინისტროში, არც კანცელარიაში, არც კაკაბაძის სამინისტროში არ არსებობს აფხაზეთის დაბრუნების ერთიანი პოლიტიკა. როცა ვითარება მწვავდება, სახელმწიფო მექანიზმი მხოლოდ იმ კონკრეტული პრობლემის ჩაქრობაზე მუშაობს. პირადი საუბრებისას გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები, სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ ჩვენი ხელისუფლების ნებაა ის, რაც ხდება. დღეს იმდენად დაძაბულია სიტუაცია და ინტრიგები, რომ აფხაზეთისთვის არავის ცალია.

**- ეს აქციები ყურადღების მიქცევის გარდა რაიმე შედეგს მოიტანს?**

- შინაგანად დიდი იმედი მქონდა, რომ მხარს დაგვიჭერდა მთელი საქართველო, ოპოზიციური პარტიები. სხვათა შორის, შეხვედრაზე რიჩარდ მაილსმაც მიგვანიშნა, რომ ყველაფერი ჩვენს კონსოლიდირებაზეა დამოკიდებული. თუმცა იმასაც ამბობდა, რომ შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე რაიმე გლობალური ნაბიჯების გადადგმა არ შეიძლება.

**- ხან არჩევნებია, ხან - დესტაბილიზაციაა, პანკისი, სამცხე-ჯავახეთი. თქვენი აზრით, როდის გახდება აფხაზეთი და დევნილები სახელმწიფოს ნომერ პირველი პრობლემა?**

- ბევრს ვფიქრობ ამაზე. პირდაპირ ვიტყვი... მე, გიორგი ლომია, სპეციალობით აგრონომი ვარ და ყველაზე ბედნიერად ის ხანა მახსენდება, როცა გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობაში ვცხოვრობდი. არ მჭირდებოდა პოლიტიკოსობა. დღეს კი იძულებით პოლიტიკოსი გავხდი. ჩვენი პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრა შეუძლებელია, ამიტომაც დიდ იმედებს ვამყარებ საპარლამენტო არჩევნებზე.

**- კონკრეტულად რას ელით ამ არჩევნებისგან?**

- მიჭირს ანალიზი... ზუგდიდში შექმნილი რთული ვითარება (კრიმინალი, კონტრაბანდა და ა.შ.) შეიძლება ბოროტად გამოიყენონ და არჩევნები არ ჩატარდეს. ეს კი ხელს აძლევს მათ, ვისაც არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვს.

**- თქვენ იქ ცხოვრობთ და მუშაობთ. ვინ აკეთებს ამას?**

- ზუგდიდში დატრიალებული ყველა მოვლენის უშუალო მონაწილე ვარ და, რა თქმა უნდა, ვიცი, ვინ რითი ცხოვრობს.

ათი წლის წინანდელ მოვლენებს თუ დაუბრუნდებით, გაიხსენებთ, ვინ აკონტროლებდა მაშინ სამეგრელოს, რა ძალები ჩადგნენ ყველა ხიდის თავში და აფხაზეთიდან გამოქცეულებს ვინ არ უშვებდა იარაღით... დაკონკრეტება არ მინდა, ამას შეიძლება დაპირისპირება მოჰყვეს. საკუთარი მონაგარის გადმოტანის საშუალებას არ აძლევდნენ დევნილებს. ამით ხომ გარკვეულ პერიოდში თავს გავიტანდით...

მაგრამ, ეს ჩაფიქრებული იყო... ამის შემდეგ, ბევრჯერ ეცადნენ ზუგდიდელებსა და დევნილებს შორის დაპირისპირება ჩამოეგდოთ. ყველაფერი გააკეთა ხალხმა, რომ ამისთვის ხელი შეეშალა, რისთვისაც ზუგდიდს მადლობა მინდა ვუთხრა.

**- რა ძალამ აქცია პოლიტიკური თამაშების პოლიგონად ზუგდიდი?**

- 117 ათასი დევნილია სამეგრელოში და აქედან 60 000-მდე მიიღო ზუგდიდმა. თბილისი დიდია და თქვენთვის ეს ადვილი გადასატანია. თუმცა, ზუგდიდელების დამსახურებითა და ჩვენი მოკრძალებული წვლილით დღეს ზუგდიდელებსა და დევნილებს შორის ერთიანობაა.

სხვათა შორის, ჩვენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, დევნილმა, ზუგდიდელმა და აფხაზმა კრიმინალებმა "შესანიშნავი" კოალაცია შექმნეს.

**- ეს რას ნიშნავს?**

- დღეს დანაშაული ზუგდიდში შეიძლება ჩაიდინოს დევნილმაც, ზუგდიდელმაც და აფხაზმა კრიმინალმაც. ის შემთხვევებიც ვიცით, რომ აფხაზი კრიმინალი გადმოუყვანიათ "საერთო საქმის" გასაკეთებლად. ისიც ხდება, რომ აფხაზი (ჩინოვნიკი, კრიმინალი თუ უბრალო მოქალაქე) იძლევა შეკვეთას და მას თეთრი ფერის "ფორდის" სამარშრუტო მანქანა ესაჭიროება. ეს ინფორმაცია მოდის ზუგდიდში და ესენიც ასრულებენ შეკვეთას.

**- ვინმე ცდილობს ამის აღკვეთას?**

- არავინ. დანაშაულობებში გარეული არიან უშიშროების სტრუქტურები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ. ჩვენ, მაშინდელ ხელისუფლებას მიგვაჩნდა, რომ გალში დევნილები არ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ამით მტერთან საბრძოლველად და დასასჯელად ჩვენც და პარტიზანებსაც ხელ-ფეხი შეგვეკრა... აფხაზებს ერთი, ორი ან სამი კაცი ყველა სოფელში ჰყავთ და თუ დასჭირდათ, აფხაზთა ე.წ. "სადამსჯელო ჯგუფი" ნებისმიერ დროს შევა სოფელში. გლეხმა იცის, რომ უნდა გადაიხადოს მიწის და სხვა გადასახადები იმის საფასურად, რომ აფხაზები არ შემოვიდნენ და არ ხელყონ მათი საარსებო საშუალებები. ეს არის ერთგვარი ბეგარა, ამ ბეგარას ქართველი მოსახლეობა საკუთარი სიცოცხლისთვის იხდის.

**- დათო შენგელია რამდენიმე თვის წინ გალის რაიონის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა. შეიცვალა რაიმე მისი ხელისუფლებაში მოსვლით?**

- ჯერჯერობით, არაფერი. დათო რაიონში ერთ-ერთი ავტორიტეტული პიროვნებაა. დათოს ვეებერთელა მინუსებიც აქვს და პლუსებიც. სხვათა შორის, მან დიდი წვლილი შეიტანა ზუგდიდელებისა და დევნილების დაპირისპირების აღკვეთაში. დათოს უკან სერიოზული შეიარაღებული ძალა იდგა და მისი ფიგურა ყოველთვის ანგარიშგასაწევი იყო. ამ პერიოდში მას საშუალება ეძლეოდა, რომ არა კონსტიტუციურად და სასამართლოთი, არამედ კაცური, ქუჩური გარჩევებით მოეწესრიგებინა პრობლემები.

**- ახლა ის ხელისუფლებაშია და ოფიციალურად შეუძლია წესრიგის დამყარება.**

- ჯერჯერობით, არაფერი შეცვლილა და ამას გარკვეული მიზეზები აქვს. არ მინდა ვთქვა, რომ ხელს უშლიან, თუმცა, შეიძლება დღეს ხელისუფლებისთვისაც არ არის ხელსაყრელი დათო შენგელია. დათოს აფხაზებში იმდენი გამწარებული ხალხი ჰყავს, რომ მისი ფიზიკური ლიკვიდაცია იქიდანაც არის მოსალოდნელი (და ამას ხელს ვერავინ შეუშლის). ბოლო პერიოდში ამის რამდენიმე მცდელობა იყო. არ ვიცი, დათო რას გააკეთებს მომავალში, თუმცა ჯერ-ჯერობით, შეიძლება, (და ასეც იქნება) დათო სერიოზულად გამოიყენონ შემოდგომის საპარლამენტო არჩევნებზე.



გია ლომია

**- გამგებლის მოადგილე თქვენც ხართ. რატომ ვერ ერევით რეგიონში არსებულ კორუფციას, დაძაბულ კრიმინალურ ვითარებას და ა.შ.**

- ჩემი ამ თანამდებობით იმის საშუალება მაქვს, რომ ვთქვა სიმართლე. მე ვემიჯნები ლეგიტიმურ ხელისუფლებას... მათ ვახსენდებით მხოლოდ მაშინ, როცა უჭირთ.

**- კრიმინალი აქციის კარავსაც შეეხო. ვინ დაგიმონტაჟათ ასაფეთქებელი მოწყობილობა?**

- ასეთი შემთხვევები არაერთი იყო. ეს გალის მოსახლეობის ხელით აფხაზებმა გააკეთეს. იცით, რა ხდება? ვაინერ ბუთბა - აფხაზთა სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთი სასტიკი ჯალათი - დაიჭერს ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ჯარში წასვლა არ უნდა, მამამისს ეტყვის, თუ ამ ფუთას იქ დადებ, შენს შვილს გავუშვებ და შენც არ გექნება პრობლემებიო... ამას ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით. ეს მთელი სამსახურების საქმეა. კარვის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ჩვენ არ ვართ მშიშრები, მაგრამ შეიძლება ამას ჩვენი უდანაშაულო თანამგრძნობი შეეწიროს.

**- კარავში როგორი განწყობაა? როგორ მიიღეს სახელმწიფო მინისტრი?**

- არაერთგვაროვანი განწყობაა. სახელმწიფო მინისტრი დევნილებს ომის პერიოდიდან ახსოვთ, როცა ის ჯანდაცვის მინისტრი იყო და სისხლიანს საკაცით ჯარისკაცები გადმოყავდა. მაგრამ ეს პიროვნულია. მას, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის კურსის გამტარებელს, მოსახლეობა კრიტიკით შეხვდა. ჩვენი მოთხოვნები და ლოზუნგები მკაფიო იყო. ზოგმა ისიც უთხრა, შენ და პრეზიდენტმა საქართველო გაყიდეთო, ისეთი აზრიც იყო, რომ არგუმენტად მოყვანილი ეს წერილი კანცელარიაში დაიბეჭდა... მაგრამ კონსტრუქციულობაც იყო.

**აფხაზები ამბობენ, რომ სანამ არძინბა მათი და ედუარდ შევარდნაძე ჩვენი ლიდერია, კონფლიქტი არ მოგვარდებაო..**

**პრეზიდენტთან შეხვედრას აზრი არ აქვს. გასული წლის შეხვედრაზე მან გვითხრა, რომ ჩვენი კერძო კონტაქტების იმედი აქვს და დათო შენგელიას მიმართა (არ ვიცი, რა იგულსხმა), რომ თქვენი კატეგორიის ხალხმა უნდა მოძებნოს ერთმანეთთან საერთო ენაო...**

**1991 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტატები ისევ პარლამენტში არიან. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ ესენი აფხაზეთში დაბრუნებამდე დეპუტატები იქნებიან. ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტი ამ სიტუაციას და ფრაქციის გახლეჩას ისევ თავისი მიზნებისთვის იყენებს. ჩვენ ისინი არ აგვირჩევია.**

**- თქვენ აშშ-ს ელჩთან, რიჩარდ მაილსთან მოითხოვეთ შეხვედრა. რატომ არა პრეზიდენტი შევარდნაძე?**

- ზუსტად ერთი წლის წინ შევხვდით პრეზიდენტს. მაშინ შვიდკაციანი დელეგაცია ვიყავით. ზუსტად იგივე მოთხოვნები გვქონდა. თუმცა, მაშინ უკან დასახევიც დავიტოვეთ და უსაფრთხოების 24 კილომეტრიანი ზოლის გადაწევა მოვითხოვეთ. თუნდაც ეს გაკეთებულიყო. მაშინ პრეზიდენტმა გვითხრა, რომ იმ ეტაპზე ეს შეუძლებელი იყო და იგივე არგუმენტები - შეიარაღებული პროვოკაციები მოიყვანა დასტურად. დღესაც იგივეს გვეუბნებიან.

პრეზიდენტთან შეხვედრას აზრი არ აქვს. გასული წლის შეხვედრაზე მან გვითხრა, რომ ჩვენი კერძო კონტაქტების იმედი აქვს და დათო შენგელიას მიმართა (არ ვიცი, რა იგულისხმა), რომ თქვენი კატეგორიის ხალხმა უნდა მოძებნოს ერთმანეთთან საერთო ენაო... ამ შეხვედრიდან ბუნდოვანი დასკვნები გამოვიტანე. დღეს მთელი საქართველო საარჩევნო ინტრიგებშია ჩართული და აფხაზეთისთვის არავის სცალია.

**- თქვენ რას ფიქრობთ, ხელისუფლების ეს არგუმენტები საფუძვლიანია?**

- მე, გია ლომიას, დესტაბილიზაციის მეშინია.

**- თქვენ მოგიწევთ აქციის მონაწილეებთან შეხვედრა. რას ეტყვით მათ. კარავი დაიშლება?**

- ჩვენი ჩასვლის შემდეგ ოფიციალურად გადაწყდება, დაიშლება თუ არა კარავი. თუმცა, შტაბი მაინც იმუშავებს. კარავი კი დღესაც დაშლილი იყო.

**- როგორ გგონიათ, რა იქნება 6 თვის მერე, როცა კვლავ დადგება სამშვიდობოთა საკითხი?**

- პარლამენტის ოფიციალური დადგენილების არსებობის მიუხედავად, დღეს ჩვენ კი არა, მთელი სქართველო რომ დადგეს, არ გაიყვანენ სამშვიდობოებს. 5-6 თვის შემდეგ კი უფრო დაძაბული იქნება სიტუაცია, ისევ არავის ეცლება აფხაზეთისთვის და ეს ვადა კიდევ ერთი წლით გადაიწევს.

მაქვს ოფიციალური და პირადი ურთიერთობები გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებთან. ისინი ამბობენ, რომ ჯერჯერობით, არაფერი შეიცვლება, თუმცა ჩემი მიამიტობით მეგონა, რომ ჩვენი აქციით რაღაც შეიცვლებოდა. ჩვენ ეს ვერ შევძელით. ჩემს მეგობრებს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ პესიმიზმი დამეუფლა.

**- თქვენ აფხაზებთანაც გაქვთ არაოფიციალური კონტაქტები და მათი აზრიც გეცოდინებათ...**

- ისინი ამბობენ, რომ სანამ არძინბა მათი და ედუარდ შევარდნაძე ჩვენი ლიდერია, კონფლიქტი არ მოგვარდებაო. შემიძლია ოფიციალური თუ არაოფიციალური რამდენიმე შეხვედრა დაგისახელოთ, სადაც მათ ეს თქვეს.

**- პოლიტიკურ ძალებს, ალბათ, ჰქონდათ გარკვეული მცდელობა, კარვის აქცია საკუთარი ინტრესებისთვის გამოეყენებინათ.**

- მე ვიყავი იმის ინიციატორი, რომ არც ერთი ძალისთვის არ მიგვეცა კარვის პოლიტიკურ ტრიბუნად გამოყენების საშუალება. ლეგიტიმური და არალეგიტიმური ხელისუფლების დახმარებაზეც უარი ვთქვით. თუმცა, ეს მაინც მოხდა და ჩვენი სახელით ვიღაცვიღაცეებმა ფქვილი, შაქარი და სხვა რამ მოაგროვეს... ჩვენ ამას პირველ ეტაპზე ხელი შევუშალეთ... კარავი მართლა დიდი ძალაა.

**- ვინ დგას კარვის აქციის უკან?**

- მე, პარტიზანები, არასამთავრობოები, ქუჩის ბიჭები და ის ადამიანები, რომლებიც სამეგრელოში დღეს საშინელ მდგომარეობაში არიან.

**- თქვენ ამბობთ, რომ მეგობრობთ ოპოზიციურ ძალებთან. სახელისუფლო პარტიებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? არის ეს თანამშრომლობა?**

- იქიდან ჯერჯერობით მხოლოდ სურვილს ვხედავთ. ჩვენ არავისთვის დაგვიმალავს და საერთაშორისო ორგანიზაციების გასაგონად ვყვიროდით, რა დღეშიც ვართ. ხელისუფლებას ამის გამოყენების ყველა საშუალება ჰქონდა, მაგრამ ვერ გააკეთა.

**- არის კარავი ის შემთხვევა, როცა დევნილები და მათი ხელისუფლება ერთად დგას?**

- რა თქმა უნდა, არის წინააღმდეგობებიც და ზეწოლაც, მაგრამ...

ჩემთვის ძნელი გასაგებია - აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ამბობს, რომ მშვიდობის მტრედები არ სჭირდება და უნდა ვიომოთ; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბობს, რომ ხელისუფლებას დავუჯეროთ და მოლაპარაკებები ვაწარმოოთ. პარლამენტში ჩვენი ფრაქცია ორად არის გაყოფილი... არ არსებობს აფხაზეთის დაბრუნების ერთიანი პოლიტიკა.

ჩვენ დიდი პრეტენზიები გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტატები ისევ პარლამენტში არიან. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ ესენი აფხაზეთში დაბრუნებამდე დეპუტატები იქნებიან. ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტი ამ სიტუაციას და ფრაქციის გახლეჩას ისევ თავისი მიზნებისთვის იყენებს. ჩვენ ისინი არ აგვირჩევია. მათი გადარჩევის ჩვენი მოთხოვნა კი არავინ იღო ყურად.

ასევე არიან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც, რომლებსაც სახეზეც კი არ ვიცნობთ. ორივე ფრაქცია ისე გამოეკიდა სახელმწიფო მინისტრს და ხელისუფლებას და ისე დაუჭირა მხარი ბიუჯეტს, არავის უზრუნია ჩვენი, დევნილების პირობების გაუმჯობესებისთვის. არავის, სიმბოლურადაც არ დაუყენებია საკითხი 14 ლარიანი დახმარების, თუნდაც ერთი ლარით გაზრდის შესახებ. ამის გამო მთელი მოსახლეობა განაწყენებულია. შეიძლება ხვალვე გამათავისუფლონ სამსახურიდან, მაგრამ ამას მაინც ვიტყვი.







## მარჯანიშვილის თეატრის ბიბლიოთეკას წვიმა ანადგურებს

მარჯანიშვილის თეატრის უნიკალური ბიბლიოთეკა საფრთხეშია. თეატრის შენობაში დაზიანებულია საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც სველი წერტილებიდან მომდინარე წყალი სერიოზულ საფრთხეს უქმნის შენობას. თეატრის დირექტორის გაიოზ კანდელაკის თქმით, თეატრის დირექცია უახლოეს მომავალში დახმარებისათვის თბილისის მერიას მიმართავს. მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა ორი წლის წინათ თეატრს გარკვეული თანხა გამოუყო, რის შედეგადაც შენობის სახურავის ნაწილი შეკეთდა. სავალალო მდგომარეობაშია მარჯანიშვილის თეატრის ფასადიც. **(მედია-ნიუსი)**

## ეკა კვალიაშვილის უპრეცედენტო პროექტი

მომღერალი ეკა კვალიაშვილი ახალ უპრეცედენტო პროექტზე მუშაობს. ეს იქნება მონო-სპექტაკლი და სრულიად განსხვავებული სანახაობა კაპელას, გუნდისა და ინსტრუმენტალისტების მონაწილეობით. ამჟამად მომღერალი პროექტის სამზადისშია და ერთდროულად სამ სტუდიაში მუშაობს. “სცენარი ერთი მთლიანი ორგანიზმივითაა და მთელი სპექტაკლი სიმღერაზეა აწყობილი. ეს პროექტი თავიდან ბოლომდე ექსკლუზივია და მსოფლიოში მსგავსი რამ ჯერ არ შექმნილა" – ამბობს მომღერალი. კვალიაშვილი პროექტის ბევრ დეტალს ჯერჯერობით არ ამხელს და მაყურებელს საინტერესო სიურპრიზებს ჰპირდება. **(ინტერ-პრესი)**

## მორიგი ქართულ-რუსული დუეტი

მომღერალი ქეთა თოფურია ცნობილ რუს მსახიობთან ნიკოლაი კარაჩენცევთან ერთად დუეტის ჩაწერას გეგმავს. 26 თებერვალს იგი მიწვეულია მოსკოვში, ცნობილი კომპოზიტორის ნოდარ ნიკოლეიშვილის შემოქმედებით საღამოზე, რომელიც დარბაზ “როსიაში" გაიმართება. თოფურია ამ საღამოზე სოლო-სიმღერასთან ერთად ორ დუეტს (ნოდარ ნიკოლეიშვილთან და ნიკოლაი კარაჩენცევთან) შეასრულებს. შემოქმედებით საღამოს მოსკოვში რუსული ესტრადის ვარსკვლავები დაესწრებიან. საქართველოდან კი ქეთასთან ერთად მიწვეულები არიან თამუნა ამონაშვილი და ლიკა დოლიძე. **(ინტერ-პრესი)**

## მარიკა თხელიძე წვეულებას ამზადებს

მომღერალი მარიკა თხელიძე მარტის დასაწყისში გასართობ კომპლექს “აჭარა მიუზიკ ჰოლში" წვეულებას მოაწყობს. მომღერლის მენეჯერმა მაია დათუნაშვილმა საღამოს დეტალებზე საუბრისაგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ მარიკა თაყვანისმცემლებს დიდ სიურპრიზს ჰპირდება.

ამჟამად თხელიძე ახალ კომპოზიციაზე მუშაობს, რომელიც მოცარტის თემებზეა აგებული. მომღერალს, ასევე, დაგეგმილი აქვს დუეტის ჩაწერა სოსო თოლორაიასთან ერთად. კლიპს ორივე სიმღერისთვის ბასა ჯანიკაშვილი გადაიღებს. **(ინტერ-პრესი)**

## პრემიერა „თავისუფალ თეატრში"

რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი ახალ სპექტაკლზე მუშაობს. სპექტაკლის პრემიერა ”თავისუფალ თეატრში", სავარაუდოდ, მარტში გაიმართება. “ტელეისტერია" სატირულ-იუმორისტული ჟანრის სპექტაკლია, რომელიც თანამედროვე ქართული საზოგადოების ტელევიზიით ზომბირების შესახებ მოგვითხრობს. სპექტაკლში “თავისუფალი თეატრის" წამყვანი მსახიობები: ნინო ბურდული, მარინა კახიანი, ნიკო გომელაური, სლავა ნათენაძე და რამაზ იოსელიანი მონაწილეობენ. **(ინტერ-პრესი)**

### კალენდარი

## 20 თებერვალი



აბერდინის წვიმიანი და ნისლიანი დასახლება ვაშინგტონის შტატში, სიეტლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. დასახლებული პუნქტი ტრასისგან საკმაოდ შორსაა, ამიტომაც ამ ადგილს იშვიათად თუ სტუმრობს ვინმე და იქ განსაკუთრებულიც არაფერი ხდება. მაცხოვრებლები მშვილდოსნობით ერთობიან, სპორტისგან თავისუფალ დროს კი – სმით. ასეთ გარემოში, დიასახლის ვენდისა და მექანიკოს დონალდის ოჯახში, 1967 წელს, მომავალში ლეგენდარული “ნირვანას” ლიდერი, კურტ კობეინი დაიბადა. კურტის დედის წინაპრები გერმანიიდან იყვნენ, ხოლო მამის – ირლანდიიდან (გვარი კობეინი ირლანდიური სახელიდან, ქობურნიდან არის ნაწარმოები).

“დაუჯერებლად ბედნიერი ბავშვი ვიყავი. სულ ვმღეროდი და ვყვიროდი. არ შემეძლო გაჩერება. უბრალოდ, ბედნიერი ვიყავი. დედა ყოველთვის თავაზიანი იყო ჩემს მიმართ; მკოცნიდა სახლიდან გასვლისას. მოგვიანებით, როდესაც შევნიშნე, რომ ყველა ოჯახში ასე არ იქცეოდნენ, ძალიან გამიკვირდა”, - იხსენებდა ერთადერთ ბედნიერ ხანას უკვე როკ-ვარსკვლავი კურტ კობეინი.

მუსიკისადმი ინტერესი კურტს ორი წლის ასაკში გამოუაშკარავდა. რაც არც თუ გასაკვირი იყო, თუ გავითვალისწინებთ დედის ახლო ნათესავების მუსიკისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. თითქმის ყველა მათგანი დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით და უკრავდა ადგილობრივ როკ-ჯგუფებში. აქედან გამომდინარე, კურტს ხშირად უწევდა ამ ჯგუფების რეპეტიციებზე დასწრება. როდესაც მას შვიდი წელი შეუსრულდა, დეიდა მერიმ დისშვილს “ბითლზისა” და “მანქიზის” ფირფიტები უყიდა. ამ ჩანაწერების წყალობით, კობეინს ბავშვობიდანვე გაუფართოვდა წარმოდგენა როკ-მუსიკის შესახებ.

კურტის ბედნიერი ბავშვობა 1975 წელს დასრულდა, როდესაც მშობლები გაიყარნენ. რვა წლის ბავშვი ამ პრობლემას ღრმად განიცდიდა. როგორც მოგვიანებით აღნიშნავდა, ათ წლამდე იგი ვერ განასხვავებდა საკუთარ თავს სხვა ბავშვებისგან. თუმცა, ნელ-ნელა ხედავდა, რომ ხატვითა და მუსიკით გატაცების გამო, იგი გარშემომყოფი თანატოლებისგან გამოირჩეოდა. იმაში დარწმუნებული, რომ ვერასდროს ნახავდა თანამოაზრეს, მეგობრების ძებნაზე ოცნებაც შეწყვიტა.

14 წლის კურტს ბიძია ჩაკმა გამაძლიერებელთან ერთად ელექტროგიტარა უყიდა. კურტმაც მაშინვე მიატოვა დასარტყამ ინსტრუმენტებზე მეცადინეობა და მთლიანად გიტარაზე გადაერთო. ათიოდე დღეში კურტმა ახალ ინსტრუმენტზე AC/DC-ის რეპერტუარიდან რამდენიმე ნომერი ააწყო. როგორც მოგვიანებით ბიძია ჩაკის მეგობარი იხსენებდა, ბავშვობაში კურტს ძალიან უნდოდა ესწავლა Stairway to Heaven-ის დაკვრა, რასაც კურტი რატომღაც უარყოფდა ხოლმე.

დაახლოებით ამავე პერიოდში კურტმა ერთ-ერთი ჟურნალიდან შეიტყო Sex Pistols-ის არსებობა და აეკვიატა პანკ-როკის იდეა. თუმცა, თავად არ შეეძლო მოესმინა ჯგუფისთვის, რამდენადაც აბერდინში მსგავსი ფირფიტები უბრალოდ არ იშოვებოდა. მართალია არ იცოდა, როგორ ჟღერდა ეს მუსიკა, მაგრამ საკუთარ ოთახში ჩაკეტილი კობეინი რასაც უკრავდა, დარწმუნებული იყო, რომ პანკ-როკს ჰგავდა. “სამი აკორდი და ბევრი ხმაური”, - სწორედ ასეთად წარმოედგინა ეს მუსიკა. რაც, არც ისე შორს აღმოჩნდა ჭეშმარიტებისგან. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც კობეინმა პირველად მოუსმინა პანკ-ჯგუფ “ქლეშის” ჩანაწერს, თვითონაც დარწმუნდა, რომ ამ მუსიკაზე სწორი წარმოდგენა ჰქონდა.

უკვე შორს აღარ იყო ის დრო, როდესაც კურტს შეეძლო საკუთარი როკ-ჯგუფი ჩამოეყალიბებინა. იდეა სულ უფრო რეალური გახდა კობეინისა და კრის ნოვოსელიკის შეხვედრის შემდეგ. ამ შეხვედრიდან ჩაეყარა საფუძველი 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ჯგუფს “ნირვანას”.

კარიერაში წარმატებებს საკმაოდ მალე მიაღწია. პირადი ცხოვრებაც თითქოს მხოლოდ “ნირვანას” პოპულარობის პერიოდში ააწყო, მას შემდეგ რაც მომავალ მეუღლეს, კორტნი ლავს შეხვდა. თავად კობეინი ამ შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. კორტნი ლავმა “ნირვანა” პირველად 1989 წელს ნახა პორტლენდში კლუბ “სატირიკონის” სცენაზე. საკონცერტო გამოსვლის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ კობეინი აპარატურის ალაგებას შესდგომოდა, კორტნის მაგიდასთან დაჯდა და მისივე ლუდს გაუსინჯა გემო.

“უკვე რამდენიმე წელიწადია აღარაფერს განვიცდი მუსიკის მოსმენისა და შექმნის დროს. ძნელია იმის სიტყვებით გადმოცემა, როგორ მრცხვენია ამის გამო”, - ასე იწყებოდა როკ-ვარსკვლავის დეპრესია, რის გამოც ბოლო დროს ნარკოტიკებს მიეძალა; მუსიკოსს მეუღლესთან გამუდმებული უსიამოვნება ჰქონდა სახლში შენახული იარაღის გამო. კურტი ირწმუნებოდა, რომ იარაღი მას თავდაცვისთვის სჭირდებოდა. თუმცა 1994 წლის 8 აპრილს, როგორც ცნობილი გახდა, კობეინმა ეს იარაღი სულ სხვა მიზნით გამოიყენა.

ამერიკელი მუსიკოსი **კურტ კობეინი** 1967 წლის 20 თებერვალს დაიბადა.

# რა საჭიროა ეს ორი სათაური?

### ˝ძირს სიმინდის რესპუბლიკა!˝ ანუ ˝ძველ ლტოლვილთა დუქანი˝

თამარ სუხიშვილი

შარშან აკა მორჩილაძის “შენი თავგადასავალი” წიგნის IV ფესტივალის ლაურეატი გახდა. შარშანვე, 6 დეკემბერს, გიო ახვლედიანმა ახალი რომანი – სახელად “სხვა” - შესთავაზა თავის მკითხველს, რომელიც ზაფხულში სულ რაღაც ორ კვირაში დაწერა და რომლის პრეზენტაციაც კლუბ “სარდაფში” გაიმართა.

წელს “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ” აკა მორჩილაძის, იგივე გიო ახვლედიანის, კიდევ ერთი რომანი დასტამბა - “ძირს სიმინდის რესპუბლიკა!”. წიგნის გარეკანის დიზაინი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც “შენ თავგადასავალს” და “შობა ღამის ალქაჯებს” აქვს, ოღონდ ყდა მოხარშული სიმინდის ფერებშია გადაწყვეტილი (ეტყობა, ასეთმა გაფორმებამ გაამართლაო, - ხუმრობს ავტორი). ეს რომანი არც წელს დაწერილა და არც შარშან: “შარშანწინ ზამთარში, შობის დღეებში დავიწყე წერა, უცხოეთში რომ ვიყავი მაშინ; რომ ჩამოვედი, რომანიც ჩამოვიტანე, ჯერ ჟურნალში იბეჭდებოდა, მერე - გაზეთში, მერე მითხრეს, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გამოვცეთო და გამოვეცით,” – გვეუბნება მწერალი.



ბესო გულაშვილის ფოტო

ავტოგრაფების გაცემით დაღლილი მწერალი

ჟურნალ “ქომაგისა” და “24 საათის” “დედაქალაქის” დამატების წყალობით, რომლებშიც “ძირს სიმინდის რესპუბლიკა!” გაგრძელებებით იბეჭდებოდა, ნაწარმოები ლიტერატურის მოყვარულთა გარკვეულმა ნაწილმა უკვე გაიცნო. გუშინ კი ქართველმა მკითხველმა წიგნად აკინძული რომანი მიიღო საჩუქრად. პრეზენტაცია წიგნის მაღაზია “პარნასში” გაიმართა.

“ძირს სიმინდის რესპუბლიკა!”-ზე აკა მორჩილაძე ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა, მწერლისეული მოკლე ანოტაცია ასეთია: “რომანი ქართველ ემიგრანტებზე მოგვითხრობს, ლონდონში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახზე, რომლებიც რაღაც ამბავში გაებმებიან, გამოძრომა ძალიან ძნელია, მაგრამ ბოლოს მაინც გამოძვრებიან...” დანარჩენს თავად წიგნში წაიკითხავთ.

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ აკა მორჩილაძის ახალი რომანის სათაურმა ხანდაზმულ მკითხველებს სოცრეალიზმის საეტაპო ნაწარმოები “კოლხეთის ცისკარი” გაახსენა. მისი თავდაპირველი სათაური ხომ “ძირს სიმინდის რესპუბლიკა” იყო. ამ სათაურმა, კონიუნქტურის შესაბამისად, მრავალჯერადი ცვლილებები განიცადა: “იმერეთი”, “იმერეთის ცისკარი”... ერთხელ, ხრუშჩოვ-ბულგანინის მმართველობის დროს, “ამერიკის ხმის” ქართულ რადიოს ასე გადმოუცია: “ახლა, როცა სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ სიმინდის მარშალი ბულგანინი და სიმინდის სპეციალისტი ხრუშჩოვი, იქნებ ავტორმა კიდევ ერთხელ გადახედოს სათაურს” და “გაუმარჯოს სიმინდის რესპუბლიკას” დაარქვასო...

“შენ ეს თამაშობად მიგაჩნდა, ჩემო მექი, და კი დაინგრა ქვეყანაო,” – ამბობს “კოლხეთის ცისკრის” ერთ-ერთი პერსონაჟი; “ძირს სიმინდის რესპუბლიკაო,” – ერთხელ ნათქვამს იმეორებს ახალი რომანის ერთ-ერთი გმირი...

რომანისთვის სათაურის შეცვლას აკა მორჩილაძე არ აპირებს, თუმცა ინგლისურად “ძირს სიმინდის რესპუბლიკა!”-ს სხვაგვარი სათაური აქვს: Old Refugee Shop – “ძველ ლტოლვილთა დუქანი”, ეს დიკენსის ანალოგიით.

# კავკასიური ფოტოსამყარო

ვერა ნეფარიძე

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას გარკვეული სისტემების დეცენტრალიზება მოჰყვა. მათ შორისაა მსხვილი ფოტო თუ საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის ინფორმაციით უზრუნველყოფდნენ კავშირის ათობით მილიონიან მოსახლეობას.

მართალია, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია დღეს უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ათეულობით წლების წინათ. გაუმჯობესებული ტექნიკური პირობების მიუხედავად, ხშირად მათი მოპოვება არც ისე იოლია, თუნდაც ისეთი ახლო მეზობელი რეგიონებიდან, როგორიცაა ამიერკავკასიის სხვადასხვა ქვეყნები თუ ავტონომიური ოლქები.

მსგავსი პრობლემების წინაშე, ყველაზე ხშირად ბეჭდური მედია აღმოჩნდება ხოლმე. თუმცა, ამიერკავკასიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მანამდე, ვიდრე პირველი ამიერკავკასიური ფოტო-სააგენტო “პატკერი” დაარსდებოდა. მათი წყალობით ნებისმიერ ამიერკავკასიურ გაზეთს ან ჟურნალს აღარ დასჭირდება მეზობელი ქვეყნის შესახებ არსებული პუბლიკაციის საილუსტრაციოდ ფოტორეპორტიორის მივლინება შესაბამის ცენტრებში. მითუმეტეს, რომ “პატკერი” კავკასიელი მომხმარებლისთვის ჯერჯერობით უფასოდ ავრცელებს ფოტომასალებს. ეს კი “ევრაზიის ფონდში” მიღებული ექვსთვიანი გრანტის წყალობით გახდა შესაძლებელი.

სააგენტოს შექმნის იდეა კავკასიელ ფოტოგრაფებს დაებადათ. “საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ ბეჭდვით სააგენტოში ვმუშაობდი. ძალიან სერიოზული სააგენტო იყო, რომელიც ცხოვრების საბჭოთა წესს უწევდა პროპაგანდას. მე საკუთარი კორესპონდენტი ვიყავი საქართველოდან. მყავდა მეგობარი, რომელიც ამ სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი იყო სომხეთში, რუბენ მანგასარიანი. სააგენტოს დაშლის შემდეგაც





რუბენ მანგასარიანის ფოტოები ციკლიდან ˝სადახლო˝

ვურთიერთობდით, ჩავდიოდი სომხეთში, სწორედ იგი დამეხმარა, რომ ყარაბაღში მოვხვედრილიყავი (ფოტომოყვარულები კარგად იცნობენ გიორგი ცაგარელის ფოტოსერიას, რომელიც ყარაბაღშია გადაღებული – ვ.ნ). დაახლოებით ერთი წლის წინათ დაებადა იდეა, შეგვექმნა სამხრეთ კავკასიის ფოტოსააგენტო”, - მეუბნება სააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში გიორგი ცაგარელი. მას შემდეგ, რაც მოიძებნა აზერბაიჯანელი კომპანიონიც, განაცხადი შევიდა “ევრაზიის ფონდში”, სადაც აშკარად დაინახეს პროექტის მნიშვნელობა და დააფინანსეს კიდეც.

რადგანაც ახალი ჩანაფიქრი რუბენ მანგასარიანის ყოფილი სააგენტოს, “პატკერის” ბაზაზე განხორციელდა, სააგენტოს სახელწოდების შეცვლა არც უფიქრიათ. თანაც, ამ გზით ძველ ხელმომწერებსაც შეინარჩუნებდნენ, მითუმეტეს, რომ სააგენტოს სომხური სახელწოდება არ გაუპროტესტებიათ აზერბაიჯანელ კომპანიონებს.

“პატკერი” ძირითადად ინტერნეტით ავრცელებს მასალებს (საამისოდ ფუნქციონირებს ვებ-საიტი www.patkerphoto.com). თუმცა, მხოლოდ ამ საშუალებით არ შემოიფრაგლება. მასალების მიღება სამხრეთ კავკასიის მომხმარებლებს ჯერჯერობით უფასოდ შეუძლიათ. გრანტის ვადის გასვლის შემდეგ კი, სააგენტოს შენარჩუნების აუცილებლობის გამო, ორგანიზატორები ასეთ შეღავათებზე ველარ წავლენ.

“პატკერს” უცხოური ფოტოსააგენტოებისგან თავისი განსაკუთრებული მიმართულება განასხვავებს. მაშინ, როდესაც იგივე “როიტერი”, ძირითად, აქცენტს ოფიციალურ მოვლენებზე აკეთებს, “პატკერს” ურჩევნია უპირატესობა მიანიჭოს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას, სოციალურ თუ დოკუმენტურ ფოტოგრაფიას, ანუ იმას, რასაც, ჩვეულებრივ, გაზეთები სააგენტოებიდან იშვიათად მოიპოვებენ. რაც შეეხება ხარისხს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. სამივე ქვეყნიდან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) “პატკერზე” მხოლოდ გამოცდილი რეპორტიორები მუშაობენ. მაგრამ, რადგანაც ყოველთვის სჯობს, სხვისი ნათქვამის საკუთარი თვალით შემოწმება, სჯობს სააგენტოს ვებ-საიტი დაათვალიეროთ. აქ შესაძლებელია როგორც ცალკეული ფოტოების, ისე ფოტორეპორტაჟების მოპოვება.

“პატკერი” ადგილობრივი ფოტორეპორტიორებისთვის საინტერესო სემინარებსაც აწყობს. პირველი სემინარი ერევანში გაიმართა. მეორე კი, ამჟამად თბილისში იგეგმება. ასე რომ, შემოქმედებითი კონტაქტებიც უცხოელ პარტნიორებთან თუ მომხმარებლებთან ახლა ღრმავდება.

# ფრანგული ცეკვა ქართველების შესრულებით

### ფრანგი ქორეოგრაფი თბილისის საოპერო თეატრის საბალეტო დასს მოამზადებს

მადი სერებრიაკოვა

ქართულ-ფრანგული ქორეოგრაფიული კავშირების წყალობით, თბილისში უკვე რამდენიმე ძალზედ საინტერესო პროექტი განხორციელდა და მათ შორის, ძალზედ საინტერესო ფრანგული დასების გასტროლი საქართველოში. ხვალიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართველი მოცეკვავეებისთვის მასტერ-კლასებს ფრანგი ქორეოგრაფი, ჟენევის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ლიონის მუსიკისა და ცეკვის ეროვნული კონსერვატორიის ქორეოგრაფიული ფაკულტეტის დეკანი ფილიპ კოენი გამართავს.

ფილიპ კოენი გასულ წელს, ნოემბერში იმყოფებოდა საქართველოში. მაშინ იგი მხოლოდ ბალეტის ქართველ მოცეკვავეებსა და ქართულ საბალეტო დადგმებს აკვირდებოდა. ადგილობრივი ბაზის შესწავლის შემდეგ, კოენი თბილისში უკვე მოცეკვავეებთან მუშაობის კონკრეტული პროგრამით ჩამოვიდა. ორი კვირის განმავლობაში, ქართველი მოცეკვავეები მან საკუთარ სტილს აზიარა და 2004 წელს დაგეგმილი სპექტაკლისთვის მოამზადა:

**“საქართველოში ცუდად ვიცნობთ კოენის საბალეტო სკოლას** – განაცხადა ჩვენთან საუბარში საოპერო თეატრის ქორეოგრაფმა მარინა ალექსიძემ - **ამ მასტერ-კლასებზე მოცეკვავეებს იგი თავის სტილს გააცნობს. ჯერჯერობით არ არის ცნობილი რა კონკრეტულ სპექტაკლზე ან სცენებზე იმუშავებს. კოენს ყავს ახალგაზრდული დასი ლიონში. შესაძლოა, მომავალში ქართველ მოცეკვავეებთან ერთად ერთობლივი დადგმა განხორციელდეს. ამჯერად, მისი ვიზიტი საგანმანათლებლო ხასიათისაა და ძალიან სასრგებლო იქნება ჩვენი მოცეკვავეებისთვის.”**



სცენა კოენის ერთ-ერთი დადგმიდან

ფილიპ კოენი ბალეტის სამყაროში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა. ლიონის კონსერვატორიაში (როგორც აღინიშნა, იგი ლიონის კონსერვატორიის ქორეოგრაფიული ფაკულტეტის დეკანია) მას ახალგაზრდული დასი აქვს ჩამოყალიბებული. ამეცადინებს ასევე ვილუბრანის სახალხო ეროვნული თეატრისა და ლიონის ოპერის თეატრის დასსაც.

გარდა ძალზე ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა, ფილიპ კოენი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს დადგმებს. საფრანგეთში იგი პარიზის საოპერო თეატრში მოღვაწეობდა, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა “მოგზაურების” დადგმა. იყო საფრანგეთის ახალგაზრდული ბალეტის ბალეტმეისტერი და ანჟერის თანამედროვე ცეკვის ეროვნული ცენტრის სასწავლო კოორდინატორი. ხოლო მნიშვნელოვან უცხოურ წარმოდგენებს შორის შეიძლება დავასახელოთ “ბაროკალური სუიტა” (კორელი-ბახი) სეულში, “51-ე კანტატა” (ბახი), “მონდრიანის სიმფონია” (ბიზე), “ზაფხულის ღამის სიზმარი” (მენდელსონი) მინსკის დიდ თეატრში, “მაკნატუნა” (ჩაიკოვსკი), “რომეო და ჯულიეტა” (პროკოფიევი), “მუსონის ცეკვები” (ადამსი-მენდელსონი) ჰანოის ოპერისა და ბალეტის თეატრში, “წელიწადის დროების ცეკვა” (ბიზე) ლაონინგის საბალეტო თეატრში. ამჟამად კი ჟენევაში განაგრძობს მუშაობს.

ქორეოგრაფიული განათლება ფილიპ კოენმა როზელა ჰაითაუერის ცეკვის საერთაშორისო ცენტრში მიიღო. მეცადინეობდა მერს კენინჰემის სტუდიაში და ამერიკის საბალეტო სკოლაშიც. მისი მასწავლებლები იყვნენ ისეთი ცნობილი ქორეოგრაფები, როგორიც თავად როზელა ჰაითაუერი, იგორ იუსკევიჩი, იანია გრანცევა, რაიმონ ფრანჩეტი, სიუზან ბიურ ი, ჯერომ ანდრეუსი და მიურეი ლუია.

როგორც მოცეკვავე, ფილიპ კოენი ნანსის და ჟოზეფ რიუსილოს საბალეტო თეატრების და დომენიკ ბაგუეს დასის სოლისტი იყო. მოგვიანებით იგი ამ უკანასკნელის ასისტენტიც გახდა. როგორც ბაგუეს სკოლის გამგრძელებელი, კოენი 1993 წლიდან მისი შემოქმედების დაცვისა და განვითარების ასოციაციის “ბაგუეს დღიურების” პრეზიდენტიც გახდა.

საბალეტო ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფილიპ კოენი შარშან “ხელოვნებისა და ლიტერატურის რაინდის” ორდენითაც დააჯილდოეს.

თბილისში ფილიპ კოენს ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი უმასპინძლებს. გარდა 21 თებერვლიდან – 6 მარტამდე დაგეგმილი მასტერ-კლასებისა, კოენს თბილისში უკვე მომდევნო ვიზიტიც დაგეგმილი აქვს. შემოდგომაზე იგი ისევ დაბრუნდება და ახალ სპექტაკლებს ქართველ მოცეკვავეებთან ერთად მოამზადებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# დელ ბოსკე ობსტრუქციას გადაურჩა

| ჯგუფი C | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 - 1 | ბორუსია | | | | | |
| მილანი | 1 - 0 | ლოკომოტივი | | | | | |
| | | | | | | | |
| 1 | მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| 2 | რეალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 3 | ბორუსია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 4 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

| ჯგუფი D | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 - 1 | იუვენტუსი | | | | | |
| ბაზელი | 1 - 0 | დეპორტივო | | | | | |
| | | | | | | | |
| 1 | მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| 2 | იუვენტუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| 3 | ბაზელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| 4 | დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი მატჩები მოულოდნელობების გარეშე დასრულდა. გამონაკლისად შეიძლება შვეიცარიულ ბაზელში ლა კორუნიის "დეპორტივოს" მარცხი მივიჩნიოთ. თუმცა, ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება. "დეპორტივოს" წამყვანი ნახევარმცველი მაურო სილვა აკლდა, თანაც "ბაზელი" საშინაო მატჩებში შესაშური ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ დამარცხების შემდეგ ესპანელებს მეოთხედფინალში გასვლა ძალიან გაუჭირდებათ. ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი 30-ე წუთზე ჰაკან იაკინიმ გაიტანა.

ფეხბურთის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება კი მადრიდისკენ იყო მიპყრობილი, სადაც "რეალი" გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობდა. "რეალს" შეცდომის უფლება აღარ აქვს. ნებისმიერი დაკარგული ქულა "სამეფო კლუბისთვის" შეიძლება კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს, ამიტომ ვისენტე დელ ბოსკემ ამაყ გერმანელებს საბრძოლო შემადგენლობა შეაგება. თამაშის დებიუტი კი ისე აეწყო, რომ დელ ბოსკე - "დიდი ადამიანი", როგორც მას ლორენცო სანსი უწოდებს, გულშემატკივართა მხრიდან ობსტრუქციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

30-ე წუთზე იან კოლერის გოლმა მადრიდელი გულშემატკივარი ოდნავ დააბნია. მართლაც ძნელია იმის შეგნება, რომ კასტილიის სიამაყე, ვარსკვლავებით დახუნძლული "სამეფო კლუბი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ასე ადრეულ ეტაპზე, უბრძოლველად გამოეთიშოს. "რეალს" მხსნელად ჯერ რაული, შემდეგ კი რონალდო მოევლინა, რომელმაც 56-ე წუთზე სტუმართა კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ამით "რეალი" სირცხვილს, დელ ბოსკე კი ობსტრუქციას გადაარჩინა.

"ეს იყო ნერვების თამაში, რომელიც, საბედნიეროდ, ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა, - მატჩის შემდეგ განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ, - მოხარული ვარ, რომ გუნდმა ამჯერად გამოიყენა ის უდიდესი უპირატესობა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში ჰქონდა".

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კახა კალაძისა და ანდრეი შევჩენკოს გარეშე დარჩენილმა "მილანმა" - 1:0 მოუგო მოსკოვის "ლოკომოტივს" და პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური.

D ჯგუფში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და ამ დაძაბულობის მთავარი შემოქმედი შვეიცარიული "ბაზელია", რომელიც ტურინის "იუვენტუსს" ერთი ქულით ჩამორჩება. თუმცა, ტურინელთა მწვრთნელ მარჩელო ლიპის თუ დავუჯერებთ, "ბაზელმა" მის გუნდს შესანიშნავი სიურპრიზი მიუძღვნა და ამით "იუვენტუსს", შეიძლება ითქვას, საქმე გაუადვილა. თუმცა, "იუვენტუსის" მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ლიპის საზეიმოდ სულაც არ აქვს საქმე.

სურდოდარეულმა იტალიელებმა "ოლდ ტრაფორდზე" ექვსი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშეს და როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდნენ. შესანიშნავად გამოიყურებოდა წარბგახეთქილი დევიდ ბექჰემი, რომლის თამაშიც ინგლისურმა მედიამ რატომღაც ეჭვქვეშ დააყენა. სწორედ ბექჰემის ორი გადაცემით გაიტანეს გოლები უესლი ბრაუნმა და რუუდ ვან ნისტელროიმ. ფერგიუსონის გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და პრაქტიკულად გაინაღდა მომდევნო ეტაპის საგზური. მეორე ვაკანსიისთვის კი D ჯგუფში - "იუვენტუსი", "ბაზელი" და "დეპორტივო" იბრძოლებენ.


რონალდოს ამ გოლმა დელ ბოსკე გადაარჩინა
REUTERS

## როი კინი, შესაძლოა, მაინც დაუბრუნდეს ნაკრებს

ითამაშებს თუ არა როი კინი ირლანდიის ნაკრებში? – როგორც ჩანს, ეს კითხვა ჯერ კიდევ დგას დღის წესრიგში. ერთ-ერთი ირლანდიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, კინმა განაცხადა, რომ ნაკრებში დაბრუნებას არ გამორიცხავს. არადა, რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კინმა სამუდამოდ დაასრულა სანაკრებო კარიერა.

ახლა კი, გაზეთ "სანდი ტაიმსთან" საუბარში, კინი აცხადებს, რომ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელთან, ბრაიან კერთან კარგი, ნაყოფიერი საუბარი ჰქონდა. "ჩვენ საინტერესოდ ვისაუბრეთ. იცით, რა მითხრა ბოლოს კერმა? – ადამიანმა არასოდეს იცის, რა მოხდება მომავალშიო. მთლიანად ვეთანხმები მას. არასოდეს უნდა თქვა "არა". ვიცი, რომ ზოგიერთებმა ტოტალიზატორზეც კი დადეს ფსონები იმაზე, რომ მე აღარასოდეს ვითამაშებ ნაკრებში. ბუკმეკერებს ვურჩევ, კლიენტებს თანხას ჯერ ნუ გადაუხდიან, რადგან ირლანდიის ნაკრებში ჩემი თამაშის საკითხი ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის", - ამბობს კინი.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, 29 მარტს თბილისში როი კინიც გვესტუმროს.

## დენის ბერგკამპი "აიაქსში" გადასვლის სურვილს უარყოფს

ლონდონის "არსენალის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა, დენის ბერგკამპმა უარყო ჭორები იმის შესახებ, თითქოს, მას ამსტერდამის "აიაქსში" სურს კარიერის დასრულება. ბერგკამპმა სწორედ ამ კლუბში აიდგა ფეხი და გახდა ცნობილი. ცხადია, ჰოლანდიელებს ძალიან უნდათ, რომ ის "აიაქსს" დაუბრუნდეს. ეს ჭორიც სწორედ ჰოლანდიაში გავრცელდა, თუმცა, როგორც ვთქვით, ეს მხოლოდ ჭორი იყო. "თავს მშვენივრად ვგრძნობ. ამიტომ მომავალ სეზონშიც "არსენალში" ვითამაშებ. ამ გუნდში ძალიან ბედნიერი ვარ. ასე რომ, არა მგონია, ის მივატოვო", - განაცხადა ბერგკამპმა გაზეთ "ლონდონ ივნინგ სტანდარდთან" საუბარში.

ბერგკამპი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ოცნებობს. "ცხადია, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, ამიტომ გამორიცხული არაფერია", - ამბობს ბერგკამპი. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალი მანჩესტერში გაიმართება. ეს იდეალური პირობაა ბერგკამპისთვის. ცნობილია, რომ მას ფრენის ეშინია, ლიგის ფინალში გასვლის შემთხვევაში კი ის თავისუფლად შეძლებს, ლონდონიდან მანჩესტერში მანქანით ჩავიდეს.

## ორტეგას არ სურს არაბეთში თამაში

რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს, სტამბული "ფენერბახჩეს" არგენტინელმა ნახევარმცველმა, არიელ ორტეგამ საუდის არაბეთის კლუბ "ალ იტიჰადთან" მიაღწია შეთანხმებას და ამ კლუბში გადასვლას აპირებს. გუშინ არიელ ორტეგას აგენტმა, ანტონიო კალიენდომ, ეს ცნობა უარყო: "მე, მართლაც, დამიკავშირდნენ ტელეფონით და ორტეგას არაბულ კლუბში გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ მე ვუთხარი მათ, რომ ამ ტრანსფერის განხორციელება გამორიცხულია", - განუცხადა კალიენდომ ერთ-ერთ არგენტინულ რადიოსადგურს.

არიელ ორტეგას გადაბირებით არგენტინული "რივერ პლეიტიც" არის დაინტერესებული. კლუბის პრეზიდენტი ხულიო მაჩი აცხადებს, რომ მას ძალიან უნდა, ორტეგა "რივერ პლეიტში" დააბრუნოს. "ორტეგას "რივერში" დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს, თუმცა, ჩვენ მაინც გვაქვს ამ ტრანსფერის განხორციელების იმედი. რაც შეეხება ორტეგას არაბეთში გადასვლას, ამის შესახებ არაფერი ვიცი", - ამბობს მაჩი.

## ზიკომ იაპონიის ნაკრებში თავისი ძმაც წაიყვანა

იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ზიკომ, თავისთან უხმო უფროს ძმას, ედუს. ის ამიერიდან იაპონიის ნაკრების ტექნიკური ზედამხედველის პოსტს დაიკავებს.

ედუ 56 წლის არის (ზიკოზე 7 წლით უფროსია). ზიკო ამტკიცებს, რომ ედუს დიდი გამოცდილება აქვს და სწორედ ამიტომ წაიყვანა იაპონიის ნაკრებში. "ამ პოსტზე ედუ იმიტომ არ დამინიშნავს, რომ ის ჩემი ძმაა. მას დიდი გამოცდილება და ლიდერის თვისებები აქვს", - ამბობს ზიკო.

აქამდე ედუ ერაყის ნაკრებისა და იაპონიის კლუბ "კაშიმა ანტლერსის" მწვრთნელი იყო. თავის ახალ თანამდებობაზე კი დიდი წარმატებების მიღწევის იმედი აქვს. "ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება გამოადგება იაპონიის ნაკრებს. აქაურობას კარგად ვიცნობ, იაპონიაში ხომ უკვე 9 წელია ვმუშაობ", - განაცხადა ედუმ.

## რაიკარდი გერმანიაში?

ბუნდესლიგაში მთავარი მწვრთნელის შერჩევა პრობლემა გახდა. "კაიზერსლაუტერნმა" ანდრეას ბრემე გაუშვა და მაინც კრიზისში დარჩა, "ბაიერმა" კლაუს ტოპმიოლერი დაითხოვა და ქრონიკულ წარუმატებლობას მაინც ვერ დააღწია თავი. ახლა კი შტეფან ეფენბერგის "ვოლფსბურგი" ეძებს ახალ მწვრთნელს.

"ვოლფსბურგს", ჯერჯერობით, ვოლფგანგ ვოლფი წვრთნის, მაგრამ ის მხოლოდ ზაფხულამდე რჩება გუნდში და კლუბის ხელმძღვანელობა უკვე მის შემცვლელს ეძებს. ვოლფსბურგში მიაჩნიათ, რომ ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდი საუკეთესო კანდიდატურაა გუნდის თავკაცის თანამდებობაზე. რაიკარდმა მწვრთნელის კარიერა საკმაოდ ახალგაზრდამ დაიწყო. ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ ის ჰოლანდიის ნაკრების თავკაციც კი იყო, თუმცა, მწვრთნელის ამპლუაში დიდ წარმატებებს ნამდვილად ვერ მიაღწია.

რაიკარდის გარდა, ვოლფსბურგში კიდევ რამდენიმე სპეციალისტის კანდიდატურას განიხილავენ. გერმანული სპორტული პრესის ცნობით, "ვოლფსბურგის" მომავალი მწვრთნელის პოსტის შესაძლო მფლობელები არიან: კლაუს ტოპმიოლერი, ფრანკ პაგელსდორფი, იურგენ რიობერი, ფალკო გიოტიცი და იურგენ კოლერი. ვნახოთ, რომელ უმუშევარს გაუღიმებს ბედი...

## "პარმას" რუსული ინტერესები

ზაფხულის სატრანსფერო სეზონისთვის სტეფანო ტანცის "პარმამ" უკვე მოინიშნა ის ფეხბურთელი, ვისაც სიამოვნებით შეიძენდნენ. დმიტრი სიჩოვის შემდეგ მარატ იზმაილოვი მეორე ახალგაზრდა რუსი ფეხბურთელია, ვისი გადაბირებითაც დაინტერესდნენ ევროპული კლუბები.

21 წლის იზმაილოვი იმდენად მოსწონს "პარმას" ხელმძღვანელობას, რომ იტალიელები ახლავე აპირებენ მოსკოვის "ლოკომოტივთან" მოლაპარაკების დაწყებას. ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ იზმაილოვმა, როგორც იქნა, მოიშუშა ტრავმა და გუნდს დაუბრუნდა. ზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და თუ ახალგაზრდა ფეხბურთელმა კიდევ უფრო გააუმჯობესა თამაშის ხარისხი, იქნებ "პარმას" მისი შეძენა მილიონებიც კი დაუჯდეს.

# რობერტო კარლოსი: "ვნახოთ, რას იზამს ჩვენი პრეზიდენტი"

*1998 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების შემდეგ მადრიდის "რეალი" და დორტმუნდის "ბორუსია" პირველად გუშინ შეხვდნენ ერთმანეთს. თუ როგორ წარიმართა ეს მატჩი, ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვაში წაიკითხავთ. რობერტო კარლოსი ერთ-ერთი იმათგანია "რეალის" შემადგენლობაში, რომელმაც 1998 წელსაც ითამაშა "ბორუსიას" წინააღმდეგ. გუშინდელი შეხვედრის წინ გერმანელმა ჟურნალისტმა, ტორსტენ მეშმა, ინტერვიუ აიღო კარლოსისგან და, სხვა საკითხებთან ერთად, გერმანულ ფეხბურთსა და დორტმუნდის "ბორუსიაზეც" ესაუბრა. "იმ მატჩიდან მხოლოდ ისღა მახსოვს, რომ ჩვენ მოვიგეთ, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგაშიც გავიმარჯვეთ", - იხსენებს კარლოსი 1998 წელს "ბორუსიას" წინააღმდეგ გამართულ დუელს.*

**- თქვენ "დორტმუნდის", "ლევერკუზენისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გითამაშიათ. რას ნიშნავს თქვენთვის გერმანული გუნდების წინააღმდეგ თამაში?**

- გერმანელთა წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი მოტივაციაა. მათ წინააღმდეგ თამაში ყოველთვის სასიამოვნოა, რადგან გერმანელები დიდი პასუხისმგებლობით უდგებიან საქმეს და ტაქტიკურად ძალიან მოწესრიგებულები არიან.

**- თქვენ მადრიდის "რეალის" იმ გუნდის წევრი იყავით, რომელმაც 1998 წელს დორტმუნდის "ბორუსიას" 2:0 მოუგო. რა მოგონებები გაკავშირებთ "დორტმუნდთან"?**

- ეს იყო ძალიან კომპაქტური გუნდი, შესაძლოა, დღევანდელზე უკეთესიც. მაგრამ ამ ორი გუნდის ერთმანეთთან შედარება ძნელია.

**- "დორტმუნდის" წინააღმდეგ მატჩში "რეალს" დიდი წნეხის ქვეშ უწევს ყოფნა. მეოთხედფინალში გასაღწევად ფრეც კი არ იქნება საკმარისი, თუ?..**

- ამიერიდან ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. გვინდა, რომ "დორტმუნდით" დავიწყოთ. ჩვენს წინააღმდეგ ყველა გუნდი, განსაკუთრებით, მოტივირებული თამაშობს. მაგრამ "ბორუსიას" შინ ვეთამაშებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გულშემატკივარს ლამაზი ფეხბურთი უნდა შევთავაზოთ. გულშემატკივარიც ბოლომდე დაგვიდგება გვერდში. ვიცით, რომ ჩვენ მეტი შეგვიძლია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში ვაჩვენეთ და საკუთარ ძალებშიც დარწმუნებული ვართ.

**- წარსულში, განსაკუთრებით "ბაიერნთან" მატჩებისას, მწვავე გამონათქვამები ისმოდა. ახლა ყველაფერი შედარებით მშვიდად მიმდინარეობს.**

- მუქარა არაფრის მომტანია. სრულიად ზედმეტია, რომ განწყობის ასამაღლებლად მწვავე ტონი ვიხმაროთ. ასეთი გამონათქვამები მოწინააღმდეგესაც საბრძოლველად განაწყობს. "დორტმუნდთან" მატჩი ისედაც ძალიან დაძაბული იქნება. ამიტომ მხოლოდ "სპორტულად" ვემზადებით.

**- "დორტმუნდის" რიგებში თქვენი რამდენიმე თანამემამულე თამაშობს. ვის შეუძლია, ყველაზე მეტი პრობლემა შეგიქმნათ?**

- ვთვლი, რომ ევერტონი (რონალდოსთან, რონალდინიოსთან და რივალდოსთან ერთად), ერთ-ერთი საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელია. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვნახულობ მის თამაშებს. ამორუზოსა და ევანილსონს ჩვენი ნაკრებიდანაც ვიცნობ. ისინი კარგი ფეხბურთელები და შესანიშნავი პიროვნებები არიან. ძლიერი ფეხბურთელები არიან როსიცკი და კოლერი. საერთოდაც, "დორტმუნდი" ძლიერი გუნდია.

**- როგორ ფიქრობთ, განიცადა თუ არა გერმანულმა ფეხბურთმა პროგრესი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე?**

- გერმანული ფეხბურთი უკეთესი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვან ტურნირებზე მათი კონცენტრირების უნარი.

**- ახლა მადრიდში ძალიან ცივა. თოვს კიდეც, რაც აქ ძალიან იშვიათია. როგორ ეგუებით თქვენ და რონალდო აქაურ კლიმატს?**

- ყველაფერს ეჩვევა კაცი. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. არც რონალდოსთვის არის პრობლემა. ჩვენ, ორივეს, მილანში გვითამაშია. იქ კი ძალიან ცივა.

**- სად დაამთავრებთ თქვენს კარიერას?**

- ბრაზილიაში. არა მგონია, ევროპაში კიდევ გამოვიცვალო გუნდი. მადრიდში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

**- გასულ წლებში "რეალში" ფიგუ, ზიდანი და რონალდო მოვიდნენ. კიდევ არის შესაძლებელი გაძლიერება? კიდევ ვის შეუძლია, "რეალი" გააძლიეროს?**

- კიდევ არიან კარგი ფეხბურთელები. მაგალითად, ტიერი ანრი, ოლივერ კანი, მეჰმეტ შოლი. ვნახოთ, რას იზამს ჩვენი პრეზიდენტი.


რობერტო კარლოსი

# "დინამომ" ბოლო თამაშიც მოიგო

მიხეილ აბაიშვილი

ხორვატიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ ბოლო, მესამე ტესტ-მატჩშიც გაიმარჯვა. ამ მატჩის ჩასატარებლად შუშაკის გუნდი მაკარსკადან გაემგზავრა ქალაქ ჟრნოვიცაში, სადაც მეტოქედ ადგილობრივი "მოსორი" დაუხვდა. "მოსორი" ხორვატიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს, თუმცა, ახლა სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის კარგი შანსი აქვს.

როგორც გუნდის პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა "მოსორს" ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. პირველ ტაიმში "დინამო" ასეთი შემადგენლობით გავიდა მინდორზე: ზოიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ვაშაკიძე, კარლოსი, სახვაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, დარასელია, ახალაია, ალექსიძე.

მეორე ნახევარში კი გუნდის ღირსება მეორე შემადგენლობის ფეხბურთელებმა (გვარამაძის გარდა) დაიცვეს: გვარამაძე, მაზიაშვილი, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, მანწკავა, მანჩხავა, კვირკველია, სამხარაძე, მიქაძე, იაშვილი, ბობოხიძე. ტრადიციისამებრ, შუშაკმა ორივე შემადგენლობა ტაქტიკური განლაგებით 3-4-3 ათამაშა. სავარაუდოა, რომ "დინამოს" დამრიგებელი საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, უწინდელი 3-5-2-ის ნაცვლად, სწორედ ამ ახალი ტაქტიკით დაუპირისპირდება მეტოქეებს.

"თამაში ჩვენი ფეხბურთელების სრული უპირატესობით დაიწყო და მთელი 90 წუთის განმავლობაში დინამოელებს მატჩის მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. პირველი საგოლე მომენტი "მოსორის" კართან მე-10 წუთზე შეიქმნა, როდესაც კარგად ითამაშა ახალაიამ, მეტოქის მეკარეც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ცარიელი კარის დალაშქვრა ვეღარ შეძლო. რამდენიმე წუთში ალექსიძე დრიბლინგით გასცდა რამდენიმე ხორვატ მცველს და საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, მაგრამ გოგობერიშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა. ანგარიში კი, იშვიათი სილამაზის გოლით, დარასელიამ გახსნა: მან 28-30 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი მეტოქის კარის მარჯვენა "ცხრიანში" გაახვია – 1:0. ასე დასრულდა პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ "დინამოს" მეორე შემადგენლობამ "მოსორს" გაცილებით მეტი თავსატეხი გაუჩინა. წინა დღეს მიქაძემ ოთხი გოლის გატანაში შეასრულა ასისტენტის როლი. ეს საქმე მან გუშინაც წარმატებით იტვირთა - მისი დახმარებით, 65-ე წუთზე, სამხარაძემ ორამდე გაზარდა ანგარიში. 83-ე წუთზე, ისევ მიქაძის პასის შემდეგ, იაშვილის დარტყმა ძელს მოხვდა. 85-ე წუთზე კი ძელი უკვე მანწკავამ "შეაწუხა". ასხლეტილ ბურთთან პირველი გაჩნდა იაშვილი. მართალია, მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბობოხიძემ მაინც დალაშქრა მეტოქის კარი. სანდრო იაშვილს კი მონდომება დაუფასდა - 89-ე წუთზე "მოსორის" კარში გატანილი ბოლო, მეოთხე გოლი, მის ანგარიშზეა. საბოლოოდ 4:0 გავიმარჯვეთ", - გვამცნო ლევან სალუქვაძემ.

დღეს "დინამო" ბოლო ვარჯიშებს გამართავს "მაკარსკას" ბაზაზე, ხვალ კი სამშობლოში გამოემგზავრება.


ოთხი გამარჯვება - "დინამოს" ევროპული მონაგარი
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ძიუდო

# ძიუდოს ჰამბურგერი

ბიბა ბურასაშვილი

*მოსკოვის, თბილისისა და პარიზის შემდეგ ძიუდოს სალიცენზიო ტურნირთა კალენდარში ჰამბურგის სუპერ A კატეგორიის ჯერიც დადგა. ტურნირი გერმანიაში 22-23 თებერვალს გაიმართება. ჰამბურგში მრავალი ქვეყნის ძიუდოისტებს ელიან, მათ შორის, საქართველოდანაც. დღეს, გამთენიისას, საქართველოს ნაკრები ჰამბურგში გაფრინდა.*



*ქართველი ძიუდოისტები ძალებს ჰამბურგშიც მოსინჯავენ*

მოსკოვიდან, პარიზული ტურნირის ჩათვლით, ქართველმა ძიუდოისტებმა 6 ოქროს, 5 ვერცხლსა და 10 ბრინჯაოს მედალი დააგროვეს. აქედან მედლების მეტი წილი (5 "ოქრო", 4 "ვერცხლი" და 6 "ბრინჯაო"), ბუნებრივია, შინაურ კედლებზე – თბილისის ტურნირზე მოდის. იმედია, საქართველოს ნაკრების ყულაბას ჰამბურგული მედლების კოლექციაც შეემატება. A კატეგორიის ტურნირები კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში წარმატება ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიებს იძლევა. თუმცა, როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა, ჰამბურგის ტურნირს ქართველ ძიუდოისტთა ბანაკში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპადაც აღიქვამენ. როგორც წესი, ამ სახის ტურნირების დასრულებას ერთობლივი ვარჯიშებიც თან ახლავს. ასეთივე პროგრამაა გათვალისწინებული ჰამბურგში და მასში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას. სხვაობა მხოლოდ შემადგენლობაშია. მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ხაბარელის თქმით, A კატეგორიის ტურნირები საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ნაკრების ყველა წევრი, ასე ვთქვათ, საქმეში ნახონ. ცვლილებები დანარჩენ ტურნირებზეც გაგრძელდება. შემდეგ საბოლოო ბირთვიც ჩამოყალიბდება. მანამდე კი ჰამბურგია.

ნესტორ ხერგიანი, ლაშა სარდანაშვილი (60 კგ), დავით მარგოშვილი, მინდია ხომიზური (66 კგ), დავით ბოდაველი (77 კგ), გიორგი შინჯიკაშვილი (81 კგ), გიორგი გუგავა, ივერი ჯიქურაული (100 კგ), ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა) - ეს ის შემადგენლობაა, რომელიც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰამბურგის გზას გაუყენა. შეამჩნევდით, რომ 60, 66 და მძიმე წონით კატეგორიებში ხაბარელმა ორ-ორი სპორტსმენი დააყენა. 90 კგ წონითი კატეგორია კი ერთადერთია, რომელშიც არ ვიასპარეზებთ. საქმე ის არის, რომ მწვრთნელი ზურაბ ზვიადაურს დასვენების საშუალებას აძლევს.

დავინტერესდით იმითაც, თუ რა შედეგს შეიძლება ველოდოთ.

**- პარიზული ტატამიდან ორად ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდით, რაც წლეულს ყველაზე ცუდი შედეგია... რამდენად შესაძლებელია, რომ ჰამბურგში უკეთ გამოხვიდეთ?**

- საერთოდ, პარიზის ტურნირი უძლიერესად ითვლება მსოფლიოში. მასში არაერთი ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონი გამოდის. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენთვის პარიზის ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის ერთგვარი სამზადისი იყო. შედეგებზე მეტად, ერთობლივი ვარჯიშები გვაინტერესებდა და არა მარტო ჩვენ. რამდენიმე ქვეყანა მარტო ერთობლივი ვარჯიშებისთვის ჩავიდა პარიზში. შედეგი რომ ყოფილიყო ჩვენი მთავარი საზრუნავი, მაშინ ნესტორ ხერგიანს ერთობლივი ვარჯიშებისთვის კი არ წავიყვანდით, არამედ ვაჭიდავებდით.

პროგნოზთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ ჰამბურგში უკეთესი შედეგი გვექნება.

კრივი

# საკრივო კატათაგვობანა

*მაიკ ტაისონმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, სახელის გატეხვას დალილავებული ცხვირპირი სჯობსო და მეტოქეს შეუძახა: აბა, დამიდექ! მაგრამ ახლა მეტოქე ჯიუტობს: მაგ თავნებასთან რინგზე აღარ გავალო. ეტყობა, თავი მწყობრში არ უნდა ჰქონდესო. როდესაც საჩხუბრად ხელთათმანებს "ვილესავდი", ესაო, ისაო, ფაღარათიო, გრიპიო... თუ შერკინება უნდოდა, აქ არ ვიყავიო, – გაოცებულია კლიფორდ ეტიენი.*



*მაიკ ტაისონი*

მაშინ, როდესაც საკრივო სამყაროს გულისყურით "რკინის მაიკისა" და კლიფორდ ეტიენის 22 თებერვლის მემფისური დაპირისპირებისკენ იყო მიპყრობილი, არაერთი ვარაუდი გამოითქვა. ერთნი აცხადებდნენ, ეტიენთან ბრძოლას ტაისონისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებაო, მეორენი - ნაადრევად ჩამოგიწერიათ "რკინის მაიკიო". ერთი სიტყვით, შაბათს ტაისონი ეტიენს უნდა შერკინებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო 22 თებერვლის ორთაბრძოლა ჩაიშალა. მუშტი-კრივის მომლოდინე 12 ათასამდე სეირის მოყვარული ახლა იმაზე ფიქრობს, რითი შეიქციოს შაბათს თავი. ორთაბრძოლის ორგანიზატორი პრომოუტერი კომპანია "შოუთაიმიც" საგონებელშია და გამოსავალს ეძებს. სამწუხაროდ, ტაისონი გვიან გამოფხიზლდა. თუ ეტიენთან შერკინებამდე რამდენიმე დღით ადრე ის უკან იხევდა, ყოველ შემთხვევაში, ექსპერტთა ერთ ნაწილს ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ახლა, ერთობ გაოცებულები, ერთმანეთს შეჰყურებენ. ერთი კარგი გამოძინების შემდეგ, სამშაბათს, დილით, ტაისონმა კარგ გუნებაზე გაილვიძა და უზმოზე პირველი განცხადებაც გააკეთა: "ბრძოლა მწყურია. საბრძოლველად მზად ვარ!" მაგრამ...

ტაისონთან მწვრთნელი ფრედი როუჩი მიიჭრა და მამაშვილურად დაარიგა: "მაიკ! როგორც მეგობარს, ისე გირჩევ. არა მგონია, შენ მზად იყო ორთაბრძოლისთვის".

ტაისონმა ყური არ ათხოვა მწვრთნელ-მეგობრის რჩევას და საკუთარი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა როუჩმა კი განაცხადა: "მან უკვე გადაწყვიტა. სხვა გზა არ მრჩება, გარდა იმისა, რომ მის გვერდით დავდგე. ყველანაირად ვეცდებით, დარჩენილ დღეებში მაქსიმუმი გავაკეთოთ. საბედნიეროდ, მას ყველაფერი არ დაუკარგავს". ამასობაში...

კლიფორდ ეტიენი, რომელსაც ტაისონთან შებმით მილიონი დოლარი უნდა გამოემუშავებინა, "რკინის მაიკთან" ორთაბრძოლაზე უარი განაცხადა.

"უნდა ვუჩვენო, რომ მის დაკრულზე არ ვცეკვავ. მე მგონი, მაგას ტვინი აქვს ნაღრძობი", - დიაგნოზს სვამს ეტიენი.

საკუთარ შეგირდს გადაწყვეტილებას უწუნებს მწვრთნელი ლეს ბონანო და ეტიენს სთხოვს, რინგზე გავიდეს, მაგრამ ახლა ეს უკანასკნელი გაჯიუტდა. ბონანოს თქმით, იგი ყველანაირად ეცადა, შეგირდს გადაწყვეტილება შეეცვალა: "არ აპირებს ბრძოლას. ეს უკვე გადაწყვეტილია. თუმცა, ვინ იცის..."

ჯერჯერობით, საქმე ასეა. რა იქნება მერე, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი ერთი რამ არის ცნობილი. თუ ეტიენმა არ გადათქვა, ტაისონს ვინმე სხვასთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ყოველ შემთხვევაში, პრომოუტერებს ამ საქმისთვის ოთხი კანდიდატურა უკვე ჰყავთ შეგულებული.

"მის (ეტიენის) ადგილზე მე სიამოვნებით ავხტებოდი რინგზე. მით უმეტეს, მაიკ ტაისონთან, რომელსაც, რამდენიმე დღეა არ უვარჯიშია. თუ არ უნდა, ჩვენ სხვა კანდიდატურებიც გვყავს, - ეტიენს გონს მოსვლას სთავაზობს ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელი და იქვე დასძენს, - თუ რამე ეწყინა, ისიც უნდა იცოდეს, რომ ტაისონის სამყაროში მსგავსი ქმედებები ჩვეულებრივი მოვლენაა...

გაითვალისწინეთ, რომ მაიკ ტაისონის გიჟურ სამყაროში ყოველთვის იქნება მოთხოვნა მაიკ ტაისონზე. ის კვლავაც ვარსკვლავია. იგი, მართლაც, ვარსკვლავია".

ექსპერტთა ვარაუდით, ეტიენს ტაისონისთვის რეალურად დიდი წინააღმდეგობის გაწევა არ უნდა შეეძლოს. ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობაზე მეტყველებს ფსონებიც – შვიდი ერთის წინააღმდეგ.

სათხილამურო სპორტი

# ნორვეგიული კვარცხლბეკი

იტალიის ვალ დი ფიემში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო რბოლებში. გუშინ ასპარეზობაში ვაჟები ჩაებნენ და მასსტარტში მედლები გაითამაშეს. მასსტარტიდან 30-კილომეტრიანი რბოლა, მართლაც, თვალსასეირო სანახავია. აქ წინასწარი უპირატესობა არ არსებობს - სტარტზე ყველა მოთხილამურე თანაბარ პირობებშია. სტარტს ერთდროულად იღებენ და საშუალება ეძლევათ, თვალყური ადევნონ მეტოქის მანევრებს.

გუშინდელ რბოლაში ფავორიტად ესტონელი მსოფლიო ჩემპიონი ანდერს ვეერპალუ მიიჩნეოდა. მისთვის კონკურენციის გაწევა ნორვეგიელებს, ავსტრიელ მიხაილ ბოტვინოვს და შვედ მატიას ფრედრიქსონს შეეძლოთ.

15-კილომეტრიანი დისტანციის პირველი მონაკვეთი ტაქტიკურ ბრძოლაში მიილია. გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფი, რომელშიც ყველა ფავორიტი გაერთიანდა. მოგვიანებით თვალშისაცემი გახდა სკანდინაველთა უპირატესობა და დომინანტის როლი უკვე ნორვეგიელებმა იკისრეს. ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მთავარი კონკურენტების ყოველ გადაადგილებას.

რბოლის დამთავრებამდე 5 კილომეტრით ადრე მსოფლიო ჩემპიონმა ანდერს ვეერპალუმ სპურტის განხორციელება სცადა. გამოუვიდა კიდეც. ვეერპალუ 40 მეტრით მოსწყდა პელოტონს, მაგრამ ესტონელმა ჩემპიონმა პირველობა ვერ შეინარჩუნა. ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ნორვეგიელები დაეწივნენ გათამამებულ ესტონელს და ფინიშის სწორზე ტომას ალსგორდმა, ანდერს ოკლენდმა და ფროდე ესტილმა მთლიანად ჩაკეტეს ესტონელი და მედლები ერთმანეთში გაითამაშეს. საბოლოოდ ალსგორდმა ოქრო მიიღო, ოკლენდმა - ვერცხლი, ხოლო ესტილმა - ბრინჯაო. ვეერპალუმ ჩემპიონის უფლებამოსილება დათმო.

გუშინდელი რბოლის შემდეგ ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება: ტომას ალსგორდი, ანდერს ოკლენდი, ფროდე ესტილი (სამივე - ნორვეგია), ანდერს ვეერპალუ (ესტონეთი), ანდრეას შლიუტერი (გერმანია).



*ანდერს ოკლენდი, ტომას ალსგორდი, ფროდე ესტილი*

ინფორმაცია

# თავგატეხილი ბექჰემის შურისძიება

შესაძლოა, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფიცხმა თავკაცმა, სერ ალექს ფერგიუსონმა, სულ მალე მწარედ ინანოს, რომ ემოციები ვერ მოთოკა და ფედერაციის თასზე, საკუთარ მოედანზე, ლონდონის "არსენალთან" წაგების შემდეგ, დევიდ ბექჰემს ფეხსაცმელი ესროლა. თავგატეხილ "სპაის ბოის" ექიმებმა ორი ნაკერი დაადეს. ბექჰემს ინციდენტის შემდეგ არაფერი უთქვამს, უხმოდ დატოვა "ოლდ ტრაფორდის" გასახდელი. ინტერნაციონალურმა პრესამ კი განგაში ატეხა, ბექჰემი ასეთ შეურაცხყოფას ვერ გადაიტანს და "მანჩესტერიდან" წავაო. "ბექსის" და "ფერგის" ადრეც მოსვლიათ უთანხმოება, მაგრამ ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე საქმე არასოდეს მისულა.

რაკი "მან იუში" წყალი აიმღვრა, დანარჩენმა ევროპულმა კლუბებმა მაშინვე წამოყვეს თავი და ამ წყალში ოქროს თევზის, ანუ დევიდ ბექჰემის დაჭერა გადაწყვიტეს. ყველაზე მეტად "სპაის ბოის" ხელში ჩაგდება მადრიდის "რეალს" და იტალიურ "მილანს" სურთ და, ალბათ, დიდი უსამართლობა იქნება, ამ სურვილის განხორციელება რომ შეძლონ. "რეალმა" ისედაც ლამის ყველა ვარსკვლავი იყიდა და თუ ბექჰემიც მადრიდში გადავა, წარმოგიდგენიათ, რაოდენ შეუძლებელი იქნება "სამეფო კლუბთან" თამაში? თუ "რეალი" სერიოზულად დააპირებს ბექჰემის შეძენას, "მილანი", ალბათ, ველარაფერს გახდება ესპანელთა წინააღმდეგ. რითი შეუძლიათ მილანელებს ბექჰემების წყვილის მოხიბვლა? იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, ერთადერთი, რის გამოც, შესაძლოა, ბექჰემი მილანში წასვლაზე დაიყოლიონ, ეს ვიქტორია ადამსისთვის იტალიის ტელევიზიაში საავტორო გადაცემის შეთავაზებაა. იტალიელებს იმედი აქვთ, რომ ვიქტორია ამ ცდუნებას ვერ გაუძლებს და ბექჰემიც "მილანთან" გააფორმებს კონტრაქტს.

მოკლედ

**კალათბურთი.** "ლოს-ანჟელოს ლეიკერსის" კალათბურთელმა, კობი ბრაიანტმა, NBA-ის ახალი რეკორდი დაამყარა. ზედიზედ ექვს თამაშში მან 40 და მეტი ქულა მოიპოვა. უკანასკნელ მატჩში "ჰიუსტონ როკეტსთან", რომელიც "ლეიკერსმა" ოვერტაიმში მოიგო (106:99), კობი ბრაიანტმა გუნდს 52 ქულა შესძინა, მათ შორის 17 - დამატებით დროში. იმ მატჩში ლოსანჟელოსელთა ლიდერმა მოედანზე 53 წუთი გაატარა. აღსანიშნავია, რომ, ზედიზედ მე-10 შეხვედრაა, რაც ბრაიანტი თავისი გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** არგენტინის ნაკრების წევრი, რუბენ ვოლკოვსკი, რომელიც შარშან მოსკოვის ცსკა-დან "ბოსტონ სელტიკსში" გადავიდა, ევროპაში ბრუნდება. არგენტინელმა ლეგენდარული "სელტიკსის" რიგებში მხოლოდ 24 წუთი ითამაშა და სათადარიგოთა სკამზე ყურყუტს, ევროპაში თამაში ამჯობინა. ბოსტონელებმა ვოლკოვსკი გაუშვეს ესპანეთის "ტაუ კერამიკაში", რომელიც საკალათბურთო ევროლიგაში ასპარეზობს.

"რა თქმა უნდა, ამ ტრანსფერით რუბენს ფული მოაკლდება, - განაცხადა მისმა აგენტმა, - მაგრამ მას თამაში სურს, ამიტომ უსაშველო არაფერი მომხდარა".

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საბერძნეთის მთავრობამ გადაწყვიტა, 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კიდევ უფრო გაამწვანოს და გაალამაზოს ათენი. ამისთვის ბერძნები 480 მილიონ ევროს დახარჯავენ. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საბერძნეთის მშენებლობის მინისტრმა ვასო პაპანდრეუმ. მინისტრის თქმით, "ათენის მცხოვრებლებს დედაქალაქის იერსახესთან დაკავშირებით ნეგატიური აზრი ჩამოუყალიბდათ". ოლიმპიადის წინ საბერძნეთის დედაქალაქი გრანდიოზულ სამშენებლო მოედანს დაემსგავსა. მშენებლობებმა პირდაპირ დაიპყრეს დედაქალაქის ცენტრი, რომელიც დიდი გამწვანებით ისედაც არასდროს გამოირჩეოდა.

სწორედ ამიტომ მოჰკიდა ხელი საბერძნეთის მთავრობამ "ქალაქის გაჯანსაღების" პროგრამას. პირველად გამწვანებას დაემქვედებარება სახელგანთქმული მარათონული გზა, რომლის სიგრძე 42 კილომეტრია. ჩვენს ერამდე მე-5 საუკუნეში მაცნემ სწორედ ამ გზით შეატყობინა ბერძნებს მარათონის ბრძოლაში სპარსელებზე გამარჯვება.

■ ■ ■

**სპორტული ტანვარჯიში.** ექიმების შეცდომის გამო, ცნობილი რუმინელი ტანმოვარჯიშე, 17 წლის საბინა კოჟოკარი, იძულებული გახდა, დროზე ბევრად ადრე დაესრულებინა სპორტული კარიერა. "რამდენიმე წლის განმავლობაში ვიღებდი აბებს, რომლებიც ექიმებმა ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად გამომიწერეს. მაგრამ რაც მეტს ვსვამდი, მით უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს", - ამბობს კოჟოკარი.

როგორც შემდგომში გაირკვა, აბები, რომლებიც საბინას სპორტული მედიცინის ეროვნული ინსტიტუტის ექიმებმა გამოუწერეს, ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავდა. თუმცა, რუქსანდრა დრაგულესკუ (ექიმი, ვისი რეკომენდაციითაც იღებდა კოჟოკარი აბებს) ამტკიცებს, რომ პრეპარატს კუნთების ტკივილი უნდა მოეხსნა და ხელი შეეწყო თირკმლის მოქმედებისთვის. ასე რომ, წამალს მოზარდისთვის არაფერი არ უნდა დაეშავებინა.

კოჟოკარის მწვრთნელმა, ოქტავიან ბელუმ, რომლის 20-წლიანი მოღვაწეობის შედეგად რუმინეთმა 200-ზე მეტი მედალი მოიპოვა, განაცხადა, რომ თანაუგრძნობს სპორტსმენს, მაგრამ ექიმთა რეკომენდაციის გამო პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს. "მე მწვრთნელი ვარ და არა ექიმი. მე კოჟოკართან მათი რეკომენდაციების საფუძველზე ვმუშაობდი", - განაცხადა ბელუმ.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 24 წლის წინათ...



1979 წლის 11 აგვისტო. კაიზერსლაუტერნი. "კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი კარლ-ჰაინც ფელდკამპი და გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იუპ დერვალი.

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადების კუპონი

20.02.03 N-49

**საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი**

**EDUCATIONAL COOPERATION AND DEVELOPMENT CENTER**

**საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის (ECDC) 2003 წლის მცირე გრანტების პროგრამა „ახალი ჰორიზონტები ქალებისათვის"**

საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი, ქალთა საერთაშორისო ფონდის - **Global Fund for Women** მიერ დაფინანსებული „პარტნიორული გრანტების პროგრამის" ფარგლებში (w) აცხადებს კონკურსს მცირე გრანტების მოსაპოვებლად ქალთა რეგიონალური ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის.

უპირატესობა მიენიჭება დამწყებ ორგანიზაციებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ქალთა და გოგონათა სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან, სოფლის მოსახლეობასთან, უმცირესობებთან.

პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 თვეს (გრანტის მინიჭებიდან).

საგრანტო თანხა განსაზღვრულია 500-დან 2500 აშშ დოლარამდე.

კონსულტაციები ჩატარდება ცენტრის ოფისში ყველა დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენელთან – 24 თებერვლიდან 24 მარტის ჩათვლით, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 13.00-17.00 სთ.

**განაცხადები მიიღება 25 მარტიდან. წარდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 15 აპრილი.**
**380063, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N1, ოთახი 1005, ტელ./ფაქსი: 33 02 35**
**E-mail:ecdc@gol.ge Web-site:**

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯაკომო პუჩინი "ტოსკა", ოპერა სამ მოქმედებად
დირიჟორი გიორგი ჟორდანია
დას: 18:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ზაფხულის ღამის სიზმარი", რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"სისხლანი ქორწილი", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლაედიანი; მთავარ როლში, გია გოგიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

**ეროვნული გალერეა**
ნანა მჭედლიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გიორგი უსტიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
"ტაო-კლარჯეთი", კახა შენგელაიას ნამუშევრების გამოფენა
ვიდეოარტი "არტერია"

**TMS**
ბრიტანეთის საელჩოს ფოტონამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"პლუტონეში"
დას: 14:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"აბა დამიჭირე"
დას: 16:00; 19:00; 22:00; ფასი 7-9 ლარი

**"რუსთაველი"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემელები"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**"ელისო"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემელები"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

# ბინები

## იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 100 კვ.მ. ბინა ალ. ჭავჭავაძეზე, გამოდგება საოფისედ. 93 61 53

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა, დუპლექსი - სამხატვრო სახელოსნო დიდ დიღომში, პეტრიწზე. 53 55 31

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიდ დიღომში, I მ/რ-ში. 63 55 83 გოდერძი

იყიდება იოსელიანზე (დოლიძის პარალელური) 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა მე-14 სართულზე. ფასი 25 000. 33 76 07, 8(93) 28 73 00

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება მშენებარე ბინა ვაკე-ვერაზე. 23 58 07

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახიანი იზოლირებული, პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საოფისედ. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

# ბინები

## ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ვიგირავებ ბინას 1000$ ფარგლებში. 60-66-28, 877 745870 ელისო, 893 241924 ვახო.

ქირავდება ბინა ბათუმის ცენტრში ავეჯით, ტელეფონით, ფასი 100$. ცნობებისათვის დარეკეთ 38-21-14

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

ვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში თსუ-სა და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებით, უახლესი მოთხოვნების შესაბამისად. 93 88 22, 98 59 60 (მეტრო „რუსთაველთან")

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას: WINDOWS; WORD; EXCEL; INTERNET; E-MAIL; PAGE MAKER; PHOTOSHOP; ACCSESS; OUTLOOK. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

## სხვადასხვა

იყიდება ანტიკვარული ფრანგული საძინებელი „მარკიზა". 98 51 53, 8(99) 56 07 79

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელის და ფეხის ასადგმელი ქამრები ბრტყელტერფიანებისთვის, სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი"**

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**

**8(93) 21 76 12**

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

**სადილი ყველას!**

3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, "კათარზისი" კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

**დარეკეთ 11-დან 17 საათამდე. 95-16-46**
**დავით აღმაშენებლის 121.**

# TV პროგრამა 20 თებერვალი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
23.40 მხ. ფილმი „ფანტომასი" მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე
02.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი"
10.15 მხ. ფილმი „საგანგებო მდგომარეობა"
11.40 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები"
15.15 მხ. ფილმი „ფარაონი"
16.35 დოკ. ფილმი „აეროზუსი"
17.25 რამპა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 ნინო ანანიაშვილი თბილისში
22.30 „საქართველო არის ესე"
23.00 „დღის ბოლოს"
00.00 მხ. ფილმი „მარკიზ დე სადი"
01.35 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ფორტუნის ბორბალი" მთ. როლ-ში გლენ კლოუზი, ლივ ტაილერი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „ქურდები" მთ. როლში კატრინ დენევი, დანიელ ოტოი.
01.45 ფილმი ღამურა „შეთქმულების საიდუმლო" მთ. როლში მელ გიბსონი, ჯულია რობერტსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „კაფკა"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „რაბინ იაკობის თავგადასავალი"
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „ცხოვრება და მეტი არაფერი"
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
16.20 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ღმერთთა წისქვილები" 1 ს.
00.55 მხ.ფ. „ღმერთთა წისქვილები" 2 ს.
02.10 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ჯუმანჯი"
13.30 მხ. ფილმი „ნიკი, ეშმაკის შვილი"
15.00 მხ. ფილმი „წამომწყებები"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „მარტოხელა გმირი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „გაიცანით ჯო ბლექი"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი" მე-2 ს. 10.30 მხ. სერიალი „ჯონ როსი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.45 მხ. ფილმი „ტარაკანი"
14.15 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.10 დოკ. სერიალი „მწერების იმპერია"
15.45 მხ. ფილმი „გაქი და ჯადოსნური სამაჯური"
18.00 მხ. სერიალი „ჯონ როსი"
18.40 მულტსერიალი „ალექსი" მე-3 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 ტელეჟურნალი „კონტაქტი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ჩემი ქვეყანა"
22.15 მხ. ფილმი „ორომტრიალი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ამერიკელი მაქცია პარიზში"

### აჭარა

03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
10.00 საბავშვო ფილმი „მატჩი"
12.30 მხატვრული ფილმი „ცეკვები მგლებთან"
15.30 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.25 კომედია „გოთეთა მეჯლისი"
19.00, 22.20, 00.00 „დღეს"
19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
19.25, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.35 „პირისპირ"
20.35 მელოდრამა „ჩრდილოეთის ნათება"
22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 კომედია „ჩემპიონთა საუზმე"
03.30 მხატვრული ფილმი „მეხსიერებით თამაში"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი .
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
14.00 სპორტი
18.20 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა"
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: „შიში".
21.25 მობილურები
22.10 „კინოკლუბი „ - „ღმერთების სიკვდილი". ა.შ.შ. 1991 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: ლუკინო ვისკონტი.
00.50 კომპიუტერული ტექნიკა
01.30 „ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды".
11.10 Худ.фильм „Следующий 2", 1 с
12.05 Док. детектив. „Стрела Купидона".
12.35 Дисней-клуб: „Черный плащ"
13.15 Худ.фильм „Риск"
15.00 „Новый день". „Подводный мир Андрея Макаревича"
15.30 „Новый день". „Сканер"
16.20 Док.сериал „Дикие штучки"
16.40 „Батальоны просят огня", 3 с.
18.00 „Большая стирка"
19.25 Док.фильм „Русская глубина", 1 с.
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Следующий 2"
23.40 Человек и закон
01.00 „Новый день". Ударная сила. „Черный призрак"
01.30 „Новый день". „С „Обломовым" к людоедам"
02.00 „Апология"
03.05 Боевик „Неудержимый". „В ряду убийц", ч. 2

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Мэр"
10.35 Сериал „Семнадцать мгновений весны"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Проклятие египетской гробницы"
13.20 Сериал „Команда спасения 77"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 04.15 Дорожный патруль
19.05, 00.50 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр"
22.50 Сериал „Семнадцать мгновений весны"
00.20 „Вести+"
00.55 Худ.фильм „Бешеные псы"
02.55 Чемпионат мира по лыжному спорту. 10 км. Женщины.

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7"
11.00 Сегодня утром
11.25 Чистосердечное признание
12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
12.05 „Шоу Е.Степаненко"
13.05 Комедия „Разборчивый жених"
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Ох уж эти родственники!" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Боевик „Кодекс чести"
19.15 „Очная ставка". „Тайны старинного дома"
20.40 Сериал „Тайны следствия"
21.50 Боевик „Кодекс чести", 16 с.
23.00 „Страна и мир". Главные события дня
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Тайны следствия"
02.20 Кома




# კულინარია კულტურაა, კულინარი - ხელოვანი

დალი კუპრავა

რესტორან "მარკო პოლოს" პრივატ დარბაზი იუბილარს მასპინძლობდა.

ამერიკის "ღვინისა და კულინარიის აკადემიის" წევრს, კულინარიის "ოსკარის" მფლობელს თენგიზ ჩიღვინაძეს მეგობრებმა დაბადების 50 წელი აღუნიშნეს. ლამაზი, მრავალფეროვანი და გემრიელი სუფრის ავტორი თავად იუბილარი იყო.

სამასამდე ორიგინალური რეცეპტის ავტორი თენგიზ ჩიღვინაძე 35 წელია კულინარია. "14 წლიდან ვამზადებ კერძებს. ჩემს სოფელში, ონის რაიონში დავიწყე და მერე სად არ ამოვყავი თავი" - თქვა მან.

ოთხი წელი ვაშინგტონშიც ცხოვრობდა, "შერატონის" რესტორნებში ქართული სამზარეულოს პროპაგანდას ეწეოდა. თეთრ სახლში ერთ-ერთ საშობაო საღამოზე, ქართული სამზარეულოთი პრეზიდენტ რეიგანის სტუმრებს გაუმასპინძლდა: "ამერიკელებს ჭამა უყვართ, სიამოვნებით მიირთმევენ ცხარეს, თუმცა მარილს ერიდებიან."

თვითმხილველი ჯემალ ბაღაშვილის შეფასებით, ცხარე ქართული საჭმელები მალტაში, საერთაშორისო კულინარიის ფესტივალზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ტურისტებსაც ძალიან მოსწონებიათ: "ვინც საქართველოში იყო ნამყოფი, მათ თავიანთი მეგობრები ქართულ სამზარეულოში მოჰყავდათ და იქიდან აღფრთოვანებულები მიდიოდნენ". ქართული სამზარეულოს შეფი იქაც თენგიზ ჩიღვინაძე იყო.

მას შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი სამზარეულოდან დაამზადოს კერძი. ხშირად, როცა, ესა თუ ის პროდუქტი არა აქვს, ის მას მსგავსით ცვლის. სხვა ქვეყნებში პროდუქტის უფრო დიდი ასორტიმენტიაო, ამბობს ბატონი თენგიზი და უკმაყოფილოა იმით, რომ ნამდვილ "სუშის" თბილისში ვერ მოამზადებს, თუმცა, სხვა ქვეყნებში ამის პრობლემა არ დგას. სახლში მეუღლე ამზადებს კერძებს და ოსკაროსანი კულინარი ყოველთვის სიამოვნებით მიირთმევს: "მეუღლეს ხშირად უთქვამს, რომ გეგონება მშენებლობაზე მუშაობდე, ისეთი მშიერი მოდიხარო სახლში" - ამბობს ბატონი თენგიზი. თუ სახლშია, მაშინ სიამოვნებით აფორმებს კერძს და რაღაც ახალს აუცილებლად იგონებს. მისი აზრით, სხვადასხვა ადამიანის მიერ მომზადებულ ერთსა და იმავე კერძს განსხვავებული გემო აქვს. რეცეპტი ერთი ადამიანის მოფიქრებულია, მაგრამ გემოვნება ხომ ყველას თავისი აქვს, შესაბამისად ყველა რეცეპტი ვარიაციულია და ჩიღვინაძეც კულინარიის, როგორც ხელოვნების, მომხრეა.

ნინო სუხიშვილმაც იგივე ინტერპრეტაცია მისცა კულინარიას - ქმნი იმას, რაც მოგწონს, რომ სხვას მოაწონო - ხელოვნებაა, აბა რა?!

ვალერი ასათიანმა კი კულინარიას უმშვენიერესი და უდიდესი გამოგონება უწოდა, რომელსაც, მისი თქმით, როგორც იდეური, ასევე მატერიალური დატვირთვაც აქვს - ეს არ არის განყენებული, ეს რეალურად აღსაქმელი მშვენიერებაა.

დაბადების დღეზე იუბილარი ოთხმოც სტუმარს ელოდებოდა - ვის, და მას, სტუმრების რაოდენობა ზუსტად უნდა სცოდნოდა, რომ თვალად და გემოდ უცხო ბუტერბროდები და ნამცხვრები იმდენი მოემზადებინა, ყველასთვის სამყოფი ყოფილიყო. როგორც გვითხრა, სტუმრად მხოლოდ მეგობრებს ელოდებოდა. სუფრაზე გამოფენილი შედევრის დაგემოვნების შემდეგ, თავს ვერავინ ვერ შეიკავებს, რომ ბატონი თენგიზის მეგობრების რიცხვში მოხვედრა არ ისურვოს. სასწრაფოდ ვთხოვეთ, რომ თავისი კულინარიის საიდუმლო, საავტორო რეცეპტები, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის გაეზიარებინა. დაგვთანხმდა და თან დაგვამშვიდა, რომ სულხან-საბას იგავის მასწავლებელი კატასავით არ მოიქცევა და არაფერს დაგვიმალავს.

როგორც დაბადების დღის ინიციატორმა, მარკო პოლოს მეპატრონემ და თენგიზ ჩიღვინაძის მეგობარმა, ჯუმბერ ბერაძემ თქვა, სამზარეულო ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილია და ბატონი თენგიზი ამ დარგის შესანიშნავი მცოდნე და შემოქმედია.

კულინარიის ასოციაციის იდეას, რომლის ინიციატორიც თენგიზ ჩიღვინაძეა, იქ დამსწრეთაგან ყველა იზიარებდა და ბევრმა მათგანმა მისი დაფუძნების სურვილიც გამოთქვა.

დათო გომართელის აზრით, კულინარიის ასოციაციის შექმნა საჭიროა, რომ მომსახურების დონე ამაღლდეს. დღეს ქართველი ბარმენები, მიმტანები და მზარეულები საერთაშორისო მომსახურების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებენ - საქართველოს კი, რომელსაც ტურიზმზე უჭირავს თვალი, ეს აუცილებლად სჭირდება.

თენგიზ ჩიღვინაძეს ბევრი მოსწავლე ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ვისაც სურვილი აქვს, მიდის მასთან და სწავლობს. მისი რეკომენდაციით, კულინარს საქართველოს ნებისმიერ რესტორანში მიიღებენ, მაგრამ ეს არ კმარაო, თქვა ბატონმა თენგიზმა. მას უნდა, რომ საქართველოში ამერიკის და საფრანგეთის დარად კულინარიის აკადემია არსებობდეს და ქართული სამზარეულოს სერტიფიკატს საერთაშორისო ღირებულება ჰქონდეს.

რაც შეეხება იმას, ზოგიერთი რომ იფიქრებს, რა დროს კულინარიის აკადემიაა, ქვეყანა თავზე გვექცევაო, როგორც დაბადების დღის სტუმრებმა თქვეს, კეთების დრო ყოველთვისაა.

შესანიშნავია, როცა პროფესიონალს სხვა ქვეყნების უმაღლესი შეფასებები აქვს დამსახურებული, მაგრამ საკუთარ ქვეყანაშიც უნდა არსებობდეს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მას ყველგან შეაფასებენ, ამიტომ ქართული კულინარიის სკოლა და აკადემია ეროვნული ღირსების საკითხიცაა. ვისაც ეს ესმის, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბევრმა გაიგო ქართველი სასახელო კულინარის არსებობა. განა ბევრ დარგში გვყავს "ოსკარის" მფლობელი და საერთაშორისო აკადემიის წევრი?!



თენგიზ ჩიღვინაძე საიუბილეო ტორტთან

# ქართველი მოდელები უცხოურ ტელე-არხებზე

ნანა ბარამიძე

რამდენიმე თვეა, რაც ქართულ ტელე-არხებზე აქტიურად ტრიალებს ავსტრალიური ჩაის ხის ზეთზე დამზადებული სხეულის მოვლის სხვადასხვა საშუალების რეკლამა. რეკლამა ქართულ-ამერიკულ კომპანია "ქედი-მაქენ-ერიქსონმა" სამოდელო სააგენტო "გრი-სთარსთან" თანამშრომლობის შედეგად შექმნა. ქართული ტელე-არხებისთვის ეს რეკლამა სიახლეს წარმოადგენს, რადგან პროდუქტის რეკლამირებას "გრი-სთარსის" შიშველი მოდელი უკეთებს. ამიტომაც, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, მაყურებელს თავიდან შეიძლება ეჭვიც კი შეეპარა რეკლამის "ქართულობაში".

ქართული სამოდელო "გრი-სთარი" სამი თვეა აქტიურად თანამშრომლობს "ქედი-მაქენ-ერიქსონთან". მათ რამდენიმე ერთობლივი პროექტი განახორციელეს. ქართველმა მოდელებმა მონაწილეობა მიიღეს რვა სარეკლამო რგოლში, რომლებიც ქართული და უცხოური ტელევიზიის სხვადასხვა არხით გადის ეთერში. მაგალითად, შოკოლადი "პერლას" რეკლამა ბულგარეთში გაიტანეს. "გრი-სთარსის" ხელმძღვანლის, ინგა გრიგოლავას თქმით, ისინი, პარალელურად სხვა კომპანიებთან თანამშრომლობაზეც არ ამბობენ უარს. ამჟამად დასრულდა მუშაობა ლექსო ქავთარაძის კლიპზე, რომელშიც "გრი-სთარსის" მოდელები მონაწილეობენ. კლიპის პრემიერა ერთ-ერთ ქართულ გასართობ ტელე-არხზე შედგება.

რეკლამისთვის შესაფერის ტიპაჟებს "გრი-სთარსის" ხელმძღვანელობა არჩევს. "როდესაც ვიგებთ, თუ რა პროდუქციას ვუწევთ რეკლამას, დაახლოებითი წარმოდგენა მექმნება, თუ როგორი სახეა საჭირო. ვაცხადებთ ქასთინგს, ვარჩევთ გამარჯვებულ მოდელებს და წარვუდგენთ "ქედი-მაქენ-ერიქსონის" ხელმძღვანელობას. შემდეგ მათთან შეთანხმებით, ამ გოგონებიდან ვარჩევთ იმას, ვისაც ჩვენი აზრით, რეკლამისთვის ყველაზე უფრო სახასიათო სახე აქვს და ვიწყებთ პროექტზე ერთად მუშაობას", - გვითხრა "გრი-სთარსის" ხელმძღვანელმა. გადაღებებთან ერთად გოგონებს დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ. ისინი სწავლობენ საპოდიუმო ქორეოგრაფიას, გადიან სპორტულ მომზადებას - ტრენაჟორები, ვარჯიში და ა.შ. უტარდებათ სპეციალური ლექციები, სადაც მეტყველების კულტურას, კამერასთან მუშაობას სწავლობენ. კვირაში ერთხელ კი სასინჯი ფოტოგადაღებები აქვთ ფოტოპავილიონში. კომპანია "ქედი-მაქენ-ერიქსონის" თურქეთის ოფისში თებერვლის დასაწყისში გამართულ შეხვედრაზე წარმოადგინეს რამდენიმე ათეული სარეკლამო რგოლი, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა ქართველი მოდელების მონაწილეობით შექმნილმა სარეკლამო რგოლმა. ამჟერად მონტაჟდება ერთ-ერთი ბანკის რეკლამა, რომლის დასახელებისგან ინგა გრიგოლავამ თავი შეიკავა და აქვთ ახალი შეთავაზება ბუტიკის რეკლამაზე, რომელშიც ისევ "გრი-სთარსის" გოგონები მიიღებენ მონაწილეობას.





"გრი-სთარსის" მოდელები

— კალეიდოსკოპი —

## ვის უღიმის მონა ლიზა

19 თებერვალს, ამერიკის ქალაქ დენვერში, ამერიკის მეცნიერების პროგრესის ყოველწლიურ შეკრებაზე, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარგარეტ ლივინგსტონმა განაცხადა, რომ მონა ლიზას ღიმილის საიდუმლო ამოცნობილია.

BBC-ს ცნობით, პროფესორი თვლის, რომ მონა ლიზას ღიმილი მხოლოდ მაშინ ჩანს, თუ მის ტუჩებს კი არა, არამედ სახის სხვა დეტალებს ვუყურებთ. მხედველობის კუთხის შეცვლასთან ერთად ღიმილის გაქრობა იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანის თვალი ვიზუალურ ინფორმაციას ამუშავებს – ყოველ შემთხვევაში, ამერიკელ მეცნიერს ასე მიაჩნია. მის მოხსენებაში ნათქვამია, რომ "მონა ლიზა თითქმის მთლიანად დაბალი სიხშირის სინათლის დიაპაზონშია მოქცეული და მხოლოდ პერიფერიული მხედველობით აღიქმება".

## ეს ვინ ყოფილა?!

მთელს მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკური კომპანიის, "მაქს ფაქტორის" დამფუძნებლის შვილთაშვილს, 39 წლის ენდრიუ ლესტერს, 124 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართლომ მას 86 მუხლი მიუყენა, მათ შორის გაუპატიურება, ადამიანების წამება, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, იარაღის უკანონო ტარება და სხვ.

1996-დან 2000 წლამდე ლესტერმა სამი ქალი გააუპატიურა, და ბოლოს ერთ-ერთმა მსხვერპლმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მას სასამართლოში უჩივლა. ლესტერის დაპატიმრების შემდეგ გაირკვა, რომ ის ყველაფერთან ერთად ვიდეოფირზე იწერდა თავის საგმირო საქმეებს. არადა, რამდენი ქალი ოცნებობდა მასზე და მისეულ კოსმეტიკაზე...

## იმპრესიონისტები დაიბრუნეს

ფრანგი იმპრესიონისტების ტილოები, კლოდ მონეს "ვეტელის პეიზაჟი" (1880) და ოგიუსტ რენუარის "სამების მოედანი" (1893), რომლებიც ერთად 7 მილიონ ამერიკულ დოლარადაა შეფასებული, გასული წლის დეკემბრის ბოლოს მოიპარეს. ტილოები მაიამიში მცხოვრებ კერძო პირს ეკუთვნის.

ახლა კი მაიამის პოლიციამ სამი პირი დააკავა, რომელთაც ნახატების ქურდობაში ედებათ ბრალი. აგენტები რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდნენ მათთან მოლაპარაკებას იმის თაობაზე, რომ ტილოები 1 მილიონ დოლარად გაეყიდათ.

დღეს
ხუთშაბათს, 20 თებერვალს



2002 წელი: დადასტურდა პაკისტანში გატაცებული ამერიკელი ჟურნალისტის, დენიელ პერლის სიკვდილის ცნობა.

1811 წელი: ავსტრიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

1947 წელი: ლორდ ლუის მაუნტბატენი ინდოეთის უკანასკნელ მეფისნაცვლად დანიშნეს, რათა ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის მოემზადებინა.

1962 წელი: ჯონ გლენი გახდა პირველი ამერიკელი ასტრონავტი, რომელმაც დედამიწას შემოუფრინა.

1993 წელი: გარდაიცვალა ცნობილი და გავლენიანი იტალიური ავტომწარმოებლის ერთ-ერთი პიონერი ფერუჩო ლამბორგინი.

2002 წელი: ეგვიპტის რკინიგზაზე მოხდა საშინელი ავარია. ... დაიღუპა 373 ადამიანი.

© GRAPHIC NEWS



# რატომ გხიბლავთ კრისტი



*კრისტი ტარლინგტონი*

"ივ სენ ლორანმა" ახალი სახე იპოვა. სუპერ-მოდელი კრისტი ტარლინგტონი ამიერიდან კვლავ სამარკო ნიშან YSL-ის ელჩი გახდება. ტომ ფორდი მიიჩნევს, რომ ეს ქალბატონი საუკეთესოდ გადმოსცემს მათი კომპანიის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციის სულისკვეთებას. "კრისტი ნამდვილი თანამედროვე ლამაზმანია. ის ძლიერია, თვითდაჯერებული, მგრძნობიარე და იდუმალი. ფოტო-გადაღებების დროს, აშკარად, ხედავ მისი ხასიათის კომპლექსურობას. ეს კი YSL-ის ახალი სეზონის ემოციების გადმოცემისთვის საუკეთესო საშუალებაა", - აცხადებს ფორდი.

ბუნებრივია, ტომთან შედავებას ვერავინ გაბედავს. ბოლოს და ბოლოს, ფორდი ხომ ის კაცია, რომელმაც "გუჩისა" და "ივ სენ ლორანის" მემკვიდრეობას ახალი სუნთქვა შთაბერა, ხოლო 70-იანი წლების სიმბოლოდქცეული "ოპიუმი" კვლავაც მოდურ სურნელად აქცია. ეს მან სარეკლამო ბილბორდებსა და ჟურნალებში სოფი დალის შიშველი სხეულის გამოსახვით შეძლო. "ოპიუმი" და შიშველი სოფი დალი, რომელსაც მხოლოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, მნახველზე დღემდე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს.

ახალი სარეკლამო კამპანია კი, კრისტი ტარლინგტონის მონაწილეობით, ბილბორდებსა და ჟურნალებში მარტიდან დაიწყება. ტარლინგტონის მშვენების წარმოჩენაზე ფოტოგრაფმა გლენ ლაჩფორდმა იზრუნა. თუმცა, გადაღებების პროცესს უშუალოდ აკონტროლებდა თვითონ ფორდიც: "გლენი სამუშაოს შესანიშნავად გაუძღვა. მის ფოტოებზე კრისტის თვალები და მზერა საოცრად ეროტიკულია. ეს გამოხედვა ყველას აღუძრავს სურვილს, YSL-ის სამყაროში შეაბიჯონ", - აცხადებს ფორდი. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ლაჩფორდის ფოტოები რადიკალურად განსხვავდება "ივ სენ ლორანის" წინა სარეკლამო კამპანიისგან, რომლისთვისაც ფოტოებს სახელგანთქმული მარიო ტესტინო იღებდა...

ტომ ფორდის აზრით, მოდის მიმდევრებს ძალიან გაეხარდებათ კრისტი ტარლინგტონისა და YSL-ის გაერთიანება. სუპერ-მოდელს თაყვანისმცემლები ხომ ბოლო ხანს, მხოლოდ კელვინ კლაინის სუნამოების Eternity-ისა და Obsession-ის რეკლამებზე ხედავდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ სარეკლამო კამპანიისთვის კრისტის ფოტოებს უღებდა ჰერბ რიცი – ცნობილი მოდის ფოტოგრაფი, რომელიც ახლახან გარდაიცვალა.

კრისტი, რომელმაც მოდის ბიზნესიდან ტაიმ-აუტი აიღო და ნიუ იორკის უნივერსიტეტში ფილოსოფია შეისწავლა, არა მარტო ლამაზი ქალია. მას ფეხსაცმელების, მოდის, პარფიუმერიის თემების გარდა, თავისუფლად შეუძლია ლიტერატურაზე, პოლიტიკასა და სხვა აქტუალურ თემებზე მსჯელობაც. სწორედ ამიტომ მოსწონს ის ტომ ფორდს.

## სკანდინავიური კროსვორდი




Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52



გერმანული კულტურის ინსტიტუტი GOETHE INSTITUT TBILISI

გერმანული ენის კურსები

4 მარტი - 7 ივნისი (2003 წ.)

კურსებზე ჩაწერა:

20 - 27 თებერვალი
10:00 - 15:00 სთ.

**Neu!Neu!**

**Deutsch für den Beruf**
**(Mittelstufeniveau)**

***Zertifikat Deutsch für den Beruf***
nach Kursende möglich

ინფორმაცია:

ზანდუკელის ქ. 16
ტელ.: 93 89 45
spr@goethe.caucasus.net



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24



# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში